საერთო გაზეთი

№32 (390) • 24 ავგისტო, 2016 წ.• ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ორსახოვნება საჭანისა

სანდრა, იგივე მიშა, რომელიც ცოლის კაბაში გადაცმული ცდილობს სამეგრელოში შემოპარვას

ზაზა გაბელაია:

ვინც სამეგრელოში სანდრას ხმას მისცემს, მათი 80% არის ნაციონალების მიერ გაუპატიურებული და დაშანტაჟებული ხალხი

არნო ხიდირბეგიშვილი:

სირცხვილი! სამეგრელოს ანალური ჯალათის, მანიაკის, შიზოფრენიკისა და ნარკომანის ცოლი, „ცე-ერ-უ“-ს ჯაშუში, მოკლული პატიმრების ორგანოებით მოვაჭრე სანდრა რულოვსი პარლამენტში კენჭს ზუგდიდიდან იყრის.

ლევან კოჭლოშვილი:

არეულობა დაიწყება 8 ოქტომბერს გვიან ღამით და პროცესები დილით უკვე შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზრდება

ირაკლი სესიაშვილი:

ჩემი მიზანია, თბილისისა და ბათუმის მსგავსად, თელავი მესამე ცენტრად იქცეს

მამუკა მდინარაძე:

„ქართულ ოცნებას“ მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ყველა დანარჩენ პარტიას ერთად

ორსახოვნება საჭანისა

სანდრა, იგივე მიშა, რომელიც ცოლის კაბაში გადაცმული ცდილობს სამეგრელოში შემოპარვას

– სანამ თქვენთან მოვიდოდი, თვალებში ჩავხედე მიშას და გარანტიები მივიღე, რომ ძველი შეცდომები არ განმეორდებაო, – დაახლოებით ამ შინაარსის სიტყვებით მიმართა სანდრა რულოვსმა კორცხელის მოსახლეობას.

– ცუდად ჩაგიხედავთ, ქალბატონო სანდრა, თქვენი მიშიკოსთვის თვალებში და სულ ტყუილად იძლევით გარანტიებს, რომ გამოსწორებული მიშა ძველ შეცდომებს აღარ გაიმეორებს.

„საერთო გაზეთის“ წინა და ახლანდელ ნომრებში იბეჭდება წერილების ციკლი, სადაც ნათლად ჩანს, რომ „გამოსწორებული“ მიშა დღეს ოდესაში ზუსტად იგივეს აკეთებს, რასაც საქართველოში ცხრა წლის განმავლობაში აკეთებდა.

ვინ ვინ და, თქვენ ხომ ყველაზე კარგად იცით, ქალბატონო სანდრა, რომ თქვენი მიშას შეცვლა, მისი გარდაქმნა, მისი ხელახლა აღზრდა და რჯულზე მოქცევა შეუძლებელია.

ღმერთმა ნუ ქნას და, ის რომ აქ დაბრუნდეს, ქვეყანაში სისხლის ტბებს დააყენებს და ციხეებს პატიმრებით აავსებს.

სააკაშვილის საქართველოში დაბრუნება გარდაუვალ სამოქალაქო ომს ნიშნავს, რომელიც ქართულ სახელმწიფოებრიობას საბოლოოდ შეიწირავს.

აი, ამის მიღწევას ცდილობთ თქვენ და თქვენი „ნაციონალური“ გუნდი?

ესეც არ იყოს, თქვენ და „ნაციონალებმა“ ეს უწყინარი სიტყვა შეცდომები რომ დაიხვიეთ ხელზე და თუთიყუშებივით წამდაუწუმ რომ იმეორებთ – ძველ შეცდომებს გამოვასწორებთ, ძველ შეცდომებს არ გავიმეორებთო – რა შეცდომებზეა საუბარი და, საერთოდ, რა შუაშია თქვენთან მიმართებაში სიტყვა შეცდომა?

შეცდომა კი არა, რასაც თქვენ სჩადიოდით, უმძიმესი დანაშაულების მთელი ჯაჭვია, სისასტიკის, კაცთმოძულეობის, ანტიადამიანურობის მთელი კასკადია, რომლის შეფუთვას ახლა სიტყვა შეცდომით ცდილობთ.

არ გამოგივათ ეს უტიფარი თვალთმაქცობა, ეს ამაზრზენი დემაგოგია, ქართველი ხალხის უკიდურესად შეურაცხმყოფელი ეს ფარისევლობა.

მექანიკურ თოჯინასავით მომართული დავით ბაქრაძის ტიკტიკით და ნიკა მელიას ყალბი პათეტიკით ვერავის მოატყუებთ და ვერავის აუხვევთ თვალს.

ვერც სამეგრელოს მოსახლეობას მოატყუებთ, ქალბატონო სანდრა, იმით, რომ ორ მეგრულ სიტყვას მიუგდებთ და თქვენი რძალი ვარო, რომ დააყოლებთ ზედ.

„ნაცმოძრაობის“ დანაშაულებრივი საქმიანობის ამსახველი ფირებით გატენილ კასრებზე რას იტყვით, სამეგრელოს რძალო?

ამ ფირების ნახვის შემდეგ თუ ჩახედეთ თქვენს მიშას თვალებში და რა ამოიკითხეთ იქ?

იქნებ თქვათ, რომ არაფერი იცოდით ამ საზარელი საქმეების შესახებ და მხოლოდ ახლახან გაიგეთ სიმართლე?

ტყუილია ეს! თქვენ ყველაფრის საქმის კურსში იყავით, თქვენ ყველაფერი იცოდით და თქვენს მიშას მაინც მსოფლიოს უდიდეს პოლიტიკოსებს ადარებდით.

დამნაშავე ხართ, თქვენ, ქალბატონო სანდრა რულოვსო, დამნაშავე, დანაშაულის თანამონაწილე, დანაშაულის დამფარველი, დამნაშავეთა ხროვის დედოფალი, რომელიც ახლა მთავარი „რაზბოინიკის“ კვლავ ხელისუფლებაში მობრუნებაზე „ჩალიჩობს“ თავის, ასევე დამნაშავე, თანამოაზრეებთან ერთად.

დამნაშავე ხართ თქვენ და თქვენთან ერთად „ნაცმოძრაობის“ ყველა ლიდერი, „ნაცმოძრაობაში“ დარჩენილი თუ სხვადასხვა პარტიებში ემიგრანტად წასული.

უფრო მეტიც, დამნაშავეა ყველა, ვინც თქვენ გიჭერთ მხარს და ვინც თქვენთვის აპირებს ხმის მიცემას.

როგორც ადრე ვწერდით, დამნაშავის თვისებაა ეს – ადრე თუ გვიან, აუცილებლად ბრუნდება დანაშაულის ჩადენის ადგილას. „ნაცმოძრაობასაც“ დამნაშავის ეს ქვეცნობიერი ინსტინქტი ამოძრავებს, როცა ხელისუფლებაში, ანუ დანაშაულის ჩადენის ადგილას ცდილობს დაბრუნებას, რომ როგორმე დანაშაულის კვალი წაშალოს.

„ნაცმოძრაობა“ რომ ხელისუფლებაში დაბრუნდეს, ის აუცილებლად დაიწყებს აქტიურ ქმედებებს ძველი დანაშაულობების კვალის გასაქრობად და მიზანს რომ მიაღწიოს, იძულებული გახდება, ახალ-ახალი დანაშაულობანი ჩაიდინოს.

აი, ამიტომ არ შეიძლება „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში მობრუნება, ქალბატონო რულოვს!

„საერთო გაზეთი“

P.S. „Муж и жена одно сатана“ – იტყვიან რუსები, რომლებსაც თქვენმა მიშამ ნახევარი საქართველო ხონჩით მიართვა. ჰოდა ერთი სატანის ორი სახე ხართ თქვენ და თქვენი მიშა, ქალბატონო სანდრა. სომართლე ეს არის და ამ სიმართლეს ვერსად წაუხვალთ!

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

გაფუჭებულები

სანდრამ იცის, როგორი ღალატი შეუძლია მიშას, სანდრას სმენია, რამდენი ქალის „დაკერვა“ შეუძლია მიშას... მაგრამ სანდრას ისიც კარგად მოეხსენება, რომ მიშა ერთადერთია, ქალები კი მრავალნი... მიშა ერთადერთია და მისი დასაკუთრების უფლება არა აქვს, ამიტომ მეუღლეს არასოდეს ზღუდავს... ამიტომ, არასოდეს ჩაუხედავს თვალებში და დაუმუნათებია, არ მიღალატო... რადგან, კარგი ცოლისთვის ცოლ-ქმრულ ღალატზე მიშვნელოვანი თემებიც არსებობს...

სანდრა კარგი ცოლია და იცის როგორ ენატრება მიშას ძალაუფლება... მართალია, მაგიდაზე ტორის დარტყმას ვერც უკრაინაში გადაეჩვია, მაგრამ რა არის ცხოვრება, ციხეში პატიმრების წამების გარეშე, რა არის ცხოვრება, სპეცრაზმის ძალის გამოყენებით ადამიანების დარბევისა და ცემის გარეშე, რა არის ცხოვრება, დაღუპული ახალგაზრდების სისხლის გარეშე, რა არის ცხოვრება, თუ ვეღარავის მოარტყამ საფერფლეს საფეთქელში...

ჰოდა, როცა სააკაშვილს ბილეთი დასჭირდა... საქართველოში დასაბრუნებელი ბილეთი... სანდრას არ უყოყმანია, ჩანთა ჩაალაგა და

ჩამოვიდა... სიტყვა დაალაგა და დაიზეპირა... მეგრული ფრაზების ჩანაწერები ამოქექა და წამოიღო...

სანამ ჩამოვიდოდა, ნაცებმა ნიადაგი შეუმზადეს და საარჩევნო კამპანია დაიწყეს სლოგანით: ჩვენს გაფუჭებულს ჩვენვე გამოვასწორებთო... კაი გაფუჭებულები ხართ, გენაცვალე, თქვენ... მოდით, აბა, თვალებში ჩაგხედოთ, ემანდ არ მატყუილებდეთ...

ჰოდა, ნაცებმა, ჩვენს გაფუჭებულს ჩვენვე თუ არ მივხედეთ, ეს მთავრობა ვერ ხვდება რა გავაფუჭეთო... მაგალითადო, ვაკიდან წყნეთში მიმავალი გზა ახალი დაგებული იყოო, ესენი კიდევ ვერ მივხდნენ, რომ ახალი დაგებული იყო, აყარეს და თავიდან დააგესო...

დაგვცინით? გზას, რომელსაც არ ეტყობა, რომ ახალი დაგებულია, აყრა და თავიდან დაგება არ სჭირდება?

დაგვცინით და დაგვხარხარებთ? ანუ, ამ მთავრობის შეცდომა ისაა, რომ გზა დააგო, რომელსაც არ ეტყობოდა, რომ ახალ დაგებული გქონდათ?

დაგვცინით, დაგვხარხარებთ და სულელებიც გგონივართ? ანუ, თქვენ გედავებიან ვაკედან წყნეთისკენ მიმავალი გზის ცუდად დაგებას? მეტს არაფერს?

მართლა კაი გაფუჭებულები ყოფილხართ თქვენ, ღმერთმანი...

გაფუჭებულ საქმეს გამოვასწორებთო და როგორ აპირებთ დაღუპული ახალგაზრდების გაცოცხლებას? როგორ აპირებთ ნაწამები ადამიანების ჭრილობების მოშუშებას? როგორ აპირებთ ჩარეცხილი ინტელიგენციის ამორეცხვას? რითი გინდათ ანუგეშოთ დაობლებული ბავშვები და შვილმკვდარი მშობლები?

ამ კითხვაზე ნაცების და სანდრას პასუხი არ ემთხვევა...

ნაცები გვეუბნებიან, რომელი ძალადობაო, რეებს გვიგონებთო, ცოცხებიო? - ეგ დადგმულიაო... მკვლელობაო? რა, როდის ვინ მოვკალითო, წამებას ჩვენ, ევროპაში ნამყოფი ახალგაზრდები, როგორ ვიკადრებდითო... გვიგონებთო...

სანდრამ კი... სანდრამ მიშას დიდ, უმწიკვლო, სათნო თვალებში ჩახედა... ჩახედა და აიძულა უარი ეთქვა ძალადობაზე.... და მიშაც დაპირდა... დაპირდა, ოღონდ ამირჩიონ და აღარ ვიძალადებო.... კარგი წინასაარჩევნო დაპირებაა, ბერიას და სტალინს ჰქონდაო.... ჩემი ქმარიც ზუსტად ის ადამიანია, ვისიც ხალხს ეშინიაო...

მაინც ვერ გავიგე, როგორ არის საქმე, ანუ, დავჭკვიანდით და აღარც გვჭირდება მძიმე ხელი? აღარ ვსაჭიროებთ კუთხეში დაყენებას? აღარ ვართ წამოსათაქებლები?

ანუ, ნაციონალები, ბიზნესს იმიტომ კი არ ავიწროებდნენ, რომ ქონება მიეთვისებინათ, არც ადამიანებს აწამებდნენ და კლავდნენ თავიანთი დანაშაულის დასაფარად, არც ტელევიზიებს არბევდნენ განსხვავებული აზრის გამო - არა, ისინი რა შუაში არიან, ეს ჩვენ გჭირდებოდა ძლიერი ხელი...

ვერაფერს ვიტყვით, ამირჩიეთ და აღარ გცემთო...

ევროკავში-საქართველოს ბიზნესსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ დევილ ლიმ გიპასუხათ: 2012 წლამდე რამდენი უდანაშაულო ბიზნესმენი ჩასვით ციხეში, თუ გახსოვთო? ახლა, ბევრ დიდ ახალ პროექტებზე ვმუშაობთ საქართველოში და იქნებ გვაცადოთო...

მაგრამ სანდრა არ ნებდება... სამეგრელოში მეგრელების რძალია, გურიაში დეპუტატობის კანდიდატის ფლაერების დამრიგებელი...

ვინმემ უთხრას, რომ სამეგრელო, ორიოდე მეგრული წინადადების გამო არ დაივიწყებს იმას, რაც მიშამ გაუკეთა, სამეგრელოს

არაფერში ჭირდება ფურცელზე დაწერილი მეგრულის ამოკითხვა, სამეგრელოში გონიერი ამომრჩეველი ცხოვრობს და ასეთი ცინიკური დაპირებით: აგვირჩიეთ და მიშა ჩამოვა, რომელიც აღარ იძალადებს ხალხზე - ვერ მოხიბლავთ... ისე, სადაური რძალი ბრძანდებით მეგრელების? ქმარი გყავთ მეგრელი, შვილები საუბრობენ მეგრულად თუ წინა ცხოვრებაში იყავით მეგრელი?

სანდრა კეთილიაო, სკანირებენ ნაცები...

ჰო, ალბათ, ალბათ... იქნებ იმიტომ, რომ მიშას თვალებში ჩახედა წამოსვლის წინ და უარი თქვეს ერთობლივი ძალისხმევით ცოლ-ქმარმა ძალადობაზე?

მაგრამ, რა ვუყოთ დანიის გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუს, სადაც სანდრა ამბობს, რომ ამ ქვეყანას, ანუ, საქართველოს ძლიერი ხელი სჭირდებაო, ისეთი, როგორც

ჰოდა, ჩვენ დავჭკვიანდით და ძლიერი ხელი შემსუბუქდება... ჩვენ გონს მოვეგეთ და მიშა ნასიამოვნებია... ნასიამოვნებმა მიშამ სანდრას ნასიამოვნებ თვალებში ჩაახედა და გამოგვიგზავნა...

ჰო, სანდრას სიკეთეზე ვსაუბრობდი...

ნაცები გვამუნათებენ: არ გრცხვენიათო, ამ ქალს რამდენი სიკეთე უკეთებია ქართველი ხალხისთვისო...

ჰოდა, ერთად მოვძებნოთ ეს ლამაზი თვალებისთვის და გაჭირვებული ადამიანისთვის ნაკეთები სიკეთე...

სანდრა ბევრ დაავადებულს დეხმარაო, ტუბერკულოზით, შიდსით, კიბოთი დაავადებულსო... სანდრა საქართველოში გლობალური ფონდის პროგრამებს ხელმძღვანელობდა და ვალდებული იყო, იმ ადამიანებს დახმარებოდა, რომელთა დასახმარებლადაც თანხებს ურიცხავდნენ... გლობალური ფონდი საქართველოსთან სანდრას გამოჩენამდეც თანამშრომლობდა და სანდრას წასვლის შემდეგაც თანამშრომლობს... 2014 წელს ტუბერკულოზის 11 მილინიან საგრანტო პროგრამას მოეწერა ხელი, ხოლო შიდსის პროგრამაზე 17,5 მილიონი ევრო დაიხავჯა...

ამ „კეთილ“ ქალბატონს, საქველმოქმედო ფონდიც ჰქონდა, სახელად „სოკო“, რომლის დირექტორობიდან მხოლოდ ერთი წლის მანძილზე ხელფასის სახით 11 500 ლარი აქვს აღებული...

ანუ, ამ ჩვენს ვითომ კეთილ ქალბატონს ჰქონდა ფონდები, ასოციაციები, რომელშიც მართლა კეთილი ადამიანები და ამ კეთილი ადამიანების ფონდები თანხებს რიცხავდნენ... სანდრა კი ამ თანხების განაწილებაში ხელფასს იღებდა, არც ისე დაბალ და ფორმალურ ხელფას, მინდა გითხრათ და მადლობელი უნდა ვიყოთ? ანუ, სხვა ადამიანის გადმორიცხული თანხიდან რომ ჩვენამდე ლარი მოიტანა, მადლიერება ვერ გამოვხატეთ სათანადოდ?

ჰოდა, მადლიერი ადამიანების საპოვნელად მოიარა ოზურგეთი ქალბატონმა სანდრამ...; თავი დაიმედა, ყველაერი კარგადაა, რადგან ერთმა ქალბატონმა მითხრა, რომ მე და ჩემს მიშას გვაძლევს ხმასო... ერთმა ქალბატონმა რა გითხრათ, გავიგეთ, ქალბატონო სანდრა და ასმა ქალბატონმა არ გითხრათ, ან ათასმა, ისიც რომ გაგვიმხილოთ არა? ან, თვალებში ჩაგვხედეთ და ამოვიკითხავთ... და თუ არც თვალებში ჩახედვის უფლებას მოგვცემთ (და მართალი ბრძანდებით, კარგი ცოლი მხოლოდ ქმარს ჩახედავს თვალებში) ხალხის ღიღინს მაინც მოუსმინეთ: „დარია თუ ავდარია, მიშა ნაგავია“...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

„აქედან წაეთრიე, ძუკნავ!“ – მიშას სანდრა ოზურგეთელებს ხელიდან ძლივს გამოგლიჯეს

22 აგვისტოს, შუადღისას, სააკაშვილის ცოლმა და **„ნაცმოძრაობის“** მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ზუგდიდიდან **სანდრა რულოვსმა** წინდაუხედავად გადაწყვიტა **„ხალხში გარევა“** და გურიის რეგიონულ ცენტრში, **ოზურგეთის ცენტრალურ ბაზარზე** გამოჩნდა.

მაგრამ ის ძალიან შეცდა, ფიქრობდა რა, რომ მიშა სადღაც, სამეგრელოს გარდა, ჯერ კიდევ პოპულარულია – **განრისხებულმა ოზურგეთელებმა ნაციონალების „ყველაზე მძიმეწონიანი ფალავნის“ დანახვისას** (როგორც სანდრას „ნაცმოძრაობის“ აპოლოგეტი და სააკაშვილის ფან-კლუბის პრეზიდენტი, ტელეწამყვანი ინგა გრიგოლია უწოდებს), **უმალ მჭიდრო ალყა შემოარტყეს მას წამოძახილებით: „აქედან წაეთრიე, ძუკნავ, და აქ ჩამოთრევა მეტი აღარ გაბედო!“**.

საპატრულო ეკიპაჟებმა ძლივს მოახერხეს სანდრა რულოვსის ხალხის ხელიდან გამოგლეჯა და სასწრაფოდ გაარიდეს იგი ქალაქს...

საქინფორმი.

ირაკლი სესიაშვილი:

ჩემი მიზანია, თბილისისა და ბათუმის მსგავსად, თელავი მესამე ცენტრად იქცეს

გვესაუბრება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი თელავისა და ყვარელის გაერთიანებულ ოლქში ირაკლი სესიაშვილი:

— ირაკლი, პრემიერმა თელავისა და ყვარელის გაერთიანებულ ოლქში მაჟორიტარ კანდიდატად წარგადგინათ. რატომ შეჩერდა ამ ოლქში თქვენზე არჩევანი?

— ეს ჩემი არჩევანი იყო, პოლიტ.საბჭოს თელავში ჩემი კანდიდატურა თავად შევთავაზე იმიტომ, რომ ამ ქალაქთან ძალიან ბევრი რამ მაკავშირებს — ჩემი ბებია და პაპა, მამაჩემიც აქ ცხოვრობს, მყავს ძალიან ბევრი მეგობარი და უბრალოდ, ჩემი თელავი ძალიან მიყვარს. მიმაჩნია, რომ თელავი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული, განსაკუთრებული ქალაქია თავისი ხალხით, კულტურით, მენტალიტეტით, პოტენციალით, სტუმართმოყვარეობით, ღვინით და ა.შ. ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალე ამ ქალაქის აღორძინებაში წვლილი მეც შევიტანო იმდენად რამდენადაც „ქართული ოცნების“ პოლიტ.საბჭოს ერთ-ერთი წევრი ვარ, ასევე, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ანუ, მთელი რიგი მიმართულებებით დიდი პასუხისმგებლობა მაკისრია. ყოველთვის მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ ასევე, ჩემი პასუხისმგებლობაა ჩემს საყვარელ თელავზე და ყველაზე ვიზრუნო.

— მას შემდეგ რაც თქვენი წარდგინება მოხდა თუ შეხვდით თელაველ მოსახლეობას, როგორია მათი განწყობა?

— თელავსა და ყვარელში არსებული ყველა პრობლემა შევისწავლე. შეხვედრები მქონდა გამგებლებთან, მერებთან, გუბერნიის ადმინისტრაციასთან, სხვადასხვა სამსახურებთან. მთელი რაიონის პრობლემები შევისწავლე, მოსახლეობის დიდ ნაწილს უკვე შევხვდი. ასევე, ჩემს აქტივს, დაახლოებით, 150 კაცს. რამდენიმე დღის წინ ახალგაზრდებს შევხვდი, აქვე, მოვიარე ექვსი სოფელი. დღე და ღამე გარეთ ვარ. ჩვენ არამარტო მთელ რიგ პრობლემებზე ვსაუბრობთ, არამედ კარგზეც — თუ რა გაკეთდა, რა უფრო უკეთესად შეიძლება გაკეთდეს, კიდევ რისი გაკეთებაა შესაძლებელი და ა.შ. ასე, რომ სამუშაო პროცესში ძალიან აქტიურად ვარ ჩართული, ჩემს „ფეის-ბუქს“ თუ ადევნებთ თვალს, იქაც ნახავთ ჩემს აქტივობებს. „ქართულ ოცნებას“ კარგი პერსპექტივები აქვს იმიტომ, რომ ხალხი ხედავს რომ სოფლის მეურნეობამ მთლიანად კახეთში ძალიან დიდი ფული შემოიტანა. მაგალითად, რამდენიმე დღის წინ წინანდალში გახლდით და მხოლოდ აქ, ბოლო სამწელიწად ნახევარში მარტო ყურძენის შემოსავლიდან 10 მილიონი ლარი გლეხის ჯიბეში წავიდა. ეს, რა თქმა უნდა, მახარებს, თუმცა პრობლემებსაც ძალიან ბევრს ვხედავ. ორივე რაიონი გაზიფიქსირებულია, სამი სოფელი დარჩა — საბუე, ალმატი და შაქრიანი, რომელთა გაზიფიცირების პროექტი მთავრობამ უკვე დაამტკიცა. ასევე, იგება გზები, რემონტდება სკოლები, კეთდება ბაღები, სკვერები. სამი დღის წინ კიდევ გავხსენით ერთი სკვერი შილდაში. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მიხარია, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია, ყოველდღიურად ვმუშაობთ, თვითკმაყოფილები არ ვართ. თელავში წყალი ყოველთვის ჭირდა. ახლა, აქტიურ ფაზაში შევიდა 32 მილიონიანი პროექტი, რის შედეგადაც მოსახლეობას 24 საათიანი წყალმომარაგება ექნება, რაც ჩვენი მხრიდან გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ნელ-ნელა ყველაფერს მივხედავთ.

— ირაკლი, როცა პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა წარგადგინათ, მან აღნიშნა: ხალხს ყველაზე მთავარი მივეცით, რაც მას სახელმწიფოსგან სჭირდება — ღირსეული მოპყრობა, დაფასება და ზრუნვაო. თუმცა, პრობლემების არსებობაზეც გაამახვილა ყურადღება. თუ გაეცანით კონკრეტულად, რა პრობლემები აწუხებს მოსახლეობას, თქვენი აზრით, პირველ რიგში, რა უნდა გამოსწორდეს?

— გამოსასწორებელი არცთუ ცოტაა. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ გზები ბევრგან დაიგო, ეს პრობლემა ბოლომდე მოგვარებული არ არის. ასევე, პრობლემაა სავარგულების მხრივაც. ასევე, არსებობს მაღალი ძაბვის გაყვანილობის პრობლემაც. იმიტომ, რომ კახეთში მომუშავე კერძო კომპანიები არცთუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში არიან — ზოგი მათგანი გაკოტრების პირასაა მისული. ამიტომ, მომდევნო წლებში, სახელმწიფო, ალბათ, ამ მიმართულებითაც ძალიან სერიოზულად იმუშავებს, რათა ცენტრალურ მაგისტრალებზე ელექტრო-გაყვანილობა გაუმჯობესდეს. რა თქმა უნდა, საყურადღებოა კეთილმოწყობის საკითხებიც, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში ამ კუთხით ბევრი რამ გაკეთდა. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, წყლის პრობლემა, მეტ-ნაკლებად გადაჭრილია, ვიდრე აქამდე იყო. მოსაგვარებელია მელიორაციის, არხების გაყვანის საკითხებიც, ბევრგან ეს პრობლემა აღმოფხვრილია, თუმცა, ბევრგან კვლავ პრობლემად რჩება, რის მოგვარებასაც უახლოეს მომავალში ვაპირებთ. მე, მოსახლეობას შეხვედრების დროს პირდაპირ კახურად, ალალად ვუხსნი, რომ შარშან აქ თუ გაკეთდა რაღაც, წელს სხვაგან უნდა გაკეთდეს და ასე ავაღორძინებთ ნელ-ნელა მთელს რეგიონს. კახელი კაცი ყველაფერს შესანიშნავად იგებს როცა ისე ელაპარაკები როგორც საკუთარი ოჯახის წევრს. მთელი ქვეყანა ხომ ჩვენი დიდი ოჯახია. ასე, რომ ამ მხრივ, ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ.

— თქვენ ამბობთ, რომ ნელ-ნელა რეგიონს ააღორძინებთ. როგორი იქნება კახეთის რეგიონის აღორძინების თქვენეული ხედვა. რას პირდებით მოსახლეობას, როგორი იქნება მათთვის მომდევნო ოთხი წელი?

— რაც ყველაზე მთავარია, მინდა თელავი ისეთივე გამორჩეული ქალაქი გახდეს როგორიც თბილისია. ჩვენს დედაქალაქთან ერთად კიდევ ერთი გამორჩეული ცენტრია ბათუმი. სწორედ, ასეთივე გამორჩეული ცენტრი უნდა იყოს თელავი მთელს კახეთში. უნდა აღინიშნოს, რომ კახეთში ტურიზმის ძალიან დიდი პოტენციალია. მეღვინეობა, მევენახეობა ეს კულტურული ღონისძიებებია, რაც კახეთისთვის ცხოვრების ნაწილი, ტრადიციაა. მაგალითად, ამას წინათ, კახეთში საქმიანი შეხვედრა მქონდა დანიშნული და იმდენი ტურისტი იყო, კაფეში ადგილი ვერ ვნახე რომ დავმჯდარიყავით. ტურისტები ბავშვებით არიან ჩამოსული, რაც ძალიან მიხარია. ტურიზმის განვითარება უმნიშვნელოვანესია იმიტომ, რომ სწორედ ამ პროცესს მოსდევს სოფლის მეურნეობის, ვაზის მიმართ ინტერესი. მინდა, რომ აეროპორტი გამართული, გაძლიერებული იყოს, ჩვეულებრივ რეისებთან ერთად, მათ შორის, ჩარტერული რეისებიც მიიღოს, რითაც ტურიზმი ძალიან სერიოზულად გაიმართება. ზუსტად ვიცი, რომ ტურისტები თბილისში ჩამოსვლისას იქვე, აეროპორტში მანქანაში სხდებიან და პირდაპირ კახეთში მოდიან. კარგი იქნება თუ კახეთშივე შევთავაზებთ აეროპორტს, რომელზეც გუბერნიამ იზრუნა და იქ, პატარა სასწავლო ცენტრიც კი არის გაკეთებული. თუმცა არსებობს სამართლებრივი პრობლემებიც ერთ-ერთ თურქულ კომპანიასთან — „ტავთან“, რომელთანაც წინა ხელისუფლებამ ხელშეკრულება გააფორმა რის შედეგადაც 150 კილომეტრის რადიუსში უფლება არ გვაქვს ეს აეროპორტი ჩვენ თვითონ გავაკეთოთ. თუმცა, მინდა, ამ თემაზე, ძალიან სერიოზულად ვიმუშავო. იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში, კახეთი თორმეტთვიანი ტურისტული ცენტრი გახდება. ნეტავ, განახათ რამდენი ღვინის სახლია, ტურისტები ამით ძალიან კმაყოფილები არიან. პირდაპირ გეუბნებით, ორი-სამი დღის წინ ფრანგი ოჯახი მანქანით გაჩერდა და შემეკითხა ღვინო შატო-მუხრანი სად შეიძლება დავაგემოვნოთო. რამდენიმე მიმართულება მივეცი. ისინი აღფრთოვანებულნი დარჩნენ იმით, რომ ამ პატარა ქალაქში, ამ პატარა რაიონში ამდენი შატოა, ჩვენ მხოლოდ ერთი გვეგონაო. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი კარგია. ამიტომ, გარდა მოსახლეობის პრობლემისა, რაც უფრო ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხია, ბევრი სასიამოვნო ფაქტიც არსებობს. რა თქმა უნდა, მეც ჩვენი მოსახლეობის ხმა ვიქნები. ვფიქრობ, ჩემი სიღრმისეული ხედვით თელავი ჩვენი ღირსშესანიშნაობის მესამე ცენტრად უნდა გადაიქცეს, სწორედ ისეთად როგორიც თბილისი და ბათუმია.

— ირაკლი, წელან სოფლის მეურნეობა ახსენეთ, კახეთში საკმაოდ უხვმოსავლიანი მიწაა, მაგრამ წლების მანძილზე გლეხს მოსავალი ულპებოდა. რა ხდება ამ მიმართულებით?

— ძალიან კარგი შეკითხვაა. როცა გლეხებს ვხვდები და ველაპარაკები, მათ ვეკითხები: რა ღირდა ერთი ჰექტარი მიწა 2012 წელს, მპასუხობენ 2-3 ათასი

არ გამოვრიცხავ, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით შევიდეს

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უკვე აშკარად იკვეთება, რომ ოპოზიციური პარტიების უმეტესობა „ნაცმოძრაობის“ სატელიტად გადაიქცა

„საერთო გაზეთის“ სტუმარია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელი **ზურაბ ქადაგიძე**.

- მე არასდროს ვეძებ მტრის ხატსა თუ რაღაც ბნელ ძალებს, საშიშროებები რა თქმა უნდა არსებობს, მაგრამ მათ შენი იდენტობიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა გაუძლო. თუ მოწოდების სიმაღლეზე იქნები, ყველანაირ გამოწვევას გაუძლებ. ეს ვითომ მედასავლეთეები თავისი უპრინციპობით იმას აკეთებენ, ხანდახან ვფიქრობ, სპეციალურად ხომ არ ხდება, რომ ჩვენს ხალხში ევროპის მიმართ რაღაც ნიჰილიზმი გაჩნდეს. იგივეს ვიტყოდი პრეზიდენტ მარგველაშვილზეც, რომელმაც რეფერენდუმის ჩატარებაზე თავისი უარი ისეთი მიზეზით ახსნა, რითაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ყველა არჩევნები და მათ შორის თავისი ლეგიტიმურობაც. იურისტობაც არ ჭირდება ამ მიზეზის აბსურდულობის დადგენას.

შემიძლია ჩამოგითვალოთ ქვეყნები, სადაც რეფერენდუმის მეშვეობით კანონებს ღებულობენ. მოგწონს თუ არა, რას ითხოვს ხალხი ამ რეფერენდუმით, პრეზიდენტს უფლება არ გაქვს, მით უმეტეს თითიდან გამოწოვილი მიზეზით, უარი უთხრა ნახევარ მილიონ ადამიანს, 200.000-ზე მეტი ხელმოწერა შეგროვდა, ეს არის ხმის უფლების მიცემის მქონე ადამიანების 10%, როცა მათ უარს ეუბნები, მთელ საზოგადოებას აქცევ ზურგს. დემოკრატია ხალხის უმრავლესობის მართვას ნიშნავს, ამათ რეფერენდუმის მხარდამჭერები ქსენოფობებად მონათლეს, ეს ნახევარი მილიონი ადამიანი მართლაც რომ იყოს ქსენოფობი, კანონი მათი ნების გამოვლენას უნდა ემსახურებოდეს და არა ვიღაცის მიერ თავსმოხვეულ აზრს. რა გამოდის, მარგველაშვილია ამ თავის რაღაც ათკაციან ჯგუფთან ერთად, ყველაზე ჭკვიანი და ცივილიზებული ადამიანები? მაშინ მოვითხოვოთ ავტოკრატია, ვთქვათ, რომ ეს მმართველი უნდა იყოს ათი წელი მაინც, რადგან თურმე გაზრდილები არ ვართ და ჩვენს უფლებას ჯერ ვერ განვახორციელებთ? ასი ადამიანიდან 90 როგორც ამბობს, საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, ეს არის დემოკრატია, შეიძლება არ მოგწონდეს, მაგრამ უმრავლესობა რასაც გადაწყვეტს, შედეგიც ის იქნება.

- გამოდის, „პროდასავლელი“ მარგველაშვილი დემოკრატიის ამ ანბანურ ჭეშმარიტებასთან მწყრალად ბრძანდება, „პროგრესულებმა“ ხომ საერთოდ რუსეთის აგენტებად გამოგვაცხადეს ლამის მთელი საქართველო.

- მარგველაშვილი თავისი საქციელით ცდილობს, რაოდენობაზე კი არა, ვითომდა ხარისხზე გააკეთოს აქცენტი, ანუ პოლიტიკურად „ხარისხიან“ პიროვნებებზე, რაღაც ნაჭუჭშია ჩაკეტილი და იქიდან გარეთ არ იხედება, უპრინციპო, უპასუხისმგებლო განცხადებებს აკეთებს, რაც ძალიან აღმაშფოთებელია. ის თუ ნახევარი მილიონი ადამიანის ნებაზე უარის თქმას თვლის ევროპელობად და პროდასავლელობად, ძალიან საცილო მდგომარეობაში იგდებს თავს. გული იმაზე მწყდება, რომ, როცა რეალურად შესაძლებელია ევროპულ კულტურას, ღირებულებებს, ხელოვნებას გაუწიონ პოპულარიზაცია, ცდილობენ იმ ევროპისთვისაც პირობითად თავსმოხვეული კანონები მოგვახვიონ თავს. ამერიკის ერთ-ერთ შტატში ულვაშის ტარება აკრძალულია, ახლა წარმოიდგინეთ, გურჯაანში ან გორში რომ დავაყენოთ საკითხი, ულვაშით არ იაროთო და ეს იყოს რაღაც ცივილიზაციის განმსაზღვრელი. არ შეიძლება ყველაფერი ბრმად გადმოვიღოთ, თუნდაც ძალზე დემოკრატიული და ცივილური ქვეყნიდან, მისაღებ მეთოდსაც კი გაშალაშინება და ჩვენს რეალობაზე მორგება ჭირდება. არც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის „უპრაგონოდ“ შემოღება შეიძლებოდა, განა ცუდია, ეს ინსტიტუტი საქართველოს პირველ დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც მოქმედებდა, მაგრამ ამომრჩევლის ბაზები რომ დაუდგენელი გაქვს, როცა არ არსებობს პოტენციური მსაჯულების შესახებ ინფორმაციული ბაზები, გაყალბებული ბიოგრაფიებია, ასე ერთი ხელის მოსმით არ უნდა მიიღო. პრეზიდენტი მარგველაშვილი სრულიად უპასუხისმგებლო ადამიანია, რომელიც მხოლოდ იმ ათ ადამიანზე ფიქრობს, ვითომ მისი გუნდი რომ ჰქვია, ცდილობს აქცენტი ე.წ. პროდასავლელებზე გააკეთოს, მათთან ერთად ჰქონდეს გარკვეული პოზიცია და ასე ვთქვათ, მსაჯულის როლი იკისროს სახელმწიფოსა და ხალხს შორის. არადა ეს ადამიანი ფსიქოლოგიურად დაცილებულია, მარტო ხალხსა და სახელმწიფოს კი არა, იმ შენობასაც, რომელშიც ზის, იგი რეალურად ვერ მართავს სიტუაციას. დიდი ვაჟკაცობა და ნებისყოფაა საჭირო, როცა ადამიანმა წინასწარ იცი, რომ თამაში წაგებული გაქვს, მაგრამ პრინციპულად მაინც მიდიხარ ამ თამაშზე, ყველაზე ცუდი საქციელია, როცა გაყიდულ თამაშს თამაშობ. მარგველაშვილსაც შეუძლია წაგებულ თამაშზე წავიდეს, გადადგეს, დანიშნოს ვადამდელი არჩევნები, დამოუკიდებელ კანდიდატად იყაროს კენჭი და რომც წააგოს, მისი მხრიდან მაინც ძალზე ღირსეული ნაბიჯი იქნება, თუმცა მეეჭვება, მან ეს გააკეთოს. იგი მართლაც გასულია ყველა სივრციდან და უკვე აღარ გამიკვირდება, რომ სამი მილიონი ქართველის ხელმოწერაზეც თქვას, ვერ გავითვალისწინებო.

რაც შეეხება სხვა პოზიციაზე მყოფი ხალხის რუსეთის აგენტებად გამოცხადებას, ნაცმოძრაობა საქართველოს მოსახლეობას ყოველთვის ორ ნაწილად ყოფდა, მის მხარდამჭერებად და ვიღაც მოსახლეობა, ანუ ცუდები, ბოროტები და ბნელები. აქედან გამომდინარე, მათთვის მიუღებელ ყველა თემას რუსეთს „აკერებენ“, რადგან ადვილად გაყიდვადია. ცნობილი ფაქტია, რომ დათა ახალაიას ჰყავდა სპეციალური მრჩეველი, რომელიც „რეკომენდაციებს“ აძლევდა მოსახლეობის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით წელში გადასამტვრევად, რომელ რეგიონში რა მეთოდი უნდა გამოეყენებინათ, ზოგან გაუპატიურება „ჯობდა“, სხვაგან ოჯახით დაშინება და ა.შ. ცხადია, ნაცმოძრაობასაც ჰყავს „მრჩევლები“, რომლებიც „დააკვალიანებდნენ“ რუსეთის თემით აპელირება მომგებიანია, მით უმეტეს, რომ ომი ახალი მომხდარა და ნებისმიერი თემა, რომელსაც რუსულ პროექტად გამოაცხადებთ, ქართველებისთვის მიუღებელი იქნებაო. ნაციონალები და მათი სატელიტები წლებია ღიად თუ შეფარულად ებრძვიან საპატრიარქოს, განათლების სისტემას, რადგან განათლებული, კომპეტენტური ადამიანებისთვის საშიში არ არის უცხოური თუნდაც მიუღებელი წესი და პროექტი. ისინი ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე დგანან და კარგად იციან, რა არის მისი ქვეყნისთვის და ტრადიციებისთვის დამღუპველი და რა არა. ნაცმოძრაობამ ხელისუფლებაში მოსვლიდან მოკლე ხანშივე დაიწყო „განმათავისუფლებელი“ შეტევა განათლების სისტემაზე, ის საშინელებები, რაც მათ ამ სფეროში ჩაატარეს.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უკვე აშკარად იკვეთება, რომ ოპოზიციური პარტიების უმეტესობა ნაცმოძრაობის სატელიტებად გადაიქცნენ, ზუსტად იგივე მეთოდებით მოქმედებენ, რომ რამენაირად გადაირჩინონ თავი პოლიტიკურად. მოგეხსენებათ რაღაც ახალი გაერთიანება ჩამოყალიბდა, ფაქტობრივად ნაცმოძრაობა-2, პაატა ბურჭულაძემ შემოიკრიბა „თანამოაზრენი“. ღიმილის მომგვრელია მათი განცხადება, იმიტომ გავერთიანდით, რომ პროდასავლური ღირებულებების მატარებლები ვართო. თურმე ერთ საათში გადაწყდა მათი ამ მიზნით „დაბლოკება“, ეს იმ დროს, როცა ჯერ მარტო ოლქებში მაჟორიტარების, შტაბის თავმჯდომარეების, კვოტების, სიების და ა.შ. დადგენას ერთ თვე არ ყოფნის. მე თვითონ ვიყავი პროცესებში ჩართული „ალიანსი საქართველოსთვის“ რომ იკრიბებოდა და ძალიან კარგად მახსოვს, თვენახევარი რომ მიმდინარეობდა საკითხების შეჯერება. ძალიან მაინტერესებს ამ ყველაფერზე ერთ საათში როგორ შეთანხმდნენ, ხვალ რაიმე ინტერესთა კონფლიქტი რომ მოხდეს, ისევ დაიშლებიან? თურმე ისეთი გადაკვეთის წერტილები ჰქონიათ... სინამდვილეში ეს ყველაფერი არის ხელოვნურად მართული, ყველა ვარიანტში ტელეფონითაა დარეკილი და ნათქვამი, ახლა არ გვინდა სიებზე და ა.შ. საუბარი, სასწრაფოდ უნდა გაერთიანდეთო. ამ ხელოვნური, მართვადი გაერთიანების კუდს ოდესაში ვხედავ, ზუსტად ამას ვეძახი ევროპული იდეის გაფუჭებას. ეს ადამიანები იმდენად არასახელმწიფოებრივად მოაზროვნეები არიან, რომ სულ არ აინტერესებთ ხვალინდელი დღე. ზუსტად ჰიტლერივით აზროვნებენ, რომელიც ამბობდა, თუ მე არ ვიქნები, წყალს წაუღია ბერლინი და გერმანიაო, თუ სააკაშვილი და ნაცმოძრაობა არ იქნება ხელისუფლებაში, ვერ მართავს სიტუაციას, ქართული საზოგადოება ევროპული ინტერესის მატარებელი იქნება თუ რუსულის, სულ არ აინტერესებთ. მიხეილ სააკაშვილი არის კომიკური პერსონაჟი, ორი ბატონის მსახური, რომელიც ყოველთვის საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. გგონიათ უკრაინაში ევროპისა და ამერიკის საქმეს აკეთებს? **სააკაშვილი რუსეთის საქმეს აკეთებს, მან სადაც კი დაიწყო მოღვაწეობა, იქ, მოგვიანებით, ყველგან პუტინმა შედგა ფეხი**, რუსეთს უნდოდა საქართველოში ფეხის მოკიდება? ოფიციალური ბაზები აქვს, უკრაინაში უნდოდათ და ყირიმი ოკუპირებული აქვთ, უკრაინის აღმოსავლეთს, ინდუსტრიულ რეგიონსაც ველარ აკონტროლებს ოფიციალური კიევი. სააკაშვილის უგუნური პოლიტიკის გამო, რუსული ჯარი მცხეთამდე ჩამოვიდა. ან მისი მეგობრების განცხადებეს მოუსმინეთ, გია ბარამიძე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ საქართველო და უკრაინა იარაღთან დაკავშირებით თანამშრომლობდ-

6 გვ.

ჩემი მიზანია, თბილისისა და ბათუმის მსგავსად, თელავი მესამე ცენტრად იქცეს

4 გვ.

ლარიო. როცა ვეკითხები დღეს, რა ღირს-მეთქი, პასუხი საკმაოდ შთამბეჭდავია – 10 ათასიო. ოღონდ მიწას ვერ იშოვი, ყველას ათვისებული აქვს. გლეხი უკვე ხედავს, რომ მიწას ფასი აქვს და მუშაობს, სახელმწიფოც ეხმარება, ძალიან ბევრი პროგრამა მოქმედებს, მათ შორის, „აწარმოე საქართველოში“. მარტო კახეთის რეგიონში ბოლო სამწელიწადნახევარში 53 სრულებით ახალი საწარმო გაიხსნა და 360-ამდე საწარმო გადაიარაღდა. საერთო ჯამში, თუ არ

ვცდები, ამ საქმეზე, 94 მილიონია დახარჯული. გლეხთან ბოლო ოთხი წლის მანძილზე, სოფლის მეურნეობის გარდა სხვა აქტივობებითაც, პირდაპირ მის ჯიბეში დაახლოებით, 80 მილიონი წავიდა. ამიტომ, ხალხმა დაინახა რომ შრომა ფასდება, სოფელი აღორძინდა, აქეთ, მთის კანონი ეხმარება მაღალმთიან რაიონებს, სოფლებს, ხალხი ხედავს ჯანდაცვის პროგრამის კეთილდღეობას საკუთარ თავზე და ა.შ. თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პრობლემები არის, მაგრამ რაც მთავარია, კახელი კაცი რომელიც თავის სიალალით, სოფლის მიწის სიყვარულით გამოირჩევა ხედავს, რომ არავინ აწუხებს, შრომა ფასდება და ბიზნესი ვითარდება. ეს ყველაფერი გადამდებია.

– ირაკლი, ბოლოს მინდა „ქართული ოცნების“ ახალ სახეებზეც გკითხოთ. ძველ სახეებს და მათ საქმიანობას ქართველი ხალხი მეტ-ნაკლებად იცნობს, მაგრამ რამდენად ენდობიან ახალ სახეებს და რამდენად გაჰყვება მათ მოსახლეობა არჩევნებში?

– არაჩვეულებრივად ვართ შერწყმული, ერთმანეთთან ყოველდღიური, გულწრფელი კავშირი გვაქვს. უფრო მეტიც, ყოველსაათობრივი ურთიერთობა გვაქვს, ერთად ვიხილავთ მნიშვნელოვან საკითხებს, ახლაც, თქვენ რომ გელაპარაკებით, ერთ-ერთი მათგანისგან მესიჯი მომივიდა, ვსაუბრობთ პროგრამაზე და ა.შ.. ვინც ამბობს, რომ ურთიერთობა არ გვაქვს, ის ჩვეულებრივი მარტივი ჭორიკანაა. ჩვენ აუცილებლად ერთად გავიმარჯვებთ და ხალხის ნდობასაც გავამართლებთ. ®

თამარ შველიძე
555 23 28 24

არ გამოვრიცხავ, რომ „ქართული ოცნება“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობით შევიდეს

5 გვ.

ნენ, კომპანიასაც კი ასახელებს, ეს არის საიდუმლო ინფორმაცია, რომლის გავრცელებაც არაფრით არ შეიძლება. ბარამიძის მიმართ შესაბამის სტრუქტურებს სერიოზული კითხვები უნდა გაუჩნდეთ, ის ან იმ დონეზე არაკომპეტენტურია, რომ ვერ ხვდება რას ამბობს, ანდა „ჩანერგილია“ და სპეციალურად ავრცელებს ამ ინფორმაციას. ამათი ნამოქმედარსა და განცხადებებს თუ კარგად გაანალიზებ, იმ დასკვნამდე მიხვალ, რომ ნაცმოძრაობა თავისი სატელიტებიანად, რუსეთის საქმეს აკეთებს. რამდენიმე დღის წინ, ჩემმა მეგობრებმა, რომლებიც ევროპაში სწავლობენ ინფორმაცია მომაწოდეს, რომ **მიხეილ სააკაშვილი და პაატა ბურჭულაძე ჟენევაში შეხვდნენ ერთმანეთს, ბურჭულაძე რაღაც ლონისძიებაზე იყო ჩასული მეუღლესთან ერთად, ხოლო სააკაშვილი სოფო ნიშარაძესთან ერთად სტუმრობდა შვეიცარიას.** სანდრა რულოვსი ყველანაირად ცდილობს ზუგდიდის მაჟორიტარი გახდეს, მისი თანამეცხედრე კი ფავორიტებთან ერთად დასეირნობს, არ არის კურიოზი? უბრალო შეხვედრაზე არაფერს ვიტყოდი, სადღაც შეიძლება ვიღაც შეგხვდეს, მაგრამ, როცა ამ შეხვედრიდან ორ დღეში „გირჩები“ და ვაშაძე ამბობენ, ლიდერი გვჭირდება, პაატა ბურჭულაძის მეტი არავინაა ლიდერი ამ ქვეყანაზეო, მერე ბურჭულაძე ჩამოდის და აცხადებს, გადაწყვეტილია, ვერთიანდებითო, ხომ გაგიჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს ყველაფერი წინასწარ იყო გაწერილი. ახლა ამათ მიეწებებიან ედეპე, პაატა დავითაიას პარტია, ზურაბ ხარატიშვილი, ანუ ორკაციანი პარტიები, ალბათ თორთლაძეც გამოჩნდება, მერე ალბათ ირინა სარიშვილსაც „მიიერთებენ“, ამ ქალბატონის გამოსვლა ხომ საერთოდ „ფენომენალურია“ ევროპულ არჩევანთან დაკავშირებით, ირაკლი წერეთელსაც ვიხილავთ მათ რიგებში, ანუ უფრო „წარმომადგენლობითი“ გაერთიანება შეიქმნება.

- ნინო ბურჯანაძისა და დავით უსუფაშვილის ბოლო დროინდელ განცხადებებს როგორ შეაფასებთ, როცა ერთი უბლოკო სტატუსს გვთავაზობს, მეორე კი კონსტიტუციით ითხოვს ევროატლანტიკური კურსის განსაზღვრას?

- როდესაც პოლიტიკოსები ასეთ განცხადებებს აკეთებენ, თან არჩევნებამდე ძალიან ცოტა ხნით ადრე, ცხადია, ეს პოლიტიკური ქულების ჩაწერის მცდელობაა. ასეთი მაღალი დონის საკითხები, ზუსტად რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს. მოგეხსენებათ, ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით, პლებისციტი ჩატარდა და მოსახლეობის უმეტესობამ ხმა მისცა ამ ბლოკში გაწევრიანებას. მაშინ რატომ გვინდა, რომ ასე ხელაღებით ვთქვათ (რაც არაფრით არ შეიძლება), უბლოკო სტატუსი გვინდა, ნეიტრალიტეტი, ან პირიქით, კონსტიტუციაში ჩაიწეროს ევროატლანტიკური გზა. ვთქვათ, ხვალ დაიშალა ევროატლანტიკური ალიანსი, ამოვიღოთ კონსტიტუციიდან ეს ჩანაწერი? ანდა ყველა ქვეყანა გაერთიანდა ბლოკში, შვეიცარიამაც უარი თქვა ნეიტრალიტეტზე, მაშინ როგორ მოვიქცეთ, ასე ნიავის შემოქროლების მიხედვით ვიცვალოთ კურსი? კონსტიტუცია არის ხელშეუხებელი, უმაღლესი დოკუმენტი და არ შეიძლება წამდაუწუმ ვიძახოთ, ასე ჩავწეროთ, ან ისე ჩავწეროთო. საზოგადოებრივმა ჯგუფებმა ვითარება უნდა მოამზადონ ისე, რომ ხალხის სრული ინფორმირება, რას გულისხმობს ბლოკი, უბლოკო სტატუსი და მერე ხალხმა გადაწყვიტოს რა გვინდა, რადგან ხალხი აძლევს ლეგიტიმაციას ხელისუფლებას და არა რომელიმე ბლოკის თუ უბლოკო სტატუსის მომხრე პარტია. მე ამ შემთხვევაში რეფერენდუმის მომხრე ვარ, მაგრამ სააკაშვილივით იდეა კი არ უნდა ააფრიალონ და თავს მოახვიონ, შინაარსობრივად უნდა იყოს გაწერილი რა სარგებლობას მოგვიტანს ან ერთი, ან მეორე, რომ საზოგადოებას არჩევანი ჰქონდეს, ჭირდება თუ არა ეს ყველაფერი. დანარჩენს, როგორც გითხარით,

პოლიტიკურ პიარსვლად ვთვლი, რომ არჩევნებამდე ორი თვით ადრე უნდათ, რომ განსაკუთრებულად მაღალი ინტერესისა და ლეგიტიმაციის დონის საკითხი, ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტონ. ნაცმოძრაობას თავისი სატელიტებით უნდა, რომ ვითომდა კომპრომატების ომი დაიწყონ, ვიღაც ელისოს გამოაგდებენ, ის საშინელებებს დაწერს. თუ ყველაფერზე წამსვლელი არ ხარ, როგორ უნდა იკადრო ადამიანმა იმის თქმა, რომ ბავშვების ცემა დადგმულია. შეიძლება რაღაც იყო სპეციალურად გადაღებული, მაგრამ იქ ძალიან ორგანული, ბუნებრივი კადრებია, თუნდაც კარანტინის „დაშლის“, იქ წრეში პატიმარს რომ სცემენ, ჩემი ნაცნობიცაა, თვითონ მაჩვენა იქ რომ დგას. ამ ტრამვირებულ ადამიანებს კიდევ შეურაცხოფას აყენებენ, თურმე ზედამხედველებმა უთხრეს, წამოგარტყამთ და იყვირე, ვითომ გაწამებთო. ბათუმში ვარშალომიძე ცდილობს აღმაშენებლის როლის მორგებას, აქეთ უნიკალურ პროექტებზე ამბობენ, რომ თურმე საქართველოს არ ჭირდება. „ნაცები და კომპანია“ ცდილობს, რაც შეიძლება მეტად დაძაბოს ვითარება, ყველაფერი გააფუჭოს, მაგრამ არაფერი გამოუვათ. ამ ვითომდა კომპრომატებითაც ვერაფერს მიაღწევენ, ქართული სამოქალაქო საზოგადოება უკვე გაიზარდა, მასზე არ მოქმედებს ეს ე.წ. კადრები, რომ არჩევნებზე თავიანთი სასურველი გადაწყვეტილება მიაღებინონ. ვისაც უფრო კარგი პოლიტიკური პლატფორმა ექნება, ამომრჩეველიც იმას მისცემს ხმას, იმ შემთხვევაში თუ კარგად იქნებიან ინფორმირებული. „ქართულ ოცნებას“ ის პრივილეგია აქვს, რომ დივიდენდები დააგროვა, ბევრი წარმატებული პროექტი განახორციელა, თუ ასეთი პროექტები გაგრძელდა, ამით საზოგადოებას სთავაზობ, რომ უფრო მეტ მოგებას ნახავს. ამ შემთხვევაში ცხადია, ის ამომრჩეველი, რომელიც ჩასაფრებულის პოზიციაში არ არის ხელისუფლების მიმართ, ხმას ისევ სახელისუფლებო პარტიას მისცემს. ამის საპირწონედ ოპოზიცია ვერაფერს აკეთებს, დაშლილი და დაქსაქსულია, ან ისეთ ბლოკად ერთიანდება, რომელიც რეიტინგს უფრო ამცირებს. პაატა ბურჭულაძემ ამ დაბლოკებით, საერთოდ გაინადგურა რეიტინგი, ბარიერი თუ გადალახეს ექვსი კაცი თუ შევლენ პარლამენტში. სიმართლე გითხრათ, არც იმას გამოვრიცხავ, რომ „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდეს, საარჩევნო კამპანია ფაქტობრივად არც დაწყებულა. თუ სახელისუფლებო პარტია ხალხთან კოორდინაციას არ დაკარგავს, ყოველდღიურ რეჟიმში იმუშავებენ, ძალიან კარგ შედეგს დადებენ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

არნო ხიდირბეგიშვილი:

მსოფლიოში არ არსებობს მეორე ისეთი ქვეყანა, საქართველოს გარდა, სადაც პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას ატარებენ საკუთარი ხალხის ნების წინააღმდეგ!

მსოფლიოში არ არსებობს მეორე ისეთი ქვეყანა, საქართველოს გარდა, სადაც პრეზიდენტი და პარლამენტის თავმჯდომარე ანტისახელმწიფოებრივ პოლიტიკას ატარებენ საკუთარი ხალხის ნების წინააღმდეგ! მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ ქვეყნის მთავარ კანონში შეეტანოთ დეფინიციები სახელმწიფოს მისწრაფების შესახებ რაღაც

დროებით ორგანიზაციებში, მით უმეტეს, სამხედრო ბლოკში გაწევრიანებისკენ! ასეთი რამ ნატოს წევრი ქვეყნების კონსტიტუციებშიც კი არ წერია, მაშ რატომ უნდა გაჩნდეს ასეთი ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციაში, რომელსაც ჯარი, პრაქტიკულად, არ ჰყავს?!

უბლოკო სტატუსი ანუ ე.წ. სამხედრო ნეიტრალიტეტი საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის და სამაჩაბლოს შენარჩუნების კარგი მეთოდი იყო. დღეს კი, იქ რუსეთის სამხედრო ბაზებია განთავსებული. უბლოკო სტატუსზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ტერიტორიებად არ ჩავთვლით. და ამ შემთხვევაშიც კი, უბლოკო სტატუსზე ლაპარაკი არასერიოზულია.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ აქ არ არიან არც რუსები, არც ამერიკელები. განა შეძლებს გეოპოლიტიკურად მიმზიდველი ქვეყანა ჯარისა და მოკავშირეების გარეშე ასეთ „ცხელ“ რეგიონში თავის დაცვას?!

შეძლებს კი საქართველო, მარტო დაუპირისპირდეს ტერორიზმს – ისლამურ სახელმწიფოს, რომელთან საბრძოლველად სუპერსახელმწიფოებიც კი – რუსეთი და აშშ – კოალიციებს ქმნიან, ანუ სამხედრო ბლოკებში ერთიანდებიან?!

რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს! მითხარით, გეთაყვა, რა დაეწუნებოდათ მოკავშირეებს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან (ОДКБ), რომელიც საქართველომ დატოვა? და რა საჭიროა, აპრიორი, კონსტიტუციის დონეზე გამოირიცხოს საქართველოს შესვლა ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში (ЕврАзЭС), რომელიც, ეკონომიკურის გარდა, ერთიან სამხედრო სივრცეს, ანუ სამხედრო ურთიერთდახმარებას ითვალისწინებს?! მოვლენები როგორ განვითარდება, ეს მხოლოდ ღმერთმა უწყის, მაშ, რა საჭიროა წინასწარ „ხიდების დაწვა“?

საქართველო ნატოში შესვლაზე უარს ერთი მარტივი მიზეზით ვერ იტყვის – იმიტომ, რომ საქართველოს ნატოში არავინ არ იღებს და მიღებას არც აპირებს! როგორ შეიძლება, უარი იმაზე თქვა, რაც არ არსებობს?! უსუფაშვილის წინადადება რომც გავიდეს და კონსტიტუციაში ჩაწერონ დებულება საქართველოს ნატოსკენ მუდმივი სწრაფვის შესახებ, ჩვენ სამუდამოდ „სუფრასთან მიშვებისკენ მიმსწრაფველებად“ დავრჩებით, როგორც ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ფაზილ ისკანდერი იტყოდა.

ასე რომ, რუსეთის მოტყუება და უბლოკო სტატუსის გაცვლა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე არ გამოვა. ხოლო ევროატლანტიკურ ორიენტაციაზე უარის თქმა რუსეთთან დათმობაზე წასვლა კი არა, საქართველოსთვის სიკეთეა და მის სახელმწიფო ინტერესებს პასუხობს.

საქართველოს მიერ უბლოკო სტატუსის მიღებას ავტომატურად არ მოჰყვება აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა, რუსეთის მიერ მათ აღიარებაზე უარის თქმა და დევნილების დაბრუნება. ამისათვის სხვა, მაქსიმალურად კონფიდენციალური იუველირული მუშაობაა საჭირო და არა მოსკოვში გაპიარებული სირბილი და პლაკატური ლოზუნგები.

ქართველ პოლიტიკოსებს, რომლებსაც კონსტიტუციაში რაღაცების შეცვლა სურთ, როგორც ჩანს, დაავიწყდათ, რომ მათთვის მხურვალედ საყვარელ ამერიკაში მხოლოდ ერთი კონსტიტუციაა, რომელიც 1787 წელს მიიღეს და რომელშიც დღემდე მხოლოდ 27 შესწორებაა შეტანილი! საქართველოში კი 1921 წლიდან ოთხი კონსტიტუცია გვქონდა, ბოლო ორი 1995 და 2010 წელს იქნა მიღებული, შესწორებების რაოდენობაზე ხომ აღარც ვლაპარაკობ!

როცა სხვადასხვა ინსტიტუციები პოლიტიკური პროსტიტუციით არიან დაკავებული და კონსტიტუციებს კარიერული და კორუფციული მოსაზრებებით ცვლიან, ეჭვი არ მეპარება, რომ ყოველი ასეთი კაბალური შესწორების ან კანონპროექტისთვის დასავლეთი დიდ ფულს უხდის პარლამენტის თავმჯდომარეს. მაგალითად, უსუფაშვილმა უეჭველად უხვი ანაზღაურება მიიღო პარლამენტში ინიცირებული და გატანილი „ანტიდისკრიმინაციული კანონისთვის“.

სირცხვილი! სამეგრელოს ანალური ჯალათის, მანიაკის, შიზოფრენიკისა და ნარკომანის ცოლი, „ცე-ერ-უ“-ს მსუბუქი ყოფაქცევის ჯაშუში, მოკლული პატიმრების ორგანოებით მოვაჭრე სანდრა რულოვსი პარლამენტში კენჭს ზუგდიდიდან იყრის.

თხუნელა უსუფაშვილს ამით ერთდროულად რამდენიმე ძირგამომთხრელი მიზნის მიღწევა სურდა: წინასაარჩევნო პერიოდში „ქართული ოცნების“ პოტენციურ ამომრჩევლებში პანიკის გამოწვევა და მათი დაფრთხობა; ქვეყანაში სიტუაციის დესტაბილიზაცია „ქართული ოცნების“ მოწინააღმდეგეთა – რესპუბლიკური პარტიის, „ნაცმოძრაობის“, ალასანიას, ბურჭულაძის, ჯაფარიძის, ვაშაძის, კაციტაძის და სააკაშვილის სხვა სატელიტი პარტიების ინტერესების სასარგებლოდ; ბიძინა ივანიშვილის იმიჯის შელახვა, რომელიც თითქოსდა ქართველ ხალხს ტოვებს და საზღვარგარეთ გარბის; ქართველების გაბრაზება ივანიშვილზე, რომელიც ვითომდა ფარულად უზიარებს თავის საიდუმლო გეგმებს ხალხისათვის საძულველი რესპუბლიკელების ლიდერს. და რაც მთავარია, ამ განცხადებით უსუფაშვილმა ივანიშვილის დაშანტაჟება სცადა.

ივანიშვილის პარტიის პრორუსულობაში მხილებით ხიდაშელი მთავრობას აშანტაჟებს, რეპრესიებისკენ უბიძგებს, როგორც სააკაშვილის დროს; ანადგურებს ივანიშვილის ხელისუფლების მთავარ მონაპოვარს – დემოკრატიას, რომლის წყალობითაც ამ „პრორუსულმა ძალებმა“ საკუთარი თავის ხმამაღლა წარმოჩენა გაბედეს; ხიდაშელი დასავლეთის თვალში ივანიშვილისა და მისი პარტიის დისკრედიტაციას ახდენს, როგორც „პრორუსულის“, და „ერთადერთი პროდასავლური“ რესპუბლიკური პარტიისთვის ახალ-ახალ გრანტებს იხვეჭს. და რაც მთავარია, ხიდაშელიც, როგორც მისი ქმარი, ივანიშვილის დაშანტაჟებას ცდილობს, რათა ერთი-ორი მილიონი წაჰგლიჯოს!

სინამდვილეში, ოფიციალური მოსკოვი ყოველთვის ამჯობინებს, საქმე ოპოზიციასთან კი არა, ხელისუფლებასთან დაიჭიროს, თუნდაც ყველაზე უარესთან, როგორიც იყო შევარდნაძის ან სააკაშვილის ხელისუფლება, იმიტომ რომ, საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილებებს მაინც ხელისუფლება იღებს. ასე რომ, თხუნელა ხიდაშელიც ცრუობს, ისევე, როგორც მისი ქმარი.

საინტერესოა, რესპუბლიკელები და ყველა ის, ვინც დღეს „პრორუსული ძალების“ აკრძალვას ითხოვს, რატომ არ მოითხოვენ, აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა“ – კრიმინალური დაჯგუფება, რომელმაც საქართველოში სისტემური დამნაშავეობა დანერგა და რომლის დამფუძნებელი და უცვლელი ლიდერი ოფიციალურად ძებნილი სისხლის სამართლის დამნაშავე, სიფილიტიკი სააკაშვილია?!

ხალხის ნების მიუხედავად, რატომ არ დაიწყო კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“, რომელშიც რესპუბლიკური პარტიაც შედიოდა, სამართლებრივი პროცედურები იმ პარტიისთვის რეგისტრაციის გასაუქმებლად, რომელიც მხილებულია საქართველოს მოქალაქეთა მასობრივ წამებასა და მკვლელობაში, საკუთარი ხალხის გენოციდში სამაჩაბლოში?!

სირცხვილი! სამეგრელოს ანალური ჯალათის, მანიაკის, შიზოფრენიკისა და ნარკომანის ცოლი, „ცე-ერ-უ“-ს მსუბუქი ყოფაქცევის ჯაშუში, მოკლული პატიმრების ორგანოებით მოვაჭრე სანდრა რულოვსი პარლამენტში კენჭს ზუგდიდიდან მაჟორიტარად იყრის!

ანდა „ქართული ოცნების“ მიმნებებლობით, გიულენის და გიულის შავი ზღვის უნივერსიტეტის გვერდზე რატომ იმყოფება დღემდე დივერსიული ცენტრი ოქროს ასოებიანი წარწერით „სააკაშვილის საპრეზიდენტო ბიბლიოთეკა“, რომელიც ფეთჰულაჰ გიულენის ფულით აშენდა და სადაც მისი წიგნები ინახება?! თუ რუსეთი ერდოღანს არ გადაარჩენდა და თურქეთში სამხედრო გადატრიალება გაიმარჯვებდა, მეორე ეტაპზე თურქული არმია აჭარაში შემოვიდოდა – ყარსის ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე ხუთი წლით ადრე – „ბათუმის ვილაიეთის“, „გურჯისტანის“ მმართველად კი – გიულენის შვილობილ მიშა-ფაშას დასაბრუნებლად!

რაც შეეხება რუსეთს, ის დაელაპარაკება ყველა ჯანსაღ და კომპეტენტურ ძალას, თუ ისინი შედგებიან, როგორც პოლიტიკური პარტიები და პარლამენტში მოსვლას შეძლებენ, რაც ხალხის მხარდაჭერის მოწმობა იქნება. ამიტომ ასეთმა ძალებმა უნდა დაარწმუნონ არა რუსი პოლიტიკოსები, არამედ ქართველი ხალხი, რათა მოიპოვონ უფლებამოსილება, რუსეთთან თავიანთი ამომრჩევლის სახელით ილაპარაკონ.

მე მაინც მიბჟუტავს იმედი, რომ ხელისუფლება, რომელმაც გასულ კვირას პუშკინის ქუჩაზე სააკაშვილის მიერ გაუქმებული ორმხრივი მოძრაობა აღადგინა, იმ დიდ გზაზეც აღადგენს ორმხრივ მოძრაობას, რომლითაც ალექსანდრ სერგეევიჩი რუსეთიდან საქართველოში დადიოდა...

მამუკა მდინარაძე:

„ქართულ ოცნებას“ მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე ყველა დანარჩენ პარტიას ერთად

რას ფიქრობს საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნებისა“ და მისი კონკურენტების შანსებზე, მოახლოვებული არჩევნების „მოდის ტენდენციებზე“, რას პირდება საბურთალოს მე-4 საარჩევნო უბნის მოსახლეობას და რატომ არის 2016 წლის ოქტომბერი მისი ოჯახისთვის გამორჩეულად ბედნიერი? ამაზე „საერთო გაზეთს“ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრი და მაჟორიტარი დეპუტატი მამუკა მდინარაძე ესაუბრა:

– 2000 წელს წარჩინებით დავამთავრე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2001-დან 2004 წლამდე ვმუშაობდი საქართველოს შსს საგამოძიებო დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო სამსახურში გამომძიებლად. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ორი ბათუმელი სტუდენტის გათავისუფლების საქმე, რის გამოც საგამოძიებო სამსახურის უფროსთან და ერთ თანამშრომელთან ერთად დამაკავეს. მაშინ ეს იყო ძალიან რეზონანსული საქმე, რომელმაც საზოგადოებისაყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. მაშინ 10 დღე საპყრობილეშიც კი მოგვიწია ყოფნა. შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით იყო გამომძიებლების დიდი ერთსულოვნება, რომლებმაც პატაკების წერა დაიწყეს ჩვენი გათავისუფლების მოთხოვნით. საბოლოოდ, საზოგადოების ერთსულოვნებისა და ჟურნალისტების მხარდაჭერის წყალობით, ხელისუფლებაში ახლად მოსულმა ნაციონალურმა მოძრაობამ უკან დაიხია და პატიმრობიდან გაგვათავისუფლა, თუმცა ეს ამბავი ამით არ დასრულებულა. საქმე რეზონანსული რომ არ ყოფილიყო, ადეეშვილმა „კეთილი ნება გამოიჩინა“ და ჩვენ მიმართ სამართლებრივი დევნა შეწყდა, თუმცა ეს რეაბილიტაციას არ ითვალისწინებდა. ჩვენ ვარჩიეთ გაგვერისკა და საკუთარი სიმართლე სასამართლოში დაგვედასტურებინა.

– გასარისკი რა იყო?

– გამამტყუნებელი განაჩენის შემთხვევაში, სამ წლიანი პატიმრობა გვემუქრებოდა, მაგრამ ჯერ სააპელაციო და შემდეგ უზენაესმა სასამართლომ ჩვენს მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. ამის შემდეგ იყო 11 წლიანი საადვოკატო პრაქტიკა. 2005 წელს დავოჯახდი. სხვათა შორის, რვა წლის განმავლობაში შვილი არ მყავდა. ახლა სამი წლის ბიჭი მყავს და მეორე შვილს სწორედ ოქტომბერში, საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ველოდები. ამიტომ ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის 2016 წლის ოქტომბერი განსაკუთრებულია. საადვოკატო საქმიანობის პარალელურად, შშმ პირების, სპორტსმენების და პარასპორტსმენების მხარდაჭერით გავხდი „საქართველოს პარაოლიმპიური ფონდის“ პრეზიდენტი და შეძლებისდაგვარად, ვცდილობდი მათ გვერდით დგომას. ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაცია „ადვოკატთა ალიანსის“ ხელმძღვანელი, „საქართველოს იურისტთა ეროვნული ასოციაციის გამგეობის“ წევრი, 2009-დან 2014 წლამდე გახლდით არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლის მონიტორინგის ცენტრის“ დამფუძნებელი. სხვათა შორის, ამ ორგანიზაციამ სამი-ოთხი წლის განმავლობაში, ევროპის ბევრ ქვეყანაში 20-ზე მეტი ადვოკატის დატრენინგება შეძლო . შემდეგ უკვე დოქტურანტურაში ვსწავლობდი. ჩემი პროფესიაში სადოქტორო დისერტაცია დავიცავი და უკვე ერთი წელია სამართლის დოქტორი ვარ. ვიყავი საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატი.

– „ქართულ ოცნებასთან“ როგორ აღმოჩნდით?

– მესმოდა საუბრები, რომ „ქართული ოცნება“ გამოცდილ და თავიანთ სფეროში წარმატებული ადამიანების შერჩევას ახორციელებდა და პარტიის ხელმძღვანელებს შევუთვალე, რომ მათი სურვილის შემთხვევაში, შემელო გვერდით დავდგომოდი. პრემიერთან, კახი კალაძესთან და ირაკლი კობახიძესთან შეხვედრების შემდეგ, გადაწყდა პოლიტსაბჭოში ჩემი შეყვანა. ამჟამად საბურთალოს მეოთხე ოლქის მაჟორიტარი ვარ. გულწრფელად რომ გითხრათ, არც კი ველოდი, ისეთ მხარდაჭერას ვგრძნობ ამ უბნის მაცხოვრებლების მხრიდან. ნაცნობი თუ უცნობი ადამიანები გვეკოტაქტებიან და ამბობენ, რომ გუნდის განახლებამ ჩვენი მხარდაჭერის მეტი სტიმული მისცათ. აი, ამიტომ სრულიად დარწმუნებული ვართ ჩვენს გამარჯვებაში, თუმცა, ჩვენს გამარჯვებაზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა ქვეყანამ გაიმარჯვოს, სწრაფად განვითარდეს და თითოეული ადამიანის ოჯახში შევიდეს კეთილდღეობა.

– „ქართულ ოცნებას“ ხშირად საყვედურობენ, რომ დამნაშავე რეჟიმთან კოჰაბიტაციის გზა აირჩია და სამართლიანობის აღდგენაზე უარი თქვა. თქვენი აზრით, რატომ აირჩია ხელისუფლებამ ასეთი სტრატეგია?

– კოჰაბიტაცია არ იყო „ქართული ოცნების“ ნება. ეს იყო რეჟიმიდან დემოკრატიულ სახელმწიფოზე უმტკივნეულო გარდაქმნის გზა, რომელმაც ადამიანების სიმშვიდე და დაცულობა უზრუნველყო. დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნება“ რომ წინამორბედების გზით წასულიყო, ქვეყნისთვის ძალიან მტკივნეული იქნებოდა. შეიძლება ამან კრიტიკა გამოიწვია, მაგრამ უფრო მთავარია, რომ ამით ქვეყანა ნეგატიურ მოვლენებს გადარჩა. აქვე, ერთ საკითხსაც დავაკონკრეტებ, იმ ოთხი წლიდან, რაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში იყო, ერთი წლის განმავლობაში ჩვენ ისევ ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტი გვყავდა, ორი წლის განმავლობაში, თვითმმართველობის ორგანოებში ისევ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები იყვნენ, ბოლო დრომდე ეროვნულ ბანკს გიორგი ქადაგიძე მართავდა, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს ახლაც გიორგი პაპუაშვილი მართავს. არ მინდა რამე ვამტკიცო, მაგრამ დიდი ეჭვებია იმასთან დაკავშირებით, რომ საკონსტიტუციო სასამართლო კონკრეტული პარტიებისა თუ კონკრეტული პირების ინტერესებს ატარებს. შესაბამისად, ეს გასავლელი გზა იყო. საბოლოო ჯამში, ყველაფერი დაილექება, დაღვინდება და შემდეგი ოთხი წელს გვექნება „თავისუფალი ველი“, სადაც მეტი სწრაფი განვითარების მეტი საშუალება იქნება. ჩვენ შევძლებთ ჩავდგეთ ცივილიზებული ქვეყნების რიგში, სადაც ადამიანს, რომელიც „ქართული ოცნების“ მთავარ ღირებულებას წარმოადგენს, ექნება თავისუფლად მოქმედების, განვითარების და ეკონომიკური კეთილდღეობის უფლება და საშუალება. რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენას და დამნაშავეების დასჯას, შეგახსენებთ, რომ რეჟიმის ავტორები, თანაავტორები და მთავარი დამნაშავეები – 80-ზე მეტი ადამიანი პასუხისგებაშია მიცემული. მათი ნაწილი დაპატიმრებულია, ნაწილი მართლმსაჯულებას გაექცა და მათ მიმართ სხვა სამართლებრივი პროცედურები მიმდინარეობს. ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის 80-ზე მეტი ადამიანის დაპატიმრება ცოტა არაა. ამასთან, „ქართულ ოცნებას“ ამის გაპიარება და სატელევიზიო დაჭერები არ მოუხდენია. სწორედ ასეთი პიარისა და ამგვარი დამოკიდებულებების გამო, ვიღაცეებს აქვთ განცდა, რომ ნაციონალური მოძრაობის რეპრესიების მიუხედავად, მაშინ საქმე კეთდებოდა, ახლა კი არა. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი კარგად არის და მოუგვარებელი პრობლემები არ დაგვრჩა, მაგრამ ყველა მონაცემით, ამ ოთხ წელიწადში, საქართველოში მეტი საქმე გაკეთდა და ნებისმიერ სფეროში მეტ წარმატებას მივაღწიეთ, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს. არ მინდა, რომ მაინცდამაინც ნაციონალებს შევედაროთ, რადგან მაგრამ რეალურად, რაღაცას ხომ უნდა შევადაროთ? – იქნებ, კონკრეტული დარგები და მაგალითები დაგვისახელოთ, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ წინა ხელისუფლებასთან შედარებით, მეტ წარმატებას მიაღწია?

– თუნდაც დედაქალაქის მაგალითზე გეტყვით, რომ თბილისში წელიწადში ნახევარ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი გზა არ იგებოდა. შარშან სტიქიური უბედურებების ფონზე, მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი გზა დაიგო და წელს ეს ციფრი მილიონ 400 000 კვადრატულ მეტრზე ავიდა. იგივე ხდება ავტობანებთან დაკავშირებით– ცხრა წლის განმავლობაში, დაახლოებით, 70 კილომეტრამდე ავტობანი გაკეთდა, როდესაც ბოლო 4 წლის მანძილზე თით-

ქმის 100 კილომეტრამდეა გაკეთებული. მსოფლიო ბანკის კვლევებით, მსოფლიო რეიტინგში რამდენიმე ათეული პოზიციით ვართ დაწინაურებულები, მაგრამ დროა, რომ ეს წინსვლა თითოეულმა ოჯახმა და მოქალაქემ იგრძნოს. რა თქმა უნდა, კარგია, რომ შეიქმნა 70 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი, მათ შორის, 55 000-ზე მეტი კერძო სექტორში. კარგია, რომ ამ ადამიანების ოჯახებმა შვება იგრძნეს, მაგრამ რა ქნას იმ 230 000-მდე ოჯახმა და უმუშევარმა ადამიანმა, რომელიც დარეგისტრირებულია და სამსახურს ელოდება? სწორედ ამ ადამიანების და მთელი მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას უზრუნველყოფს ის „თავისუფალი ველი“, რომელზეც ზემოთ მოგახსენებდით და ამას გაცილებით სწრაფად და დინამიკაში გააკეთებს.

— თქვენი, როგორც პოლიტიკოსის დებიუტი „მოწინააღმდეგის ველზე“ შედგა, სადაც დებატები მშვიდად და დამაჯერებლად მოიგეთ. ახლაც ფიქრობთ, რომ კორცხელის ინციდენტი პროვოკაცია იყო და ამ კონკრეტულ უბანზე ნაციონალების გამარჯვება სამეგრელოს რეალურ განწყობა არ ასახავს?

— კორცხელი ნამდვილად პროვოკაცია იყო და ამას „წყალი არ გაუვა“. „არჩევანის“ ეთერში, სადაც ლამის ნაციონალური მოძრაობის პირველი ათეული იყო წარმოდგენილი, ჩემი დებატებში დამარცხება პიარ-შოუს ელემენტებით უნდოდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ, რადგან მართლები ვიყავით. როდესაც ადამიანი მართალი ხარ, ყველა დებატებს მოიგებ. მაშინაც და ახლაც დარწმუნებული ვარ და ვიცი, რომ ეს პროვოკაცია იყო, თუმცა ძალიან ცუდია, რომ ჩვენმა მომხრეებმა ვერ მოახერხეს, რომ პროვოკაციას არ წამოგებოდნენ. მე მაშინვე დავპირდი მოსახლეობას, რომ ყველანაირად შევეცდებოდი მომავალში ასეთი ინციდენტები თავიდან აგვერიდებინა. შეიძლება ფიცხ, ქართულ ხასიათში რაღაცეების მოთმენა არ ჯდება, მაგრამ როცა პარტიას წარმოადგენ ან გუნდის მხარდამჭერი ხარ, მხოლოდ შენ თავს არ ეკუთვნი და მეტი პასუხისმგებლობა მოგეთხოვება. შეიძლება, მეც არ მომწონს რაღაცეების მოსმენა, მაგრამ იმის პასუხისმგებლობა, რომ არასწორი მოქცევა ჩემს გუნდს და მთლიანად საზოგადოებას დააზიანებს, ბოლომდე გათავისებული მაქვს. რაც შეეხება არგუმენტს, რომ კორცხელსა თუ ნასაკირალში გამარჯვება სამეგრელოში, გურიასა თუ სხვა რეგიონებში ნაციონალურ მოძრაობის მყარ პოზიციებზე მიუთითებს, ასე არაა. ეს დემოკრატიული პროცესია და არაფერია საგანგაშო იმაში, რომ შეიძლება რომელიღაც უბნებზე ვიღაცას მეტი მხარდამჭერი ჰყავდს. სხვათა შორის, 2014 წელს თვითმმართველობის არჩევნებში „ქართული ოცნების“ მყარ პოზიციებზე არავინ საუბრობდა, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ დაახლოებით 850 უბანზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ახლაც, ზუსტად ვიცით, რომ „ქართულ ოცნებას“ მეტი რეიტინგი აქვს, ვიდრე დანარჩენ პარტიებს ერთად. დარწმუნებული ვარ, მაშინაც, როდესაც ნაციონალები სახელგატეხილი ორგანიზაციების კვლევებით საუბრობენ, ციფრებით მანიპულირებენ და თანაბარ რეიტინგებს დებენ, გვერდით უდევთ რეალური შედეგები, რომლის მიხედვით „ქართულ ოცნებას“ მათზე სამჯერ მეტი რეიტინგი აქვს. მართალი გითხრათ, მე მათი რეალური რეიტინგიც მაკვირვებს, თუმცა ყველა ადამიანს აქვს უფლება თავისი აზრი ჰქონდეს. რასაც არ უნდა აკეთებდეს და რა პროვოკაციულ ღონისძიებებსაც არ უნდა აწყობდეს ნაციონალური მოძრაობა, მის მხარდამჭერს სრული უფლება აქვს, ის მოწონდეს, ვინც უნდა. ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, რადგან ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებიც ჩვენი მოქალაქეები არიან და მათზეც ისევე უნდა ვიზრუნოთ, როგორც ჩვენ მხარდამჭერებზე. საბოლოოდ, მხარდამჭერი იქნება თუ არა, ყველამ უნდა იფიქროს, რომ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში თუნდაც ერთი აგური დადოს.

— ახლადშექმნილ საარჩევნო ბლოკებზე რა აზრის ხართ და მოახლოვებულ არჩევნებში მთავარ კონკურენტად ვის მოიაზრებთ?

— მიჭირს მთავარ კონკურენტთან დაკავშირებით პასუხის გაცემა, რადგან სამწუხაროდ, ყველა კვლევით, გაცილებით დაბალი რეიტინგით, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა მაინც მეორე ადგილზეა. როგორც ჩანს, მათ მოახერხეს მყარი ელექტორატის შექმნა და ეს დღევანდელი მოცემულობაა. რაც შეეხება სხვა ოპოზიციურ პარტიებს, ზოგიერთ მათგანს ბევრი ღირსეული წევრი ჰყავს, თუმცა არ არსებობს ერთიანი ღირებულებები. არ დავაკონკრეტებ, მაგრამ ერთერთ პარტიაში ვიცნობ ძალიან ღირსეულ და მაღალი პროფესიონალიზმის მქონე ხუთ ადამიანს, მაგრამ მეორე ხუთეული ჩემი აზრით, არც ღირსებით და არც პროფესიონალიზმით გამოირჩევა. მათ არა აქვთ ერთიანი ღირებულებები და ალბათ, ამ სისუსტის გამო ერთიანდებიან, რომ ოპოზიციური ფლანგი გააძლიერონ. ძლიერი ოპოზიციური ძალები დემოკრატიისთვის აუცილებელი პირობაა, ამიტომ ასეთ გაერთიანებებში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ბევრჯერ მითქვამს „რუსთავი 2“- თან დაკავშირებით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ტენდენციურ და არაობიექტურ ტელევიზიად მიმაჩნია, ფიქრობ, მისი არსებობა ქართული დემოკრატიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ასეთი ტელევიზია ხელისუფლებას მოდუნების საშუალებას არ აძლევს, რაც ძალიან კარგია. რაც უფრო ძლიერია ოპოზიციური ტელევიზია, მით უფრო მოტივირებულია ხელისუფლება კარგი საქმეების კეთებისთვის. როდესაც „რუსთავი 2“ უმცირეს გადაცდომას უზარმაზარ შეცდომად წარმოაჩენს, ცდილობ, რომ ის უმცირესი გადაცდომაც არ დაუშვა. ნაციონალები „ამ ფუფუნებას“ მოკლებული იყვნენ, იმიტომ, რომ მაშინ ოპოზიციურ მედიას ზეწოლის და შატაჟის პირობებში უწევდა მუშაობა, თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ქართველმა ჟურნალისტებმა მოახერხეს საშინელი რეჟიმის პირობებში მუშაობა და იმაში, რომ საქართველოს ისტორიაში ასეთი ძირეული გარდატეხა მოხდა, მათი დიდი დამსახურებაა.

— საერთო ღირებულებები ახსენეთ, შეამჩნევდით, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ერთგვარ მოდურ ტენდენციად იქცა ნაციონალური მოძრაობის და მისი სატელიტი პარტიების დასავლური ღირებულებების გარშემო გაერთიანება.

— როცა ღირებულებებზეა საუბარი, ამისთვის ლაპარაკი და გულზე მჯიღების ცემა საკმარისი არაა. პროდასავლურობა უნდა აისახოს პარტიის თუ მმართველი ძალის ქმედებებში. ამისათვის საჭიროა ისე მოქმედებდე, როგორც დასავლური ქვეყნების დემოკრატია და ხელისუფლებები მოქმედებენ. პროდასავლურობაზე შეუძლია ისაუბროს „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც აშენებს თავისუფალ ადამიანზე ორიენტირებულ, დემოკრატიულ ინსტიტუტებს და ამ საქმიანობაში სრული თანხვედრა აქვს ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან. ესაა მთავარი განმსაზღვრელი და არა ის, რომ ვიღაცა ერთს ამბობს და იმას აკეთებს, რასაც დემოკრატიასთან საერთო არაფერი აქვს. ეს არის მთავარი ინდიკატორი და აქედან გამომდინარე, საზოგადოებამ თავად უნდა გადაწყვიტოს, ვისი სიტყვა შეესაბამება ქმედებას და ვის უნდა ენდოს.

— საუბრის ბოლოს, რას ეტყვით და რით გაახარებთ საბურთლოს მე-4 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველს?

— შემიძლია თითოეულ ამომრჩეველს მთელი პასუხისმგებლობით ვუთხრა, რომ მათ ეყოლებათ მაჟორიტარი, რომელსაც გულწრფელობა არ აკლია და 11 წლიანი საადოკატო პრაქტიკის მანძილზე არ ჰქონია შემთხვევა, რომ ვინმე მოეტყუებინა. პროფესიული საქმიანობის დროს, ყოველთვის ვცდილობდი, რომ ნაკლები დაპირება გამეცა და მეტი გამეკეთებინა და მომავალშიც ასე ვაპირებ, რადგან იმ ადამიანთა რიცხვს მივეკუთვნები, რომელსაც ურჩევნია ნაკლები დაპირება და მეტი სიკეთე მიიღოს. როცა ადამიანები ნდობას გიცხადებენ, ვალდებული ხარ მათი პრობლემების მოსაგვარებლად ყველა კარი შეაღო. ეს არის ადამიანის მორალური ვალდებულება, რომელსაც ვერავინ გაექცევა. ვფიქრობ, სწორედ ამაზე ვიქნები ორიენტირებული და ამ რაკურსით მე და ჩემი ამომრჩეველი განსაკუთრებულად გავუგებთ ერთმანეთს.

— თქვენც და თქვენს ამომრჩეველსაც წარმატებებს გისურვებთ.

— გმადლობთ.

ნელი თორდია
571 35 36 88

®

ვახტანგ მაისაია:

დღეს ჩვენ ვიმყოფებით გეოპოლიტიკურ ცუგცვანგში

გვესაუბრება სამხედრო ექსპერტი, დიპლომატი ვახტანგ მაისაია

— იმის შემდეგ, რაც ერდოღანისა და პუტინის შეხვედრა შედგა პეტერბურგში, რუსეთმა ირანთანაც შეძლო მნიშვნელოვანი პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა. ახლახან ცნობილი გახდა, რომ რუსეთი ბალტიის ქვეყნებსა და სკანდინავიას უსაფრთხოების საკითხების განსახილველად იწვევს. საქართველო, რომ იტყვიან, თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

— ნატოს ვარშავის სამიტზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც შეკავების სტრატეგია შემუშავდა ნატოს შემადგენლობაში. ამერიკამ, კანადამ და ბრიტანეთმა გამოყვეს 4 მექანიზირებული ბატალიონი, რომელიც განთავსდება პოლონეთში, ლატვიასა და ესტონეთში და ამით განახორციელებენ ამ ქვეყნების სამხედრო უსაფრთხოებას რუსული აგრესიის შესაკავებლად.

სიტუაციამ დაძაბული სახე მიითო, ანუ ახალი ცივი ომის რეციდივი შეიქმნა.

ბალტიიდან შავი ზღვის აკვატორიის ჰაბი, გარკვეულწილად, კვეთს სამხრეთ კავკასიასაც, მაგრამ სამხრეთ კავკასიის რეგიონი, მეორე მხრივ, გადადის მეორე დაპირისპირების, აღმოსავლეთის კონფლიქტის ზონაში, სადაც აშკარა ხდება ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება იმ ფონზე, როცა რუსეთი და ამერიკა არიან მოკავშირეები ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში, თუმცა იგივე სირიის თავისუფალ არმიასთან, ჯაფხატ ალ ნუსრას დაჯგუფებასთან და სხვა დაჯგუფებებთან ურთიერთობაში მათი ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ახლო აღმოსავლეთის მიმართულებით სიტუაცია კარდინალურად იცვლება. ბაქოს სამიტმა შეცვალა ძალთა ბალანსი და ახალი ცივი ომის პირობებში თუ ძალთა ბალანსი რუსეთსა და ნატოს შორის ერთგვარად თანაბრად ბალანსირებულია, იმის მიუხედავად, რომ რუსეთს აქვს ეკონომიკური სანქციები და სხვა პრობლემებიც უხვად გააჩნია, მისი სამხედრო პოტენციალი საკმაოდ ძლევამოსილი გახლავთ, რითაც შეუძლია პრობლემები შეუქმნას ნატოს შეიარაღებულ ძალებს.

თუკი ევროკავშირიდან ბრიტანეთის გამოსვლამ სერიოზული დარტყმა მიაყენა ევროკავშირს. ნატოსა და თურქეთის ურთიერთობების გაუარესებამ, ამერიკა-თურქეთისა და ევროკავშირ-თურქეთის, გერმანია-თურქეთის და სხვა ურთიერთობების ცვლილებამ მნიშვნელოვანი ძვრები გამოიწვია მსოფლიოში.

დღეს თურქეთი ცდილობს შევიდეს ალიანსში თეირანთან და მოსკოვთან, რაც ნიშნავს, რომ ახალი რეგიონული ჰეგემონობა მყარდება სამხრეთ კავკასიაში.

— ეს შეიძლება რუსეთის ინიციატივა იყოს?

— რა თქმა უნდა. შედგა შეხვედრა ერდოღანსა და პუტინს შორის, მანამდე ერდოღანი და ჰასან რუჰანი შეხვდნენ ერთმანეთს ბაქოში. რამდენიმე დღის წინ ერდოღანი თეირანში შეხვდა რუჰანს. ეს ნიშნავს, რომ იქმნება ახალი სამეული. მოსკოვის, თეირანისა და ანკარის არაფორმალური გაერთიანება, რომელიც წარმოადგენს ახალი რეგიონული უსაფრთხოების სისტემის შექმნას სამხრეთ კავკასიის მიმართულებით.

— საქართველომ როგორი პოლიტიკური რაკურსით უნდა შეხედოს ამ ფაქტებს და რა ტიპის პოლიტიკა უნდა აწარმოოს?

— ცოტა რთული სათქმელია, რადგან ფაქტია, რომ ამ ახალ გაერთიანებაში არავინ არ გვეპატიჟება, იმ დროს, როცა ბაქოში ირანმა და რუსეთმა, ფაქტობრივად, გადაინაწილეს აბრეშუმის გზის პერსპექტივები. აბრეშუმის გზა ახლა რუსეთისა და ირანის მიმართულებით გაივლის.

ჩვენმა საგარეო პოლიტიკურმა კურსმა, შეიძლება ითქვას, სრული ფიასკო განიცადა.

— მიზეზი?

— ჩვენ, სამწუხაროდ, გადავყევით შიდა პოლიტიკური პროცესების დარეგულირებას. დიპლომატიური თვალსაზრისით, თვალშისაცემია არაპროფესიონალების საქმიანობის შედეგები. თუნდაც ანალიტიკური კვლევების თვალსაზრისით სრული კატასტროფაა.

სააკაშვილის მმართველობისასაც ეს სფერო იყო, ფაქტობრივად, მკვდარი ზონა, მაგრამ ის ბალანსირდებოდა უცხოელი ანალიტიკოსების კვლევების საფუძველზე, ამერიკელი ლობისტები და მრჩეველები ამ მხრივ აქტიურად მუშაობდნენ. დღეს ეს მექანიზმიც მოშლილია.

საგარეო პოლიტიკის კუთხით საქართველომ აირჩია ერთგვარი იზოლაციონიზმის კურსი, უფრო სწორად მიკროიზოლაციონიზმის მიმართულება. დავკმაყოფილდეთ იმით, რომ ევროკავშირთან ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულების შეთანხმებას, რაც უფრო გეოეკონომიკური მნიშვნელობის იყო და გადავეშვით შიდაპოლიტიკური პრობლემების მორევში და მივიღეთ ის, რომ დღეს საქართველო არის იზოლირებული, მძიმე გეოპოლიტიკური ფონით და როგორ განვითარდება მოვლენები, არავინ იცის.

საჭიროა რუსეთთან ურთიერთობის დამყარება, მაგრამ რუსეთში უნდა იყოს დემოკრატიული ხელისუფლება, რომ ჩვენ შევძლოთ ლაპარაკი.

დღეს ისეთი სიტუაციაა რუსეთში, რომ მოლაპარაკება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. თუ ოდესმე პუტინი ლიბერალური მმართველით შეიცვალა, მაშინ კიდევ შეიძლება მოლაპარაკებებზე ფიქრი.

— მაგრამ ვლადიმერ პუტინმა არაერთხელ შესთავაზა საქართველოს ხელისუფლებას შეხვედრა.

— შეხვედრა არ ნიშნავს იმას, რომ რაიმეს მოიპოვებ. პუტინი იმპერიალისტური გადასახედიდან უყურებს ყველაფერს. მესმის, რომ უნდა ელაპარაკო, მაგრამ თანასწორუფლებიანად არ ჩაგთვლის.

რუსეთს ძალიან დიდი ამბიცია აქვს და ჩვენს სასარგებლოდ, არ ვფიქრობ, რომ რაიმეს გადაწყვეტს.

გეთანხმებით, დიპლომატიური ურთიერთობები აუცილებელია. უკრაინის მაგალითი რომ ავიღოთ, მიუხედავადი იმისა, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის ომი მიმდინარეობს, უკრაინას რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები არ შეუწყვეტია.

მაგრამ ახლა შეიძლება ვინმემ პრორუსულობა დაგვწამოს.

— რა შუაშია პრორუსულობა. ვერაფერი გვითქვამს შიშით იმაზე, რომ რუსეთს უნდა დაველაპარაკოთ და საერთოდაც, ვისთანაც სალაპარაკო გვაქვს, ყველას უნდა დაველაპარაკოთ.

— დიახ, დიახ, მაგრამ ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ პოლიტიკური ფონი. რუსეთში დღეს ისეთი რეჟიმია, რომ ლაპარაკობენ იმპერატიული ტონით.

— ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ?

— ჩვენმა მატარებელმა ჩაიარა. იმდენად შორსაა უკვე, რომ ბოლო ვაგონს ძლივსღა ვხედავთ. ახლა ჩვენ ვიმყოფებით გეოპოლიტიკურ ცუგცვანგში, ნებისმიერი ნაბიჯი, რაც უნდა გადავდგათ, საწინააღმდეგოდ შემოგვიბრუნდება.

ჩვენ დღეს გეოპოლიტიკური პროცესების მძევლის პოზიციაში ვიმყოფებით, ასე რომ ვთქვათ: ნალევო პაიდიოშ, გოლოვუ პატერიაეშ, ნაპრავო პაიდიოშ, კანია პატერიაეშ, პრიამა პაიდიოშ, ვსიო პატერიაეშ, ანუ დასავლური კურსი უნდა შევინარჩუნოთ და შევეცადოთ, ავაგოთ ახალი ვექტორები.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ლევან კოჭლოშვილი:

არეულობა დაიწყება 8 ოქტომბერს გვიან ღამით და პროცესები დილით უკვე შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზრდება

ნაციონალები ძალაუფლების ხელში ჩაგდებას შეიარაღებული გზით აპირებენ

მას შემდეგ, რაც საქართველოს სუსმა 5 პირი დააკავა, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ტერაქტებს გეგმავდნენ, მოძრაობა „ივერიელების“ ხელმძღვანელი ლევან კოჭლოშვილი დაგვიკავშირდა და სკანდალური ინფორმაცია მოგვაწოდა. მისი სიტყვებით, „ნაცმოძრაობა“ საქართველოში არჩევნებისთვის შეიარაღებულ დაპირისპირებას გეგმავს.

– საყოველთაოდ ცნობილია „ნაცმოძრაობის“ რევანშისტული ხასიათის შესახებ, მაგრამ მათი განწყობები მხოლოდ ემოციებზე აღარ არის დამყარებული. ისინი შეიარაღებული გზით აპირებენ საქართველოში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

უკრაინაში იწყება ყირიმის ომი, აფხაზეთიდან გადმოდის იარაღი. ჩემი ინფორმაციით, აფხაზეთში იმყოფებიან ბაჩო ახალაიას და მეგის ქარდავას დაჯგუფებების წევრები, ძველი სისხლისმღვრელი ზონდერები.

8 ოქტომბრისთვის აჭარიდანაც დაიწყება კონფრონტაცია, სადაც ვარშალომიძე კრეფს თანამებრძოლებს, თათბირობენ და გეგმებს აწყობენ.

მას შემდეგ, რაც აფხაზეთიდან სამეგრელოში იარაღი შემოვა, აჭარიდან ვარშალომიძე დაიძრება თავისი ხალხით, ეს გეგმა რუსულ სპეცსამსახურებთან არის შეთანხმებული, დასავლეთ საქართველო ნაცებმა რომ ჩაიგდონ ხელში, რათა შუა წელში გადატყდეს საქართველო.

ნაციონალებს სურთ ყველანაირი ხერხით მოახდინონ დესტაბილიზაცია. არეულობა დაიწყება 8 ოქტომბერს გვიან ღამით და პროცესები დილით უკვე შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზრდება.

9 ოქტომბერს დილით ნაციონალები გამოაცხადებენ, რომ „ნაცმოძრაობამ“ გაიმარჯვა არჩევნებში, რის გამოც აჭარიდან დაიწყება ვითომ გამარჯვებულთა მსვლელობა ქუთაისისკენ, ზუგდიდში კი შეიარაღებული ძალები უკვე დაიკავებენ სახელისუფლებო დაწესებულებებს, იქნება შეხლა-შემოხლა და არეულობა. როგორც მითხრეს, სამეგრელო და, კერძოდ, ზუგდიდი არის ის ადგილი, სადაც ნაციონალებს მეტი კონტროლი აქვთ. ამასობაში მზად იქნება გიგი კალანდაძის შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯგუფი უკრაინაში, რომელსაც სახელად „პატრიოტი“ ჰქვია. „პატრიოტი“ დაკომპლექტებულია დაქირავებული მებრძოლებით, როგორც უკრაინელებით, ისე ქართველებით და ელოდებიან, როდის გაიხსნება რუსეთსა და უკრაინას შორის ახალი ფრონტი, სავარაუდოდ, სექტემბრის ბოლოს, იარაღის მოძრაობა დაიწყება აფხაზეთისკენ. მეგის ქარდავას და კოხტა კოდუას, ასევე ახალაიების საძმაკაცო იარაღით შემოვლენ. მათ დაემატებიან უკრაინიდან დაძრული გიგი კალანდაძის ჯგუფები.

აჭარიდან დაწყებული მსვლელობის პარალელურად, რუსეთი განაცხადებს, რომ რეგიონში სიტუაცია კონტროლიდან გავიდა და თავის შენაერთებს შემოიყვანს სამეგრელოს ტერიტორიაზე.

ამ ფონზე სააკაშვილი მხსნელად უნდა მოევლინოს საქართველოს. დასავლეთის მხარდაჭერით, ვითომდა, ის დაასტაბილურებს სიტუაციას და შეეცდება აღიდგინოს ლეგიტიმაცია ხალხში.

– **სააკაშვილი აჭარიდან შემოვაო, ამბობენ.**

– მიშა ჰპირდება თავის მომხრეებს, რომ აჭარიდან შემოვა, მაგრამ 8 ოქტომბერს ის საქართველოში არ იქნება. ის გეგმებს აწყობს რუსეთის სპეცსამსახურებთან ერთად, რათა, არეულობა რომ მოხდება, ევროკავშირის დიპლომატებთან ერთად რუსეთს უკუსვლა აიძულოს.

საბოლოო ჯამში, ყველაფერი ფარსია.

თუ დაიწყო უკრაინა-რუსეთს შორის სიტუაციის გამწვავება ყირიმის გამო, არეულობა საქართველოში გარდაუვალია.

ნაციონალებმა მშვენივრად იციან, რომ არჩევნებს ვერ მოიგებენ. ამიტომ სჭირდებათ ძალადობა, რაც უნდა აღკვეთოს მიშამ უცხოელ დიპლომატებთან ერთად და მათი დახმარებით.

თითქმის დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, მეგის ქარდავა და კოხტა კოდუა აფხაზეთში არიან და 8 ოქტომბრისთვის სამეგრელოში იქნებიან.

– **ლევან, თქვენ საიდან გაქვთ ეს ინფორმაციები? რამდენად სარწმუნო შეიძლება იყოს თქვენი ეს შემაშფოთებელი ცნობები 8 ოქტომბრის არეულობების შესახებ?**

– უკრაინაში არის ადამიანი, ჩემი ახლობელი, რომელიც დაახლოებულია „ნაცმოძრაობის“ იქაურ წევრებთან. ის მაწვდის ამ კონფიდენციალურ ინფორმაციებს.

– **რატომ მაინცდამაინც აჭარა-სამეგრელოში, სხვაგან რატომ არ გეგმავენ მსგავს პროცესებს?**

– იმიტომ რომ, ყველაზე მეტად აჭარაში და სამეგრელოში აქვთ ნაციონალებს ფესვები გადგმული.

– **აჭარის ან სამეგრელოს ხელმძღვანელობამ ამ ამბის შესახებ არაფერი იცის?**

– ჩემი აზრით, რაღაც-რაღაცები იციან, მაგრამ ამ ინტერვიუდან უკვე დადასტურებულად უნდა გაიგონ, რომ აუცილებლად არის მოსალოდნელი დესტაბილიზაცია.

– **სანდრას როლი როგორია ამ საქმეში?**

– ეს ქალბატონი, ვითომ სათნო ადამიანი, ვითომ ქველმოქმედებით და ჰუმანიტარული ღონისძიებებით დაკავებული, იმიტომ გამოაგზავნეს, რომ საფრთხის განცდა არ ჰქონდეს მოსახლეობას. სანდრა არის მეკავშირე და მოთვალთვალე, რომ გადასცეს სააკაშვილს, რა სიტუაციაა სამეგრელოში. ასეთივე როლს ასრულებს აჭარაში ვარშალომიძე. მან უნდა მოახდინოს აჭარაში „ნაცმოძრაობის“ მომხრეების მობილიზება.

ამ დღეებში ვაპირებ არასამთავრობო ორგანიზაციის შექმნას, რითაც შევეცდები ყველანაირად შევუშალო ხელი ნაციონალების ამ სისხლიანი გეგმის განხორციელებას. მაგრამ მე მაინტერესებს, ვინც ამ ინტერვიუს წაიკითხავს, ნაციონალების მომხრე თუ არამომხრე, ბოლოს და ბოლოს, დარწმუნდება თუ არა, რომ „ნაცმოძრაობა“ ახლაც ქართველი ხალხის და საქართველოს წინააღმდეგ იბრძვის?!

იმედს ვიტოვებ, შესაბამისი სამსახურები ყურად იღებენ ამ ინფორმაციას, ახალ სასტიკ სისხლისღვრას, რომელსაც გეგმავენ ნაციონალები, აარიდებენ საქართველოს და 8 ოქტომბრამდე მოხსნიან საარჩევნო რეგისტრაციიდან „ნაცმოძრაობას“.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო ერთი ფაქტიც – რომ გაგრძელებულიყო ირაკლი ღარიბაშვილის რადიკალური პოლიტიკა „ნაცმოძრაობის“ მიმართ, ასეთ შედეგებამდე არ მივიდოდით.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

რედაქციისგან: ბატონი ლევან კოჭლოშვილის მიერ მოწოდებული ეს ინფორმაციები შეიძლება ვინმეს ზედმეტად გაზვიადებული მოეჩვენოს, თუმცა, როგორც იტყვიან, სიფრთხილეს თავი არ სტკივა და სათანადო სტრუქტურების მიერ ინფორმაციების გადამოწმებაც ურიგო. არ იქნებოდა.

გიორგი კვირიკაშვილი:

დღეიდან, ოთხი წლის თავზე, ჩვენ გვექნება თვისობრივად განსხვავებული ქვეყანა

დმანისი

არჩევნებში გამარჯვების მეორე დღიდან დაიწყება შეუქცევადი აღმავლობა ჩვენს ქვეყანაში, რასაც ყველა ოჯახი საკუთარ თავზე იწვნევს, დღეიდან 4 წლის თავზე, ჩვენ გვექნება თვისობრივად განსხვავებული ქვეყანა, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დმანისის მოსახლეობას, რომელსაც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **კახა ოძრიაშვილი** წარუდგინა.

„ბატონ კახას უკვე ათ წელზე მეტია ვიცნობ, ჯერ კიდევ საბანკო სექტორში მუშაობის დროს. მე გავიცანი ის, როგორც ინიციატივიანი, პროფესიონალი ადამიანი. იგი ძალიან წარმატებულია თავის საქმეში. მისი კომპეტენცია ყოველთვის იყო ფართო. კახა პარლამენტში საქმიანობისას აქტიურობით გამოირჩეოდა“, – განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ.

გიორგი კვირიკაშვილმა დმანისელებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა და ხაზი გაუსვა საარჩევნო პროცესის ღიად დაგამჭვირვალედ მიმდინარეობის მნიშვნელობას.

„თქვენ ალბათ აკვირდებით, როგორ დემოკრატიულად მიმდინაროებს საარჩევნო პროცესი დღეს, რამხელა განსხვავებაა თუნდაც 4-5 წლის წინანდელი ვითარებისგან, რაც ხდებოდა 2011 წლის შემოდგომაზე და შემდგომ, მთელი 2012 წლის განმავლობაში. რა თქმა უნდა, დღესაც არის ცალკეული ინციდენტები, მაგრამ მთლიანობაში თვისობრივი განსხვავებაა მიღწეული. არა მხოლოდ საარჩევნო პროცესი, მთლიანად ქვეყანაში სრულიად განსხვავებული ვითარებაა, ადამიანებს აღარ ეშინიათ მთავრობის, არის თავისუფალი მედიაგარემო და თქვენ ხედავთ რამდენი კრიტიკა ისმის ტელევიზიებში. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ჩვენ უფრო ღირსნი ვართ კრიტიკის, ვიდრე წინა ხელისუფლება იყო. ეს მეტყველებს იმაზე, რომ არის აბსოლუტური თავისუფლებაა ქვეყანაში. ეს არის იმ ბრძოლის მონაპოვარი, რომელიც ქართველმა ხალხმა გასწია და რომელიც ნამდვილად დავიმსახურეთ“, – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა მმართველი ძალის მიერ 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, ხელისუფლების მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი თანამოქალაქეების კეთილდღეობისკენ არის მიმართული.

ბოლნისი

ახალი ამბები აღარ იწერება ერთ ოთახში, ყველა ტელევიზიისთვის ერთი და იმავე ტექსტით, – ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბოლნისის მოსახლეობასთან შეხვედრისას გააკეთა და აღნიშნა, რომ თავისუფლება და დამოუკიდებელი მედიაგარემო ბოლო 4 წლის მთავარი მონაპოვარია.

„ხედავთ რამდენად თავისუფალია მედიასივრცე, ტელევიზიები თავისუფლად გადმოსცემენ სიახლეებს. ვფიქრობთ, ეს თავისუფლება, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დამყარდა ამ 4 წლის განმავლობაში და ის მთავარი გარდატეხა, რომელიც მოხდა ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, არის უდიდესი მიღწევა. ასევე დიდი მიღწევაა ის, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ყველაზე მნიშვნელოვან, სასიცოცხლოდ აუცილებელ მიმართულებებს,“- აღნიშნა პრემიერმა. პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ბოლნისის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **გოგა მეშველიანი** წარუდგინა და მმართველი ძალის მიერ განხორციელებულ რეფორმებსა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

მარნეული

დავასრულოთ ერთმანეთთან ჩხუბი, აუცილებლად უნდა გაერთიანდეს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი საზოგადოება, ქვეყნის განვითარების იდეის გარშემო,-ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მარნეულში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. მისი განმარტებით, დღეს საჭიროა საზოგადოების კონსოლიდაცია, რათა საქართველომ მიაღწიოს იმ შედეგს, რომელიც ათწლეულების განმავლობაში სტაბილური, შეუქცევადი განვითარების წინაპირობას შექმნის.

პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა მარნეულის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები – **რუსლან გაჯიევი** და თამაზ ნავერიანი წარუდგინა. მთავრობის მეთაურმა ბოლო 4 წლის განმავლობაში განხორციელებულ ძირეულ ცვლილებებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. „ჩვენ ახლა ვიმყოფებით მარნეულში და კარგად ვაცნობიერებთ, რომ ეს არის საქართველოს ბეღელი. ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით მარნეულელებისთვის და შემიძლია ამაყად ვთქვა, რომ არასოდეს ექცეოდა საქართველოში სოფლის მეურნეობას იმხელა ყურადღება, როგორც დღეს. დღეს გამრჯე ადამიანს შეუძლია უამრავი სახელმწიფო პროგრამის დახმარებით, წამოიწყოს სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი“, – აღნიშნა პრემიერმა. მისივე თქმით, ხელისუფლების სწორი საგარეო პოლიტიკა გახდა წინაპირობა იმისა, რომ დღეს ქვეყანას განვითარების გრძელვადიანი ხედვა გააჩნია. გიორგი კვირიკაშვილმა საქართველოს ერთ-ერთ მთავარ სიმდიდრედ მისი მრავალფეროვნება და მრავალეთნიკურობა დაასახელა. „მარნეული არის მდიდარი რეგიონი, საქართველო კი მდიდარი იმით, რომ ჩვენ ასეთი მრავალფეროვანი, მრავაკულტურული რეგიონები გვაქვს. ჩვენ ამით მხოლოდ და მხოლოდ მდიდრები ვართ. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ის ძმობა, ის მეგობრობა, ის თანამშრომლობა, რომელიც გვაქვს ჩვენს მოქალაქეებს შორის, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა რელიგიას, სხვადასხვა კულტურას, მაგრამ არიან ერთი ქართული სახელმწიფოებრიობის შემადგენელი ნაწილი“, – განმარტა პრემიერმა.

გარდაბანი

მიუხედავად ჩვენი ეროვნებისა, ჩვენი რელიგიური კუთვნილებისა, საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა დადგეს ერთად, რათა მომავალი 4 წლის განმავლობაში მოვიტანოთ მნიშვნელოვანი, შეუქცევადი ცვლილებები ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გარდაბანში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე. გიორგი კვირიკაშვილმა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერებს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **სავალან მირზოევი** წარუდგინა და ქვეყნის მომავალი განვითარების გეგმა გააცნო.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, გასული 4 წლის მანძილზე ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობისა და წარმოების განვითარების კუთხით. მისივე განმარტებით, ამოქმედდა სახელმწიფო პროგრამები, რომლით სარგებლობაც ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია. „საბოლოო ჯამში ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ უფრო მეტიადამიანი დასაქმდეს და ერთხელ და სამუდამოდ აღმოვფხვრათ უმუშევრობა ჩვენს ქვეყანაში. ამ 4 წლის განმავლობაში ჩვენ ასევე გადავდგით სწორი ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ერთის მხრივ, კიდევ უფრო დავუახლოვდით დასავლეთს და მეორე მხრივ, ჩვენს სამეზობლოში განვახორციელეთ სწორი, პრაგმატული პოლიტიკა, რითიც შევძელით მიგვეღწია სტაბილურობისთვის“, – აღნიშნა პრემიერმა. გიორგი კვირიკაშვილის თქმით, მმართველ ძალას ქვეყნის მომავალი განვითარებისკონკრეტული გეგმა გააჩნია, რის განხორციელებასაც „ქართული ოცნების“ კვალიფიციური გუნდი შეძლებს.

ადიგენი

ადიგენი არის ადგილი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს საქართველოს სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებაში, – განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ადიგენში გამართულ შეხვედრაზე.

მისი განმარტებით, სწორედ ადიგენზე გაივლის ჩრდილოეთ-სამხრეთის და აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალები, რაც დიდ ბიძგს მისცემს მთლიანად რეგიონის განვითარებას და ადიგენში ბიზნესაქტივობას შეუწყობს ხელს. გიორგი კვირიკაშვილმა ადიგენის მოსახლეობას „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი – **გიორგი კოპაძე** წარუდგინა. პრემიერ-მინისტრის თქმით, ბოლო 4 წლის განმავლობაში ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებებს: ჯანმრთელობის დაცვას, სოფლის მეურნეობას, ინფარსტრუქტურულ პროექტებს, წარმოების განვითარებას. მანვე ხაზი გაუსვა განათლების სისტემის რეფორმირების მნიშვნელობას, რაც მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის შემადგენელი ნაწილია.

„დღეს გარკვეული პროფესიის ადამიანები სანთლით საძებარია და ამავე დროს ჩვენი ახალგაზრდები ამთავრებენ უმაღლეს სასწავლებლებს პროფესიით, რაც ჭარბად არის ქვეყანაში. ვფიქრობ, დანაშაულს ჩავდივართ მომავალი თაობის წინაშე, როცა არ ვაძლევთ სწორ მიმართულებას მათ. ეს აუცილებლად გამოსწორდება და ამ პროცესს წარმატებული შედეგით დავასრულებთ“, – აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ვრცლად ისაუბრა ქვეყნის განვითარების სამომავლო გეგმაზე. მისი თქმით, ხელისუფლების მიერ დასახული მიზნების განსახორციელებლად, უპირველესად, საჭიროა საზოგადოების კონსოლიდაცია.

წალკა

გპირდებით, მომავალი ოთხი წლის განმავლობაში, ძალიან სწრაფი განვითარების გეგმით, ჩვენ მივაღწევთ საქართველოს განვითარების იმ ეტაპს, როდესაც ჩაყრილი იქნება საფუძველი გრძელვადიანი, განვითარებული, გაფერადებული და აგუგუნებული ქვეყნისთვის, ჩვენი საქართველოსთვის, – ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ გიორგი კვირიკაშვილმა წალკის მოსახლეობას, რომელსაც მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **კახა ოჟრიაშვილი** წარუდგინა. გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ ეს, ადგილობრივი წარმოების განვითარებით, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობითა და გონივრული საგარეო პოლიტიკით მიიღწევა. „ჩვენ ვართ იმ ადამიანებისგან შემდგარი გუნდი, რომელიც თითოეული თქვენგანის პრობლემას გულთან ახლოს მიიტანს, რომლისთვისაც უცხო არ არის არც გაჭირვება, გამოგვილია ყველანაირი საფეხური ცხოვრებაში. ჩვენსა და თქვენს შორის აღარ არსებობს ნაპრალი, დღეს ჩვენს მოსახლეობას სადამსჯელო სტრუქტურების აღარ ეშინია“, – განაცხადა პრემიერმა. გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, 2012 წლის შემოდგომაზე, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა გამოაცხადა პოლიტიკური პარტიის შექმნის შესახებ, ქართველ ხალხთან ერთად, საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში უდიდესი გარდატეხა მოხდა. მისივე თქმით, დღეს საარჩევნო პროცესი თვისობრივად განსხვავებულია იმისგან, რაც 2012 წლის განმავლობაში ხდებოდა, ის გაცილებით დემოკრატიული და მშვიდობიანია, რაც ძალიან დიდი მონაპოვარია.

ასპინძა

ჩვენ შეიძლება არ ვაშენებთ იმდენ „ზიზილ-პიპილო“ შენობებს, მაგრამ ვაკეთებთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან, საბაზისოინფრასტრუქტურას,–ამის შესახებ საქართველოს პრემიერ–მინისტრმა ასპინძაში, მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე განაცხადა. გიორგი კვირიკაშვილმა ასპიძელებს „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი – **გედევან ფოფხაძე** წარუდგინა და გასული ოთხი წლის განმავლობაში განხორციელებულ რეფორმებზე ესაუბრა.

მთავრობის მეთაურის განმარტებით, ხელისუფლებას ქვეყნის განვითარების კონკრეტული გეგმა გააჩნია, რაც გულისხმობს ძირეულ ცვლილებებს განათლების სიტემაში, რათა პედაგოგები იყვნენ გაცილებით დაფასებულნი.

გიორგი კვირიკაშვილი შეეხო მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს, რაც, მისი თქმით, საქმიან ადამიანს კიდევ უფრო გაუადვილებს ბიზნესის წარმოებას. „ბოლო პერიოდში ჩვენ დიდი ყურადღება მივაქციეთ წყალმომარაგებას და გაზიფიცირებას და ბევრ რაიონში ამ მიმართულებით რადიკალურად შეიცვალა მდგომარეობა. ჩვენ ვარემონტებთ სკოლებს, კულტურის სახლებს, სპორტულ კომპლექსებს, რაც არის საჭირო ჩვენი მომავალი, ჯანსაღი თაობის აღსაზრდელად და დღეს გაცილებით მეტი ფული იხარჯება ინფასტრუქტურაში, ვიდრე ეს იყო 4 წლის წინ. რა თქმა უნდა, ეს არ არის მაქსიმუმი, ჩვენ არ ვართ თვითკმაყოფილნი და არ ვფიქრობთ, რომ ყველა პრობლემა უკვე მოვაგვარეთ ქვეყანაში. ჩვენ ვიცით, რამხელა პრობლემებია რეგიონებში, თუ როგორ უჭირთ ადამიანებს და სწორედ ამიტომ სწრაფი ცვლილების განსახორციელებლად დღეს ჩვენ გვაქვს მომავალი 4-წლიანი გეგმა“, – აღნიშნა პრემიერმა. პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ასპინძელებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

თეთრიწყარო

ჩვენ ძალიან დიდ ყურადღებას მივაქცევთ თეთრიწყაროს ტურისტული პოტენციალის განვითარებას და სპეციალურად თეთრიწყაროსთვის ტურიზმის განვითარების ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი გეგმა შეიქმნება, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თეთრიწყაროს მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა, სადაც რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი **გოდერძი ჩანქსელიანი** წარადგინა.

გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, რაიონს ტურიზმის მიმართულებით უდიდესი პოტენციალი აქვს და მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ თეთრიწყარო კიდევ უფრო გალამაზდეს და საქართველოში ერთ-ერთი უმთავრესი, ყველაზე საინტერესო ტურისტული მიმართულება გახდეს. პრემიერმა, სიტყვით გამოსვლისას, გასული პერიოდის განმავლობაში გახორციელებულ ცვლილებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2011 წელს მოხდა ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილება საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში – ბიძინა ივანიშვილმა

გადადგა მოქალაქეობრივი, იმ დროისთვის გმირული ნაბიჯი და ქართველ ხალხთან ერთად მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა.

„თქვენ შეგიძლიათ შეადაროთ დღევანდელი წინასაარჩევნო კამპანია იმას, რაც ხდებოდა ოთხი წლის წინ საქართველოში. შეგიძლიათ, შეადაროთ დღევანდელი მედიასივრცე, სატელევიზიო ახალი ამბები, რომლებიც გადმოსცემდნენ ერთსა და იმავეს, დღეს სრულიად განსხვავებული სურათია. ხშირად ისმის კრიტიკა, შეიძლება ხანდახან გულიც გვეტკინოს არაობიექტური კრიტიკის გამო, მაგრამ ეს არის ის გზა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ. ეს არის დემოკრატიული განვითარების გზა, რომელიც ქართველმა ხალხმა დაიმსახურა იმ ბრძოლის შედეგად, რომელიც წლების განმავლობაში გასწია. ეს არის ის სახელმწიფო, რომელსაც ჩვენ ვაშენებთ, რომელიც აღარ გადადის ჩვენი მოქალაქეების ზურგებზე, ჩვენ, მათი უფლებების დარღვევით არ მივდივართ წინ. ვაშენებთ ახალ ქვეყანას, რომელიც იქნება თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფო, რომელიც პატივს სცემს საუკეთესო ეროვნულ ქართულ ტრადიციებს და რომელსაც ჩვენი ხალხი იმსახურებს“, – განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურმა ისაუბრა ჯანდაცვისა და სოფლის მეურნეობაზე. მისი თქმით, 3 მილიარდი ლარი იხარჯება ჯანდაცვასა და სოციალურ მიმართულებაზე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის 35%-ია, ხოლო სოფლის მეურნეობას უპრეცენდენტოდ მაღალი ყურადღება ეთმობა. პრემიერ-მინისტრმა ასევე ყურადღება გაამახვილა დამწყები ბიზნესის დაფინანსების ხელშემწყობი მექანიზმის შექმნაზე და აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი, მთლიანობაში, ქვეყნის თვისობრივად შეცვლის საშუალებას.

ნინოწმინდა

დღეს არის დრო, როდესაც უნდა დასრულდეს პოლიტიკური დაპირისპირებები და მთელი ქვეყანა გაერთიანდეს იმისთვის, რომ მომავალი 4 წელიწადი გახდეს ისტორიული საქართველოსთვის,–ამის შესახებ საქართველოს პრემიერ–მინისტრმა ნინოწმინდის მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.

გიორგი კვირიკაშვილმა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ მხარდამჭერებს პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი– **ენზელ მკოიანი** წარუდგინა და მმართველი ძალის მიერ განხორციელებულ რეფორმებთან ერთად, მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმა გააცნო. ®

ზაზა გაბედავა:

ვინც სამეგრელოში სანდრას ხმას მისცემს, მათი 80% არის ნაციონალების მიერ გაუპატიურებული და დაშანტაჟებული ხალხი

გვესაუბრება ეროვნული მოძრაობის ვეტერანი, ბატონი ზაზა გაბედავა

— ბატონო ზაზა, სოციალურ ქსელში ვიდეოჩანაწერი გამოაქვეყნეთ, სადაც სააკაშვილის მაღალჩინოსანთან, საქპატენტის გენერალურ დირექტორთან ერთად ხართ რესტორანში. არ ვიცოდი, სააკაშვილის ხალხთანაც თუ მეგობრობდით.

— ჩემო კარგო, სააკაშვილთან იმეგობრა ჩემმა მტერმა. მაგასთან და მის არაკაცებთან მე არასდროს მიმეგობრია და არც ვიმეგობრებ.

მე ძმაკაცებთან ერთად ვიჯექი სასტუმრო «კოსმოსში». ამ დროს სააკაშვილი პრეზიდენტია და მიდის გახურებული რუსების წყევლა-გინება. გავიხედე, საქპატენტის გენერალური დირექტორი აქ არ ზის? მივედი. თუ რუსებს აგინებთ, ვინც აქ ვცხოვრობთ, ყველა მოღალატე და აგენტი თუ ვართ, თქვენ აქ რაღა გინდათ-მეთქი, ვკითხე. სააკაშვილის მიერ საქპატენტის გენერალურ დირექტორად 5 წლით დანიშნული ირაკლი ღვალაძე და მისი თანმხლები პირები იყვნენ ჩამოსული მოსალაპარაკებლად რუსეთის მთავრობასთან. ახლობელმა მითხრა: საქპატენტის გენდირექტორიაო, მე არც ვიცოდი და მამის საფლავს ვფიცავარ, გავგიჟდი. ეს ხდებოდა 2008 წლის ომის შემდეგ. ახლაც ზოგიერთს კიდევ აქვს დაბნელებული გონება საქართველოშიც და აქაც, რუსეთშიც კიდევ ჰყავთ მხარდამჭერები ნაციონალებს.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა რომ მოკლეს, მაშინ დაიქცა საქართველო, რადგან ვინც მოვიდა ხელისუფლებაში შემდეგ, ყველანი იყვნენ მოღალატეები. შევარდნაძეზე ლაპარაკს აზრი აღარ აქვს, ისედაც ნათელია ყველაფერი, სააკაშვილმა «თელასიდან» დაწყებული ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ობიექტები რუსებს მიჰყიდა, თან აგინებდა ამათ. ეს იყო თამაში, სინამდვილეში ესენი ერთად არიან.

— ვინ ესენი?

— რუსებთან ძალიან კარგი კონტაქტები აქვთ ნაცებს. ამის დასამტკიცებლად გადავიღე ის ვიდეო, თქვენ რომელზეც მკითხეთ.

— თქვენი აზრით, ზუგდიდში სანდრა რულოვსი საარჩევნო ხმებს მოაგროვებს?

— ვინც სამეგრელოში სანდრას ხმას მისცემს, მათი 80% არის ნაციონალების მიერ გაუპატიურებული ხალხი. მათზე არსებობს კომპრომატები. რა გითხრათ. გული შემიწუხდა, სანდრას რომ ვუყურე, როგორ კითხულობდა მეგრულ სიტყვებს „შპარგალკიდან“. გულის ამრევი ქალია. ვინც ზუგდიდში სანდრას ტაშს უკრავდა, იმ ხალხს რა უნდა ვუწოდო, არ ვიცი.

დედას ვფიცავარ, რამდენჯერ ვთქვი და რამდენჯერ დავწერე, მანქანების მრეცხავი რომ ჰყავდათ ერთი, 30 ლარად კაცების გამაუპატიურებელი, რატომ არავინ არ აიღო იარაღი და არ ესროლა იმ ზნეწამხდარს, რატომ არ მოიძებნა სამეგრელოში ერთი კაცი, ვინც იმას ესროლიდა?! მოკლავდნენ. კი. გასაგებია, მაგრამ გაუპატიურებული რომ ივლის კაცი, იმის სიცოცხლეს სიკვდილი არ ჯობია?

ახლახან გამოვაქვეყნე ფეისბუქში ერთი ანაკლიელი კაცის ფოტო. ეს კაცი ნაცებმა გააუპატიურეს და ეს ამბავი ვიდეოზე გადაიღეს. ახლა გამოქვეყნებით აშინებენ, რის გამოც საარჩევნოდ სანდრას ეხმარება, ხმებს უგროვებს. ასეთი შერცხვენილი და დაბეჩავებული ხალხი მისცემს სანდრა რულოვსს ხმას სამეგრელოში. სქემა აქვთ შედგენილი: ერთმა 30-40 კაცი უნდა მიიყვანოს, ანუ 30-40 ხმა უნდა მიიტანოს, თუ არა მისი საქმე შავად წავა, ყველაფერს გამოუქვეყნებენ.

მეგრელებს მინდა მოვმართო: არ შეშინდეთ, კოლხებო! ვისი უნდა გვეშინოდეს, გადამთიელი ყველის ვაჭრის შვილის?

არ გაუვათ ადრინდელი მაიმუნობები. კარგად ვიცით, ნაცების და, კერძოდ, სანდრას საარჩევნო აქტივობებს კეზერაშვილი აფინანსებს. ამას გარდა, დიდძალი ფული შესდით თბილისის ონკოდაწესებულებებიდან, სადაც სანდრა რულოვსის გავლენები კვლავ დიდია. ახლახან ერთ ჩემს ახლობელს, სერიოზული დაწესებულების დირექტორს, ქართველს, მოსკოველს, თბილისში ერთ კლინიკაში ონკოლოგიური დაავადების მეოთხე სტადია დაუდგინეს, როგორც კი ჩამოვიდა აქ, აკადემიკოსი ბლოხინის სახელობის კლინიკაში მეოთხე კი არა პირველი სტადიაც არ აღმოაჩნდა. ატყუებენ ხალხს, თითქოსდა დაავადებულია, უწყებენ მკურნალობას, დაასუსტებენ ჯანმრთელ ადამიანს, გაუკეთებენ ოპერაციას და რამდენიმე დღეში ეს ადამიანი კვდება. ორგანოები კი გადის საქართველოდან ოქროს ფასად. სად არის საქართველოს უშიშროება, რატომ არ აკონტროლებს ამას.

ყველაფერი ფულზე იყიდება დღეს საქართველოში. ადრე, ეროვნული მოძრაობის აყვავების პერიოდში, გულანთებული რომ ვიბრძოდით, მაშინ არ იყო ასე. რამდენიმე დღის წინ ინფორმაცია მომივიდა, მეჭიაური ახლადგამოჩეკილ ჩიტიშვილთან და პუტჩისტ მამალაძესთან გაერთიანებულა. ძალიან გამიკვირდა ეს თამაზისგან. დავურეკე კიდევაც და ვუთხარი ამაზე. მანამდე, ჩიტიშვილი რომ გამოჩნდა, დამირეკა ერთი-ორმა და მკითხა: ვინ არიან ძმები ჩიტიშვილებიო. ვინ არიან და არარაობები-მეთქი, ვუთხარი და მართალიც ვთქვი. ახლა ესენი ატყუებენ ხალხს. ვერ ვითმენ, გული მტკივა, მწყინს, რომ ასეთი რამეები ხდება დღესაც საქართველოში.

მეჭიაური მოსკოვში იყო ჩამოსული, შეხვედრები ჰქონდა აქ ხალხთან. დამირეკა მეც. შევხვდი. ნორმალური შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ თუ ახლა ჩიტიშვილებთან, მამალაძეებთან და მამლაყინწებთან ერთიანდება, აღარ მაქვს მე მასთან საქმე.

რამდენიმე ხნის წინ ზვიად ჩიტიშვილის ძმამ ბადრი ჩიტიშვილმა დამირეკა. რესტორანში დავჯექით, ცოტა წავიხემსეთ. ბადრიმ თქვა: ბიზნესმენი კაცი ვარ, რუსეთში კი ვცხოვრობ, მაგრამ საქართველოშიც ჩავდიოდი სააკაშვილის დროს, მიშასთანაც კარგი ურთიერთობა მქონდაო.

ეკლესიაში შევალ და დავიფიცებ, რასაც ვამბობ, სრულ სიმართლეს ვლაპარაკობ — ახლა რომ ეროვნულ კაცად მოაქვს თავი, იმ ზვიად ჩიტიშვილის ძმამ განაცხადა ასეთი რამ. სააკაშვილთან კარგ ურთიერთობაში ყოფილან და ახლა მთავრობაში უნდათ მოსვლა?!

ძმები ჩიტიშვილები ახლა გვერდიგვერდ რომ დგანან და სააკაშვილის ფიტულს რომ წვავენ ამერიკის საელჩოსათან, მაშინ სად იყვნენ, ჩემმა ძმაკაცმა, ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრმა ბესო მიქავამ სააკაშვილის მმართველობის დროს რომ დაწვა მიშას ფიტული?! მაშინ სად იყვნენ ეს ჩიტები და გვრიტები? პოპულიზმია მათი ქმედება და ძალიან მიკვირს, გია კორკოტაშვილი რომ ჩიტიშვილის გვერდით ჩნდება.

ახლა დაიწყებენ, გაბედავა ქოცია, ისაა, ესაა. არ ვარ ქოცი და ნაცი, მე ზვიად გამსახურდიას ჯარისკაცი ვარ დღემდე. არ დავმალავ და ხელს არ დავაფარებ საქართველოს მტრებს, როგორც ქრისტიანი და საქართველოს კეთილდღეობისთვის თავშეწირული ზვიად გამსახურდია გვასწავლიდა.

მეტი რა გითხრათ, ჩემო კარგო, საქართველოში დღეს გამქრალია ძველი ეროვნული სული და ვინც შემოვრჩით ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლები გულში ვიკლავთ დარდს, ჩვენი ქვეყანა ჩიტების და ჩიტირეკიების ხელში რომ ჩავარდა.

— გმადლობთ, ბატონო ზაზა საუბრისთვის.

— თქვენც გმადლობთ. კარგად ბრძანდებოდეთ.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სოსო მანჯავიძე:

გარგველაშვილმა ქართველ ხალხს კონსტიტუციური უფლებები ჩამოართვა

გვესაუბრება თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ბატონი სოსო მანჯავიძე

— ბატონო სოსო, პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა რეფერენდუმის ჩატარებას კონსტიტუციაში ერთსქესიანთა ქორწინების აკრძალვის შესახებ. როგორ ფიქრობთ, ამ შემთხვევაში არა მხოლოდ იმ 22 400 ადამიანის, არამედ საერთოდ მართლმადიდებელთა უფლებები არ იქნა გათვალისწინებული?

— პრეზიდენტმა დაარღვია არა მხოლოდ მართლმადიდებლების, არამედ საქართველოში მცხოვრები ყველა რელიგიური აღმსარებლობის მოქალაქის უფლებები. პრეზიდენტის გარემოცვა კი აცხადებს, რომ თუ კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერი გაკეთდებოდა, დაირღვეოდა იმ ადამიანთა უფლებები, რომლებიც საკუთარ ბედნიერებას იმაში ხედავენ, რომ თავიანთი სქესის ადამიანზე დაქორწინდნენ. ეს აშკარად ჩანდა მთელ ამ ანტისარეფერენდუმო პროპაგანდაში.

— ელოდით, რომ არ დასთანხმდებოდა პრეზიდენტი ამ ინიციატივას?

— ვფიქრობდი, რომ მას გარემოცვა არ მისცემდა ამის უფლებას, მაგრამ ის არ მეგონა, ასეთ ბრიყვულ, უმეცარ განცხადებებს თუ გააკეთებდა და თავის უფლებამოსილებებს ასე თუ გადააჭარბებდა.

პირველი, რაც მან არგუმენტად მოიტანა, ის იყო, რომ, თითქოს, რეფერენდუმი არ შეიძლება ჩატარდეს, სანამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია.

ეს არგუმენტი თავისი არსით არის მავნებლური.

ჯერ ერთი, ხაზი ესმება 2003 წლის რეფერენდუმის შედეგებს და აუქმებს ნატოს შესახებ პლებისციტის შედეგებს. თუ ის ამბობს, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე რეფერენდუმის ჩატარება არ შეგვიძლია, მაშინ გამოდის, არჩევნების ჩატარებაც არ შეგვძლებია. ამის აბსურდულობას აღარ გავყვები, ეს არის სრული სამართლებრივი უმეცრების შედეგი. მოგეხსენებათ, ძალაუფლების წყაროა ხალხი და არავის არ აქვს უფლება, მიითვისოს ხალხის ძალაუფლება. ხალხისთვის რეფერენდუმის ჩატარების უფლების წართმევა ნიშნავს მისი კონსტიტუციური უფლების წართმევას. საქართველოს პრეზიდენტი დღეს არ ცნობს ხალხის დემოკრატიულ უფლებას, რის გამოც არ შეიძლება არ დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

— რა ფორმით უნდა დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი?

— პირველი — პროტესტის გამოხატვა ამა თუ იმ ფორმით.

მეორე — საკითხი უნდა განიხილოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რასაც აუცილებლად გავაკეთებთ.

მესამე — არსებობს სხვა საშუალებებიც.

კერძოდ, სისხლის სამართლის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ამ საკითხს. ჩვენ სასამართლოში ვუჩივლებთ პრეზიდენტს.

პრეზიდენტს თავისმა გარემოცვამ, მისმა იურიდიულმა სამსახურმა, შეიძლება ითქვას, სრულიად აბსურდული განცხადება გააკეთებინა — თუ აუცილებლობა დადგება, კონსტიტუციაში ცვლილება შევიდეს, ეს არ შეიძლება რეფერენდუმზე დაყრდნობით მოხდესო. ეს სრული სისულელეა და კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, რომ პრეზიდენტი ხალხს ძალაუფლებას ართმევს.

ამ ლოგიკით გამოდის, რომ 2003 წლის რეფერენდუმიც

უკანონობა ყოფილა და ხალხის ნება არ შეიძლება აისახოს არც სახელმწიფოს უზენაეს კანონში — კონსტიტუციაში და არც სხვა კანონებში.

აი, ასეთ სამართლებრივ უდაბნოში ვცხოვრობთ.

ცალსახად ვამბობ, საქმე გვაქვს სახელმწიფო კონსტიტუციის მეხუთე მუხლის უხეშ დარღვევასთან, ხალხის ძალაუფლების უზურპაციასთან.

სამწუხაროდ, ლიბერალიზმი საქართველოში ახალისებს ყველანაირ ანტირელიგიურ პროპაგანდას და კატეგორიულად ზღუდავს ქრისტიანების და არა მხოლოდ ქრისტიანების მიერ თავიანთი შეხედულებების გამოხატვას.

— ასეთი რამ არც სომხეთში მოხდებოდა და არც აზერბაიჯანში.

— სომხეთს რამდენიმე დამცავი ზღვარი აქვს — ერთი, უზარმაზარი სომხური ლობი, რომელიც ცდილობს დაიცვას სომხეთი მავნე გავლენებისგან.

საქართველო, ფაქტობრივად, მარტოა ამ ჭირის წინააღმდეგ. ჩვენ ვერ გამოვიმუშავეთ, ასე ვთქვათ, ანტისხეულები ამ „დაავადების“ წინააღმდეგ. საინფორმაციო საშუალებების 95% ამ მიმართულებით ფინანსდება და საქართველო ვერ ეწინააღმდეგება ყველაფერ ამას, როგორც, მაგალითად, აზერბაიჯანი, რომელიც დიდი თურანისა და ისლამური სამყაროს ნაწილია. ანუ რეგიონში მხოლოდ ჩვენ ვართ ე. წ. წითელი ნაჭერი მძვინვარე ხარის წინააღმდეგ.

ერთსქესიანთა ქორწინება თუ დავაკანონეთ, ჩავთვალოთ, რომ რეგიონში უდიდესი აგრესიის ობიექტი გავხდებით, რის გამოც ეკონომიკური პრობლემებიც შეგვექმნება და, თავისთავად ცხადია, პოლიტიკურიც.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ახალი ფილმი – „შერეკილი“ და სამი ჟურში“

გარიყულელი ქრისტეფორე მგალობლიშვილისა და ძუნურელი ერთაოზ ბრეგვაძის დიალოგი ჭურში:

ერთაოზი: – რა უნდა აქ დუბლივეს? რა უნდა იყოს აქ?

ქრისტეფორე დაბნეულია და ვერ პასუხობს.

ერთაოზი: – ჰა...

ქრისტეფორე მაინც ვერ ხვდება.

ერთაოზი: – პა-რა-ბო-ლა.

ქრისტეფორე: – უსუსური შემთხვევაა...

ვინც პაატა ბურჭულაძის ახალ გაერთიანებაში ახალი მემარჯვენეები იხილა, ყველამ, ერთაოზივით, გაკვირვებულმა იკითხა: რა უნდა აქ დუბლივეს ანუ ახალ მემარჯვენეებსო?!

ჩვენც ისღა დაგვრჩენია, ქრისტეფორესავით ვუპასუხოთ: უსუსური შემთხვევაა, ბატონებო!

იმდენი წევრი და ისე მიყოლებით გაუშპა ბურჭულაძეს პარტიიდან „ხალხი, რომელიც არავის მხარეზე არ არის და უნდა საქართველოს მომავალი“, მგონი თვითონ ვეღარ ითვლიან, ჩვენ როგორ დავუთვალოთ? – დაწყებული თბილისის საარჩევნო ოლქების აღმასრულებელი მდივანებიდან თუ მაჟორიტარებიდან, დამთავრებული აჭარის ახაგაზრდული ფრთით.

სანამ გადაბრუნებულ ურემს ისევ ამოაბრუნებდნენ, რას განიცდიდა „ყველასგან მიტოვებული ლირი“ ძნელი გამოსაცნობი არ იქნება თუ იმ კადრებს გადაავლებს დაინტერესებული ცნობისმოყვარე თვალს, სადაც პაატა ბურჭულაძე მაშველ ძალას ხვდება. კაცი ისეთი გაცისკროვნებული, ისეთი გახარებული იყო, ამომავალ მზეს უსიტყვოდ ეუბნებოდა, შენ ჩადი, ხომ ხედავ მე როგორ ვანათებო. სულზე მოსწრებულ მაშველებს კი, ისე ეხვეოდა, ფრონტიდან მიღებული ავისმომასწავებელი დეპეშის მიღების შემდეგ რომ აღტკინებული ჩაბურჯგნის მგლოვიარე ჭირისუფალი მოულოდნელად ცოცხლად აღმოჩენილ სისხლსა და ხორცს.

სამი ლიდერი, სამი სხვა და სხვა პარტია შემოგვიერთდაო, კაცოო!

ზურაბ ჯაფარიძე, ისეთი მაღალი კლასის ეკონომისტი, ბევრი რომ არ გვყავს საქართველოში (ბატონი რეზო ამაშუკელის მიერ „გატრუსულწამწამებიან გოჭად“ წოდებული) ყოფილა – საარჩევნო ბლოკი „ვაშაძე-ჯაფარიძე-ახალი არჩევანი“. ახალი პოლიტიკური ცენტრი „გირჩის“ თავმჯდომარე. არადა, ეს ჯაფარიძე ამ ბურჭულაძეს და მის ე.წ გუნდს პოპულისტებს უწოდებდა;

გამოცდილი და განათლებული, „ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილ ფრინველად“ სახელდებული გიორგი ვაშაძე – საარჩევნო ბლოკი „ვაშაძე-ჯაფარიძე-ახალი არჩევანი“. „სამოქალაქო პლატფორმა – ახალი საქართველოს“ ლიდერი.

„დიდი პოლიტიკური გამოცდილების“ „მინდვრის ბუ“ მამუკა კაციტაძე – „ახალი მემარჯვენე“. ამ კაცმა, სხვა „სიკეთეებთან“ ერთად მკვდარი და ცოცხალი, სულ ცოტა 1,3 მლნ კაცი ვერ გაარჩია ერთმანისგან და კი, ნამდვილად იმ ახალ „სასტავში“ უნდა გამოჩენილიყო, რომელიც სახელგატეხილი „ნაცმოძრაობის“ ნარჩენებისგან უნდა გაერთიანებულიყო.

„რესპუბლიკელ“ თამარ კორძაიას თუ კიდევ რამე გაუკვირდებოდა, ვინ წარმოიდგენდა, მაგრამ ქალი გაოგნებულია, ენა ებორკებოდა, სხვადასხვა პლატფორმაზე მყოფი ხალხი რატომ ერთიანდება, ვერ გამიგიაო... ამასაც კიდევ, „ვითომ-ვითომ“ მართლა ვერ გაუგია...

მრავლისმნახველი ნანა კაკაბაძეც კი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ბიჯო, ეს „ახალი მემარჯვენეები“ რაღას ამოწვერილან, აქაო?

ქალებო, ქვეყნის თვალებო, რა ვერ გაგიგიათ, ნეტავ? – რა შუაშია რა აქვთ სხვა და სხვა, მიშა ხომ ერთი ჰყავთ და თანაც, აკი განმარტა ქრისტეფორე მგალობლიშვილმა – უადგილო ადგილას დუბლი-ვე უ-სუ-სუ-რი შემთხვევაო...

„მკვდარი მკვდარს აეკიდაო“ – ქართული ანდაზა ასე ზედმიწევნით აცხადებულიყო და ასე დახუნძლულად, პირველად ნახა ხალხმა ვიზუალურად...

ფაქტობრივად, ის რაც ისედაც ცხადი იყო იმთავითვე, ხომ უნდა გაცხადებულიყო? – მილეწილ-მოლეწილი საქათმეებივით დარჩენილ პარტიებს რაღაც ხომ უნდა მოემოქმედათ და ვინ ვისთან გაერთიანდა, იმ შენობის არქიტექტორიც ვერ გაიგებს, სანაპიროზე რომ დგას „ვეფხვისა და მოყმეს“ მიმდებარედ, ხალხმა „ვისი ვისაშია“ რომ დაარქვა კომუნისტებისავე ეპოქაში. საქმე იმან ამოატრიალა, რომ ბურჭულაძეს, ანუ ამჟამად „მიშა ოდესსკის“ თავზე ჩამოფშვნა ახალი „ჰასტუხიანი ხვლიკის“ (გიორგი თარგამაძის) ვარიანტის გადათამაშება და სხვა გზა აღარ იყო, ოფიციალურად უნდა გაფორმებულიყო მიშას „ახალი ნაცმო 2“.

ჰო, რა! იქით დარჩნენ ცნობილი „ნაცმოელები“ რეალური სახეებით, სისხლიანი ხელებითა და ბოროტებისკენ მიმართული ვითომ“ ოპოზიციურ გაერთიანებას. შედეგს მომავალი დადებს! დავინახავთ, თავდაპირველად სწორედ პიროვნული ღირსების გამო მქონე რეიტინგი, რომელიც 5%-ს აღწევდა, სადამდე დაუვარდება რუსულ ბანს ცუდი „მოძახილის“ გამო.

„ოცნება“ წარსულია და არცთუ სასიამოვნო წარსულიო; ახალი ძალა რომ მოვიდეს, იმიტომ გავერთიანდითო; კარი მოღიავებული გვაქვსო; „ნაცებმა“, „თავისუფალმა დემოკრატებმა“ და „რესპუბლიკელებმა“ რომ მოგვიკაკუნონ, ტყუილი იქნება ვთქვა, რომ არ მივიღებთო; „ოცნებამაც“ რომ მოგვიკაკუნოს, შევხედავთ, თუ ვინმე ღირსეული მოვა, მივიღებთო, – და მსგავსი უჭურ-პუჭურები თქვა ბანმა პირდაპირ ეთერში. იმაზე აღარაფერი უთქვამს, „მამალმა ნაცმოელებმა“ რომ მიუკაკუნონ გაღმა ბანაკიდან შემთხვევით, მიიღებენ თუ არა, მითუფრო, რომ მიხეილ მაჭავარიანი ჯერ კიდევ სამი თვის წინ არ გამორიცხავდა პატიკოს პარტიის კარზე მიკაკუნებას.

„ – აქ ჭია რომ დეიკლაკნება იმისთანა რაცხა ეხატა, – შეჰბედა ერთაოზმა ქრისტეფორე მგალობლიშვილს.

– აჰ! რა საკვირველია „ალფა“, „ალფა“!

„ედპ“ გაახსენდა გადაცემის წამყვანს და – „ედპ“ რამდენიმე დღეში შეუერთდებაო, – განაცხადა „საკაშვილის ასკარიდად“ მონათლულმა ბაჩუკი ქარდავამ.

სატვირთო „ნაც-მატარებელი“ რელსებიდან გადავარდა და აქეთ-იქით გადაგორდნენ „ქინძები“ და „გირჩები“, მეორედ მოსული ნიახურები და სხვა ბალახბულახი, ჭია თუ მღილი...

რევოლუციის აგორება ვეღარ მოახერხეს, ვერც სისხლიანის და ვერც უსისხლოსი და შეიკრიბნენ „მე კაი ბიჭი გავხდები“ ქუდის ქვეშ ტიპები და ყავლგასული „ნაშოჩკები“ „ნაცმოძრაობიდან“.

ახლა ეს ძალად კაი ბიჭები ერთხმად დაგვახიან, მმართველი გუნდი შეშინებულია, რადგან ძალიან დაბალი რეიტინგი აქვთ და გასაგებია, იქნება კომენტარები. მმართველი გუნდი ცეწურას მაინც დაიცავს, ამათ ხალხის კომენტარები რომ ნახონ, შეშინებულებმა შესაძლია, ქალწულობის დამცავი რკინის ქამრებით დაიძინონ კი არა, დღისითაც არ მოიხსნან...

ელემენტარულია – პარტია ხომ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო ჩამოეფშვა თავზე ბურჭულაძეს რომ მიზანი, მრავალ დანაშაულში მხილებული პარტის წევრებთან გაერთიანება გამოუაშკარავდა? ...

იმ პირებთან, რომლებიც, როცა ადამიანებს ჩიტებივით იმეტებდნენ მოსაკლავად, თვითონ თუ არ ხოცავდნენ, არც აწუხებდათ, მდუმარენი იყვნენ ისევე, როგორც თვით დიდი ბანი;

იმ პირებთან, რომელთაც, როცა დახოცილ ადამიანებს ან საერთოდ ვერ პოულობდნენ, ან საკუთარ მიცვალებულზე ჭირისუფალს არ ატირებდნენ – ესეც ცალ ფეხზე ეკიდათ...

იმ პირებთან, რომლებიც, როცა ფაქტობრივად, მთელი საქართველო გმინავდა, ამ გმინვის გამომწვევი ერთ-ერთი მონაწილენი, პირდაპირ თუ ირიბად, თვითონ იყვნენ...

ამ დროს ზოგი ფულზე მღეროდა და ზოგი სხვას ამღერებდა ფულზე...

ამ პოლიტ-ნაკრებს, ისევე როგორც დანარჩენ ბევრ სხვას, ქვეყანა ადარდებდათ როდესმე რომ ახლა ადარდებდეთ? – უბრალოდ, სხვა ხელობა არ იციან, რა მავნებლობასა და წურბელობაშიც გაიარეს ტრენინგები და შეისისხლხორცეს, ის იციან მხოლოდ და უცვლელად მიჰყვებიან ხაზს – ლაპარაკი, ლაპარაკი და ამპუტირებული შუბლის ძარღვი!..

გიორგი ჩხეიძე

რა საფრთხეებს გვიმზადებს უცხოტომელთა მასიური შემოდინება საქართველოში?!

მშობლიურ ქალაქში, სადაც დავიბადე და გავიზარდე, თავს თუ ოდესმე უცხოდ ვიგრძნობდი, ვერასოდეს წარმოვიდგენდი. სწორედ ასეთი გრძნობა დამეუფლა რამდენიმე დღის წინ დედაქალაქის ცენტრში. თავი თბილისში კი არა, რომელიღაც არაბულ ქვეყანაში მეგონა. რამდენიმე არაბული ქვეყნის ათეულობით მოქალაქე თავიანთ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი დინჯად დააბიჯებდა თბილისის ქუჩებში — რამდენიმე ქალი ჰიჯაბით სახედაფარული იყო, რომლებსაც მხოლოდ თვალები მოუჩანდათ. ადრე იშვიათობა იყო, მაგრამ ახლა გაიზარდა ჰიჯაბიანი ქალების რაოდენობა. სულო ცოდვილო, შეიძლება მომეჩვენა, მაგრამ ჰიჯაბიან ქალთა თვალებიდან თითქოს ბოროტი ნაპერწკალი გამოკრთოდა...

საქართველო სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებით მსოფლიოში გამორჩეული ქვეყანა რომ არის, ყველასთვის ცნობილი ფაქტია. თუმცა ადამიანები, რომლებსაც მე გადავაწყდი, სტუმრებს არ ჰგავდნენ, ეტყობოდათ, ხანგრძლივი ვადით არიან ჩამოსული. შეიძლება მავანი შემოგვედაოს, რა მოხდა მერეო, ასეთ გულგრილ ხალხს გვინდა შევახსენოთ, თუ როგორი პრობლემები შეუქმნეს ევროპის ქვეყნებს იქ მიმწყდარმა დევნილებმა. ნუ დაგვავიწყდება ის გარემოებაც, რომ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ომებს გამოქცეულ ხალხთან ერთად ევროპაში სხვადასხვა ჯურის ტერორისტებმაც შეაღწიეს. ამის შესახებ უკვე ხმამაღლა საუბრობენ მათი ხელისუფლების მაღალჩინოსნები.

სწორედ სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაკარგვით, აქედან გამომდინარე, სოფლის დაცარიელებით იწყება ქვეყნის დაკარგვაც. სამწუხარო ფაქტია, რომ უცხოელთა შემოდინება კვლავაც გრძელდება. მხედველობაში გვაქვს საცხოვრებლად და სამუდამოდ დასარჩენად შემოსვლა. გამარტივებული წესით გადამთიელებისთვის მოქალაქეობის მინიჭებით, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენვე ვუწყობთ ხელს ანექსიას, რომელსაც უცხოელები ეწევიან. უკვე გვაქვს სამწუხარო ფაქტები. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სარჩო-საბადებლის მოსაყვანად ქართველი გლეხობა უცხოელებისგან იღებს სახნავ-სათეს მიწას იჯარით! კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ეს გარემოება მიჩუმათებულია და იშვიათად თუ ვინმე საუბრობს ამის თაობაზე.

საქართველოში კი არა, ჩვენზე დიდ და ძლიერ ქვეყნებში, მიუხედავად მრავალი წლის ცხოვრებისა, ჩინელები კვლავ ჩინელებად რჩებიან, ინდოელები — ინდოელებად, არაბები — არაბებად... საუბედუროდ, ვერც ჩვენ მოვახერხებთ მათ ქართულ ყაიდაზე მოქცევას. ფრთხილად უნდა ვიყოთ, პირიქით არ მოხდეს. პირადად მაქვს ნანახი, თუ რა დიდი მონდომებით ასწავლიდა მშობლიურ ენას ერთ-ერთი მაღაზიის მფლობელი ჩინელი ქალი თავის ჯერ კიდევ ჩვილ ბავშვს. ვფიქრობთ, დამაფიქრებელი ფაქტია. აქ მცხოვრებსაც არ სურს, ქართული ისწავლოს და შვილსაც ასწავლოს.

პირსისხლიანი ნაცრეჟიმის მთავარი მიზანი ყოველგვარი ქართულის ამოძირკვა და ქართველის გადაშენება-გადაჯიშება იყო, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა დამთავრდეს განუკითხაობა?!

გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც შემოგვედავებიან, ყველა აქ დასარჩენად ან ქონების შესაძენად ხომ არ მოდის, ტურისტებიც მრავლად არიანო. ტურიზმი, იცოცხლეთ, ყველაფერთან ერთად, ეკონომიურადაც მომგებიანი დარგია, მთელი რიგი ქვეყნები ამ დარგიდან საკმაოდ დიდ შემოსავალსაც იღებენ. თავისთავად, არც ჩვენ ვართ საქართველოში ტურიზმის განვითარების წინააღმდეგნი. პირიქით, უნდა გაფართოვდეს კიდეც და მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხს უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ღირსშესანიშნაობები, გავაცნოთ ჩვენი კულტურა. რომელი საღად მოაზროვნე ადამიანი იქნება ამის წინააღმდეგი.

საქართველოში ყოველთვის ჩამოდიოდნენ სტუმრები და ტურისტების სიმრავლით აქ ვერავის გავაკვირვებთ. ჩვენი ქვეყანა მუდამ იზიდავდა მნახველებს. თუმცა ხალხი, რომლებზეც დასაწყისში ვსაუბრობდით, ვიმეორებთ, ტურისტებს და დროებით ჩამოსულებს სულაც არ ჰგავდნენ. ტურისტს ყოველთვის ეტყობა, რომ იგი ქვეყნის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად არის ჩამოსული.

მსოფლიოში ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა დაგვანახა (და არამარტო ჩვენ), რომ ტურიზმი არც მთლად უსაფრთხო სფერო ყოფილა. იმის ჩამოთვლა, თუ რომელ ქვეყნებში მოხდა დანაშაული ვითომ ტურისტებად ჩასული კრიმინალების მიერ, შორს წაგვიყვანს. ქართული სპეცსამსახურების შიდა სამზარეულოში ჩარევას ნამდვილად არ ვაპირებთ, მაგრამ გვინდა ვიკითხოთ: ვიცით კი ვინ და რა მიზნებით ჩამოდის საქართველოში?

აუცილებელია ასევე ქვეყნის საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება. ვიმეორებთ, აუცილებელია, ვიცოდეთ, ვინ შემოდის ქვეყანაში, ვინ მოდის სამტროდ, ვინ სასიკეთოდ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომელ უწყებას რომელი პერიმეტრის გაკონტროლება ევალება. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის და საზღვრო პოლიციის პრესსამსახურები ბუნდოვან პასუხებს გვცემენ. საინტერესოა, როგორ არის ფუნქციები განაწილებული, ამიტომ სიამოვნებით მოვუსმენდით ამ უწყებების წარმომადგენლებს.

ამის გარდა, ისიც სათქმელია, რომ გაჭირვებულ ადამიანს ქართველი კაცი ყოველთვის ეხმარებოდა. არის საშიშროება თურქეთში მყოფი ლტოლვილების ნაწილი აქეთ წამოვიდეს. ეს მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირზე გაბრაზებული თურქეთის ხელისუფლება უარს იტყვის მათზე ზრუნვაზე. ახლა დავფიქრდეთ, ქვეყანაში, სადაც 300 ათასზე მეტი საკუთარი დევნილი გვყავს, როგორ შევძლებთ დამატებით უცხოტომელი დევნილების დაბინავებას. ამ საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, ვიმეორებთ, საზღვრების გამაგრება და შემომსვლელთათვის მკაცრი კონტროლის დაწესებაა აუცილებელი.

გია ბურდული
551 71 27 07

ახალგაზრდობის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამა ბაკურიანში

20-30 აგვისტოს, დაბა ბაკურიანში მიმდინარეობს საერთაშორისო ახალგაზრდული გაცვლითი პროგრამა – „Creative Peace builders", რომლის ორგანიზატორიც გახლავთ ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია „Society Bridge to the Future". პროექტი, რომელშიც მონაწილეობას იღებს 18-დან 25 წლმდე 27 ახალგაზრდა საქართველოდან, გერმანიიდან და უკრაინიდან, ხორციელდება ევროკომისიის ფარგლებში, Erasmus+ის ეგიდით.

აღნიშნული გაცვლითი პროგრამის მიზანია სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენელი ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობა, ასევე მათთვის შესაბამისი გარემოს შექმნა იმისათვის,რომ გამოხატონ საკუთარი აზრი, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მშვიდობიანი და უკეთესი მომავლის შენებაში; პროექტი ასევე გულისხმობს ისეთი პრობლემების ინოვაციური გადაჭრის მეთოდების მოძიებას, როგორიცაა: ექსტრემიზმი, დისკრიმინაცია, მარგინალიზაცია და ადამიანის უფლებების დარღვევა.

საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში მონაწილე ქართველი ახალგაზრდები სხვადასხვა რეგიონებიდან არიან შერჩეულები და მათი გარკვეული ნაწილი გახლავთ იძულებით გადაადგილებული და ხელმოკლე ოჯახებიდან. აღნიშნული პროგრამა საშუალებას მისცემს მონაწილე ახალგაზრდებს უკეთ გაეცნონ სხვა ქვეყნების კულტურას, საფუძველი ჩაუყარონ უცხოელ თანატოლებთან მეგობრობას და თანამშრომლობას და ეზიარონ არაფორმალურ განათლებას. ®

ძლიერი რეგიონები

საჩხერე

საჩხერე – საირხე-ჭორვილა-გორისის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია

საირხე, ჭორვილა, გორისის მიმართულებით საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 2015 წელს დაიწყო და მიმდინარე წელს გაგრძელდა. პროექტი ევროპის საინვესტიციო ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 4 099 000 ლარია.

საავტომობილო გზის რეაბილიტაცია 7 კმ სიგრძის მონაკვეთზე ხორციელდება და ამჟამად სანიაღვრეების მონტაჟი მიმდინარეობს.

აღნიშნული გარდამავალი პროექტის დასრულების შემდეგ სულ რეაბილიტირებული იქნება 9 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთი.

სამუშაოებს შპს **"New road"** ასრულებს. მშენებლობაზე დასაქმებულია 60 ადამიანი, მათი უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლეა.

საჩხერის მუნიციპალიტეტში წელს უკვე 138 პროექტი განხორციელდა.

საჩხერის მუნიციპალიტეტში 2015 წელს 274 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა, ხოლო 2016 წლის მიმდინარე პერიოდისთვის კი — უკვე 138. წლის ბოლომდე ჯამში 300-მდე პროექტის განხორციელები იგეგმება.

თელავში სასტუმროები შენდება

„თელავში ახალი სასტუმროს გახსნა ნიშნავს დამატებით სამუშაო ადგილებს და მეტ შემოსავალს თელაველების ოჯახებში. თელავში მიმდინარეობს ოთხი ახალი სასტუმროს მშენებლობა, რომელიც ჯამში 250 ნომერს შეადგენს. ძალიან სასიხარულოა, რომ თელავი ნამდვილი ტურისტული ქალაქი და ინვესტორებისთვის მიმზიდველი ადგილი ხდება", — განაცხადა ქალაქ თელავის მერმა პლატონ კალმახელიძემ, როცა ვიცე-მერ თენგიზ მთვარელიშვილთან ერთად თელავის ცენტრში, ლიონიძის №1-ში, ერეკლეს მუზეუმის გვერდით ახალგახსნილი სასტუმრო „ერეკლე მეორე" დაათვალიერა.

სასტუმროში შერწყმულია არაბულ-ქართული დიზაინი, იგი ასევე გამოირჩევა ულამაზესი ხედებითა და საოცარი გარემოთი. სასტუმრო შედგება 7 ნომრის, ბარისა და რესტორნისგან. დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა (12 ადამიანი). სასტუმროს მშენებლობის ფონდმა 500 000 ლარი შეადგინა.

გაისად თელავში კიდევ ერთი სასტუმროს მშენებლობა დასრულდება.

გურჯაანი – ველისციხეში წყლის პრობლემა ეტაპობრივად გვარდება

2014-2015 წლებში სოფელ ველისციხეში მოსახლეობისთვის წყლის მიწოდების უზრუნველსაყოფად მთელი რიგი ღონისძიებები გატარდა:

- 2014 წელს აშენდა მდინარე ჭერმისხევში გამავალი წყლის მაგისტრალური მილისა და წყალშემკრების დამცავი ჯებირი.
- ველისციხე-ყვარლის მაგისტრალზე მდებარე ჭასთან დაიდგა ორი 16-ტონიანი რეზერვუარი.
- ე. წ. ოქროწყლის ჭაბურღილთან დაიდგა ორი 16-ტონიანი რეზერვუარი.
- ე. წ. რთველიაშვილის ჭაბურღილთან დაიდგა 16-ტონიანი რეზერვუარი, საიდანაც წყალი მიეწოდება სოფელ ველისციხის ერეკლე მეორის, ალაზნისა და თევდორე მღვდლის ქუჩებს.
- 16-ტონიანი რეზერვუარი დაიდგა სარაჯიშვილის ქუჩაზე.
- ე. წ. სამჭედლოს უბანში არსებულ ჭასთან დაიდგა ორი 16-ტონიანი რეზერვუარი.
- 2013-2014 წლებში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე 1300 მეტრზე გამოიცვალა წყალგაყვანილობა.

ზუგდიდი – სამუშაო შეხვედრა გამგებლის წარმომადგენლებთან

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა გიზო სართანიამ გამგებლის წარმომადგენლებთან ადმინისტრაციულ ერთეულებში მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები განიხილეს და მისი შესრულებისას არსებულ პრობლემებზე იმსჯელეს.

„ჩვენთვის მთავარია ჩვენი მოსახლეობის ინტერესები და მათი კეთილდღეობაა. მჯერა, რომ ერთმანეთს გვერდში დავუდგებით და ყველა დაწყებულ საქმეს ბოლომდე მივიყვანთ. გამოცხადებულია ტენდერი სოფლების შიდასაუბნო გზების მოხრეშვაზე. სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. ტენდერი გამოცხადებულია აგრეთვე კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნალიმის უბანში მინისტადიონის მოწყობაზე. აქტიურად მიმდინარეობს სოციალური სახლების მშენებლობა. მოსაცდელები და მინისტადიონი ეწყობა სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში. ბაშში რკინა-ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები მალე დასრულდება. ეტაპობრივად ყველა ის პროექტი განხორციელდება, რომლებიც სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებშია დაგეგმილი", — აღნიშნა გიზო სართანიამ.

ზუგდიდი

გიზო სართანია მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გიზო სართანია, სოციალური დაცვის განყოფილების უფროს გოგი რევიასთან ერთად, ბაშის, კორცხელისა და ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს გაეცნო. ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში 1430-მეტრიანი რკინა-ბეტონის გზის მოწყობის სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.

კორცხელის ცენტრში დასრულებულია მოსაცდელის მოწყობა, ხოლო საკვარაცხელიოს უბანში ემზარ კვარაცხელიას სახელობის მინისტადიონის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურ ფაზაშია სოციალური სახლის მშენებლობა. ეკატერინე პაჭკორიას ოჯახს მუნიციპალიტეტის გამგეობა საცხოვრებელ სახლს უშენებს. გიზო სართანიას განმარტებით, „მუნიციპალიტეტის გამგეობა, ყველა იმ პროექტს განახორციელებს, რომლებიც მოსახლეობამ სოფლის კრებებზე პრიორიტეტად დაასახელა".

ზუგდიდში შიდა ეზოების რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ქალაქ ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ექვსი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის (N16, N18, N19, N22, N23, N24) შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება.

ასფალტბეტონის საფარის დაგების სამუშოები დასრულებულია.

მიმდინარეობს შიდა ეზოების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. დაიდგა დასასვენებელი პარკის სკამები, დამონტაჟდა განათების ბოძები.

სარეაბილიტაციო სამუშაოები სექტემბერში დასრულდება.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნულ სამუშაოებს 371 758 ლარი მოხმარდება.

ფოთი – ბინების შიდასაკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება გრძელდება

ქალაქ ფოთში ბინების შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები გრძელდება და მას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „ნიუმშენი" ახორციელებს.

სამუშაოები, რომლებიც ამ ეტაპზე ჭანტურიას N7, N9 და N11 კორპუსებში მიმდინარეობს, ქალაქის მერმა ირაკლი კაკულიამ ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

ამ სისტემის მოწესრიგებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 588 690 ლარია გამოყოფილი. სამუშაოები 2016 წლის სექტემბერში დასრულდება.

მესტიაში ლეხთაგის ღელის კალაპოტის მშენებლობა დაიწყო

ლეხთაგის ღელის კალაპოტისა და ღორღდამჭერების მოწყობის სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულებაა 740 000 ლარი. პროექტს აფინანსებს სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი (SCO) „პრევენციისა და მზაობის სისტემის გაძლიერება — მეორე ეტაპის" პროგრამის ფარგლებში – 500 000 ლარით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან პროექტი დაფინანსდა 240 000 ლარით.

მშენებლობას ახორციელებს სამშენებლო კომპანია შპს „კოშკი".

ლეხთაგის ღელის კალაპოტი ერთადერთი გზაა, რომელიც რამდენიმე ოჯახს დაბა მესტიასთან და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სავარგულებს ერთმანეთთან აკავშირებს. პროექტის მიზანია ეროზირებული მონაკვეთის აღდგენა და პრევენციული ღონისძიებების გატარება. სათავეში ეწყობა ღორღდამჭერები, რათა ჩამოტანილმა მასამ არ ჩახერგოს გზა.

თელავი

ძლიერი საქართველოსთვის

წალენჯიხა

სამშენებლო კომპანიის ხელმძღვანელის, გიორგი ჯაფარიძის ინფორმაციით, ამ ეტაპზე დასრულებულია წყალშემკრების მშენებლობა და მიმდინარეობს ღელის კალაპოტის გაწმენდა და ჩამონაშალის გატანა.

ხელშეკრულებით სამუშაოების პირველი ეტაპი უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის 30 აგვისტომდე, ხოლო სამუშაოები უნდა დასრულდეს 2016 წლის 30 ოქტომბრამდე.

წალენჯიხა – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერა

საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, 2013 წლის 12 ივლისს საკანონმდებლო ორგანომ მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომელიც ევროპის საუკეთესო პრაქტიკას ეყრდნობა. შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა გრანტების შესახებ კანონსა და საგადასახადო კოდექსშიც. კანონმდებლობა ითვალისწინებს მოქნილ საგადასახადო რეჟიმს და სხვა ფინანსურ ინიციატივებს მცირე ფერმერებისთვის.

მცირე მეურნეობის მქონე ფერმერების კოოპერატივებში მხარდაჭერა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია.

სწორედ ამ კოოპერაციის კომპონენტის ფარგლებში, წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ჰიდროპონიკის ტიპის სასათბურე მეურნეობა იწყებს აღორძინებას, რომელიც გაშენებულია ნაკიფუს ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ფერმერის, გელა კვარაცხელიას ოჯახში.

წვეთოვანი მორწყვის სისტემაზე აგებულ სასათბურე მეურნეობაში საცდელად სიმინდის კულტურაა დათესილი და მოყვანილი, რომელიც გამოიყენება მსხვილფეხა რქოსანი საქონლის გამოსაკვებად.

გელა კვარაცხელიას მეურნეობა დაათვალიერეს წალენჯიხის სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლებმა და ფერმერებმა წალენჯიხა-ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტებიდან. აქვე იმყოფებოდნენ ACF-ის წარმომადგენლები, რომლის უშუალო მხარდაჭერითაც განხორციელდა ეს პროექტი.

ხობი – სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის პროგრამა

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით აღჭურვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო კოოპერატივების მიერ შეძენილი, საქართველოში აწყობილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსებას განახორციელებს.

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენისას სახელმწიფოსგან 30-პროცენტიან თანადაფინანსებას მიიღებენ.

ახალი პროგრამა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს ფრაგმენტირებული მიწების კონსოლიდაციით, ფინანსური რესურსის გაერთიანებით და საწარმოო ხარჯების შემცირებით, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების აგროვადებში დამუშავების საშუალებას მისცემს.

პროგრამებით დაინტერესებულ პირებს დეტალური ინფორმაციისთვის შეუძლიათ მიმართონ ადგილობრივ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურს შემდეგ მისამართზე: ქალაქი ხობი, ცოტნე დადიანის N189, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ოთახი N303, ტელეფონი 595 858393; 595 858322.

ადიგენში საკონსულტაციო საბჭოს სხდომა გაიმართა

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს სხდომას მხარის გუბერნატორი აკაკი მაჭუტაძე უძღვებოდა. სამუშაო შეხვედრას სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტების გამგებლები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები ესწრებოდნენ.

სხდომაზე განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხი, ხელმძღვანელმა პირებმა იმსჯელეს მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და მომავალი წლის გეგმების შესახებ. გარდა ამისა, საუბარი შეეხო „მთის კანონისა“ და მიწის რეგისტრაციის საკითხებს.

ახალციხე – მაღალმთიანობის საბჭოს მორიგი სხდომა

ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, ჩამორთმევის, შეჩერებისა და განხილვის მიზნით შექმნილი საბჭოს მორიგი სხდომა გაიმართა.

საბჭოს წევრებმა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე 62 განცხადება განიხილეს და 60 პირზე რეკომენდაცია გასცეს.

შეგახსენებთ, რომ საბჭოს წევრები პერიოდულად იკრიბებიან და შემოსულ განაცხადებს განიხილავენ.

ბორჯომი – სპორტული მოედნის, სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია

ახალ უბანში, ხანძთელის ქ. N35-ში აქტიურად მიმდინარეობს სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. პროექტით გათვალისწინებულია: ხელოვნური ბალახის საფარის მოწყობა, ლითონის შემოღობვის რეაბილიტაცია-აღდგენა, შემოღობვისა და ტრიბუნის ლითონის კონსტრუქციების შეღებვა, სადრენაჟე ღარების მოწყობა, სკამების რეაბილიტაცია.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 33 512 ლარით დაფინანსდა.

სანიაღვრე არხი მოეწყო გურამიშვილის ქუჩაზე. ორბელიანის, კოსტავას, გამსახურდიას, ჭავჭავაძისა და ჯორჯაძის ქუჩებზე კი ღია სანიაღვრე არხებისა და შემკრები ჭების მონტაჟის სამუშაოები ჩატარდა.


ბორჯომი

გამგებლის, დიმიტრი ყიფიანის განცხადებით, გამოიცვალა დაზიანებული ცხაურებიც. ჯამში კეთილმოეწყო 174 მეტრი სიგრძის მონაკვეთი. გამგებლის განმარტებით, ქუჩებზე არსებული სანიაღვრე სისტემა წლების განმავლობაში დაზიანებული იყო და აუცილებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს საჭიროებდა.

პროექტისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 23 549 ლარი დაიხარჯა.

ქედა – სოფელ ორცვაში ასფალტობეტონის საფარი პირველად დაიგება

ქედის გამგებელმა დავით დუმბაძემ, საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ ნოდარ ძნელაძესთან ერთად, სოფელ ორცვაში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა. სოფელში, სადაც 65 კომლი ცხოვრობს, საავტომობილო გზაზე ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა. წინამოსამზადებელი სამუშაოები, რაც კედლების, არხებისა და გაბიონების მშენებლობას გულისხმობს, აქტიურ ფაზაშია. ასფალტის საფარი ცხემნა-ორცვის მიმართულებით 2,6 კმ-ზე დაიგება.

შუახევი – სოფელ ფურტიოში ახალი სკოლა შენდება

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა გიორგი თავამაიშვილმა, მინისტრის მოადგილესთან ვალერი ბერაძესთან ერთად შუახევის მუნიციპალიტეტში სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის მიხედვით ფურტიოში აშენდა სამსართულიანი არასტანდარტული, თანამედროვე არქიტექტურული შენობა, რომელშიც გათვალისწინებულია საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერების კაბინეტი, სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირთათვის და პედაგოგებისთვის, ადმინისტრაციული დანიშნულების კაბინეტები. შენობაში განთავსებულია სპორტული დარბაზი.

პროექტი ითვალისწინებს შენობის სრულ მოპირკეთებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. სრულად კეთილმოეწყობა მიმდებარე ტერიტორია და დაიგება ბეტონის მონოლითური საფარი. მოეწყობა ლითონის კვადრატული ღობე, ასევე პანდუსი შშმ პირთათვის.

ამ ეტაპზე დასრულებულია კონსტრუქციის სამუშაოები. მიმდინარეობს სახურავის, ფასადის და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები, აგრეთვე — სპორტული დარბაზის მოწყობა.

მშენებლობის საერთო ღირებულება 935 110 ლარია.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების“ მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელს 13 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტს ახორციელებს.

პროგრამის საერთო ბიუჯეტია 5 336 900 ლარი.

ხობი

მანანა ამირეჯიბი:

ასეთი იყო ჩემი ძმა - ირაკლი ამირეჯიბი

წიგნიდან „ურეჟიმო ადამიანების ცხოვრება“

ზედმიწევნით სრულად ატარებდა თავისი ჯიშისა და ჯილაგის ავ-კარგს. მისი ზოდიაქო აპრილ-მაისს მოიცავდა და ხასიათითა და შესახედაობითაც ამ თვეებს ჰგავდა.

ხიფათისკენ დაუოკებელი ლტოლვა ჰქონდა. ყველაფერი მოსინჯა, რაც თავში მოუვიდა. 1985 წელს ჯარში წავიდა, სადესანტო ნაწილში იმსახურა. მამაკაცები უკეთ მიხვდებიან, რომ ეს ნიშნავს რისკით, მოსალოდნელი და მოულოდნელი ხიფათებით სავსე ცხოვრებას. იქიდან გამოგზავნილ წერილში მეგობარს სწერდა: „სამოც კაცში ათი სულით „დესანტნიკი“ ვართ... შტაბის უფროსს უნდა დაზვერვაში გადამიყვანოს, მე არ მინდა იმიტომ, რომ მზვერავები ავღანეთში არ მიჰყავთ“.

არც წაიყვანეს, რის გამოც ძალიან დასწყდა გული. სამაგიეროდ, უფრო დიდ ხიფათს დაუმეგობრდა და შეიყვარა კიდეც, როგორც სულიერი. ისევ

მეგობართან მიწერილი ბარათიდან: „ხვალ ისევ სახტომად მივდივართ, 360 კმ სიჩქარით მიმავალი რეაქტიული თვითმფრინავიდან ვხტებით. გრძნობაა, შეიძლება გაგიჟდე, ენით აუწერელი სიამოვნებაა, თანაც, როცა უიარაღოდ ხტები და ღამით. ღამე რომ ხტები, არაფერი არ ჩანს, ინტუიციით უნდა იჩალიჩო. ჯერჯერობით მიმართლებს, მერე ვნახოთ. ხვალ ღამის ნახტომია. ველოდები ხვალინდელ დღეს გამწარებით“.

ზოგი, ალბათ, არანორმალურად ჩათვლიდა ასეთი განწყობის გამო.

მოგვიანებით მეგობარ გოგონას სწერდა: „მეგობრები მეუბნებიან, გეყოფაო ცასა და მიწას შორის ცხოვრება. იმათი კი მესმის, მაგრამ ჩემი არ ესმით. მე იმ ადამიანთა რიცხვს ვეკუთვნი, რომლებიც რისკზე არა იმიტომ მიდიან, რომ სიცოცხლე არ უყვართ, რისკი მათ კიდევ უფრო აყვარებს ყველაზე მშვენიერს — სიცოცხლეს... შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, ძმაო ლაოშკა (ასე ეძახდა ხუმრობით), ძალიან მენატრება შენი გაკეთებული უგემრიელესი კატლეტები... ლაო, გუშინ ხელში ჩაივარდა ალმანახი. შიგ არის ძველბერძნული სტატუეტების ფოტოები. ერთ-ერთი სტატუეტია ჰეტერა ფრინა, ცოცხალს ჰგავს, საოცრად მოხდენილია და მოთხოვნილებას ბადებს თვალმოუწყვეტლად უყურო. რა გრაციით და სიმსუბუქით მიაქვს მხარზე შემოდგმული საგანი! მოკლედ, ზესრული ქმნილებაა. წარმომიდგენია, რა მოუვიდოდათ მამაკაცებს, ამ სრულქმნილების ცოცხლად შეხება რომ შესძლებოდათ!“

აპრილი და მაისი ტყუილად როდი ვახსენე. სილამაზის საოცარი განცდა იცოდა და შეფასებაც ასეთივე. სულით ნათესაობას დედასთან გრძნობდა. ბავშვივით გულახდილი იყო მასთან და მისი სიფაქიზე დედისადმი (მარინე მხეიძისადმი) მიწერილი ბარათებიდანაც ჩანს: „დედი, გუშინ შველი დავიჭირეთ; ვერ წარმოიდგენ რა მშვენიერება იყო. თბილი, პატარა, უმწეო. ამ საოცრების გვერდით ჩვენ საოცრად უხეშები და უცნაურები ვჩანდით. შაქარი ვაჭამეთ და გავუშვით. ძალიან ნაცნობი თვალები ჰქონდა, შიში არ უჩანდა, მხოლოდ გაკვირვება და ცნობისმოყვარეობა — სხვა არაფერი. ვიღაცას ჰგავდა, დიდხანს ვიფიქრე და ვერ მოვიგონე, მეხსიერებამ მიღალატა, როგორც ჩანს“.

მეორე წერილიდან:

„დე, მ... ჩამოვიდა ჩემს სანახავად და ერთად გავატარეთ ორი უმშვენიერესი დღე. არ ვიცი, ასე ბედნიერი კიდევ ვიქნები ოდესმე თუ არა. შაბათს ჩამოვიდა, ისეთი ლამაზი იყო... ნეტავი, დაგენახე იმ წუთში, დე, სიცილით მოკვდებოდი. ძალიან ვცდილობდი, სიმშვიდე შემენარჩუნებინა, არაფერი გამომივიდა! შენი შვილი უთავბოლოდ შეყვარებულია“.

სიყვარულში გამორჩევა იცოდა. მიუხედავად ხშირი კონფლიქტებისა, შეიძლება ითქვას, რომ მამას აღმერთებდა. და-ძმებსა და ნათესავებისთვის გაჭირვების ტალკვესი იყო. თავის დისშვილს, ირინე ამირეჯიბს, სწერდა: „ცხოვრებამ არ შეგაშინოს, ჩემი იმედი გქონდეს და იცოდე, რომ მე შენი ბიძა, მეგობარი და თაყვანისმცემელი ვარ“. უფრო დიდი თანადგომა და სათუთი ურთიერთობა ბიძისგან შეუძლებელია.

მერე ჩამოვიდა და ისევ ყველაფერი მოსინჯა. იქუხა და იწვიმა, რუსეთშიც გაიელვა, ბევრი ფული იშოვა და ქარს გაატანა! უნდა გავიგო ასეთი თვისებების ჩემზე გავლენა და მისი გამოყენების სწავლა. ადამიანში არაფერია ზედმეტი, ყველაფრის გამოყენება შეიძლება...“

მინოტავრები კი მხოლოდ სიმბოლურად კი არა, რეალურადაც გამოჩნდნენ.

დაიწყო და ჯერაც არ დამთავრებულა ომი, რომლის ცალ მხარეს მოღალატე ქართველები და გარეწარი აფსუები დგანან, ხოლო მეორე მხარეს ღალატისა და თავხედობისაგან გაოგნებული და მიზეზთაგან უძლური საქართველოა თავის აფხაზებიანად. ირაკლიმ განსაკუთრებულად მძაფრად და მტკივნეულად განიცადა ყოველივე, რადგან მასში აფხაზეთის მთავართა სისხლიც დიოდა... და ელვისუსწრაფესად ყველაფერი უდიერი განდევნა თავის სამყაროდან:

ურწმუნოება — მორწმუნეობით შეცვალა,

ქარაფშუტობა — გონიერებით,

ზერელობა — სიღრმით,

რაინდობა არაფრით და

განწმენდილი და ნათელი ომში წავიდა თავისი ქვეყნის დასაცავად. ტყვიის წვიმებშიც მოხვდა, ნაღმის ნამსხვრევებმაც დაუღარეს ჯიშიანი სხეული. თორმეტიდან, ისიც მამის თხოვნით, მხოლოდ სამი ამოიღო.

ბევრს ყვებიან მისი სიმამაცისა და მახვილგონიერების შესახებ. მტრის ზურგში ისე დადიოდა, როგორც საკუთარ სახლშიო. ერთხელ, დაზვერვაზე ყოფნისას, თავისიანებს რაციით გამოძახებაზე პასუხობდა, მტრის მზვერავი ჩართულა ლაპარაკში, იმ სასწაულებრივი მიზეზით, რომ ორივეს ერთნაირი საველე მეტსახელი ჰქონია. ირაკლის შეუთავაზებია, დილის ხუთ საათზე, ტამიშის ხიდთან ერთმანეთს შევხვდეთო. ისიც დათანხმებულა. პირველი ირაკლი მისულა. მოვედიო, ხმამაღლა დაუძახია. აფსუებისგან ტვინარეული აფხაზიც გამოსულა ბუჩქებიდან. ძმებივით გადახვევიან ერთმანეთს. რა ზედმეტია აქ და ახლა ეს თანდებული ვით. შეთანხმებულან ტყვიების გაცვლაზე, უახლოეს დღეებში გაუცვლიათ კიდეც.

ეჭვი არ მეპარება, იმასაც წაკითხული ექნებოდა ვაჟა-ფშაველას სულისშემძვრელი პოემები.

ამბობენ, ტანკში არასოდეს ჯდებოდაო. საომარი მოქმედებების დროს ტანკზე იჯდა, რის გამოც, თუ მანქანა ფეთქდებოდა, ირაკლი რამდენიმე მეტრზე იყო გადატყორცნილი, დამტვრეული, მაგრამ ცოცხალი.

ყვებიან: ერთი ბანდიტი, „ბუდულაი“, როგორ შევარდა შტაბში „ლიმონკით“, იმუქრებოდა, თუ არ გაათავისუფლებდნენ მის თანამზრახველ ავაზაკს, ყველას ააფეთქებდა და თვითონაც აფეთქდებოდა. ეგრეც მოხდა, მაგრამ წამით ადრე ირაკლიმ ფანჯარა ზურგით გაიტანა და საკუთარი თავი ქუჩაში შურდულივით გაისროლა.

როგორ მოახერხეო, უკითხავთ. სხვები ბანდიტს თვალებში უყურებდნენ, რას ლაპარაკობსო, მე ხელებში ვუცქერდი, რას აკეთებს-მეთქი და ამან გადამარჩინაო, უპასუხია.

ამბობენ, დიდი ნაკლი ჰქონდაო, სიცოცხლეს ისე ექცეოდა, როგორც გამხმარ ფოთოლსო. არ არის მართალი, სიცოცხლეც ძალიან უყვარდა, თავისი არდაბადებული შვილებიც, რომლებზედაც ოცნებობდა და აპირებდა ყველაფერი მიეცა, რაც თვითონ ბავშვობაში აკლდა. შესანიშნავი ზღაპრებიც მათთვის დაწერა, მაგრამ აღარაფერი დასცალდა.

— ზაზა, რატომ არ გაცვია ჯავშან-ჟილეტი? — უკითხავს მეგობრისთვის იმ დღეს.

ვიღაცას ვათხოვეო, უპასუხია ზაზას.

მაშინვე გაუხდია თვითონაც და ისე გაჰყოლია ჟურნალისტებს ფრონტის ხაზზე.

დაკვირვებული ვარ, ხშირ შემთხვევაში ადამიანი თავის რომელიმე თვისებას მიჰყავს იმქვეყნად.

ირაკლი პირველად მალულად მისულმა აფხაზებმა დაიტირეს და ჩამოსვენების შემდეგ საქართველომ.

იქ, სადაც ირაკლი ამირეჯიბს შემოდგომის ტყვია მოხვდა და სული გაუსხლტა სხეულიდან, გაზაფხულზე შროშნები ამოსულა ღვთისმშობლის ნებით. წლისთავზე ისევ აფხაზმა გვითხრა ეს ამბავი.

გმადლობთ, ღვთისმშობელო!



ქროსვორდი



მაგეულად: 1. ნ. ნინიკაძის არქიტექტორი ფილმში „ქრიჭანა". 2. ძველი, რომელიც ერთმანეთისაგან ყოფს გულმკერდისა და მუცლის ღრუებს. 3. ბიბლიის ხანგრძლივი „ძმეიდობის ..." 4. რაიმე ხიბეთი, ვითარება „ავი თვალის" ასაცდენად, აგვირთი. 5. ძველ ბერძნული თეატრის 26. ელეფერ მონეტა. 7. კაბიტან ნელის ბალეტ-ქვეტა ნავი. 13. რაიმე ხელია ორი თანაბარი ნაწილიდან ერთ-ერთი. 14. ქალაქი ამერეკვიბის რომანი „... ბორგალი". 16. ნადირობის წესებია დამრეკელი. 16. სააბანაოდან საქმის გარეცა. 17. იგიცა რაც ნაბადი. 18. ელენერი, რომელიც ბალირ ზანალზე ეზიდება და ერთმანეთში ერეკს ფეხიერ ზანალს. 19. შეაკრავი კეი ტანსაცმლისა. 21. ნეკნარის ბორი ტოტი. 22. მოგონილი, ძალიზელი დაეუკერებელი რამ, სიცრეკ. 25. რეზინული ხანიზეული ეიმბლეტი. 27. ნორნების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა ერთიერთდამოკიდებულებას და ეიფექტებს. 29. ხოლელი, სადაც დარჩენილი ბრეკლად შეხვდა რომეორს. 31. მცირედ ჩაღრმავებული ადგილი, ღრმული. 32. აღ. ჩანაბერი საკრავი.

თარანელად 5. ხელა ბიდა ქარიღში. 8. ტბა ფოლთიან. 9. ბრიმეის კერძი. 10. მარგალიტას ფფერული წმინდანი ფილმიდან „მერეკილები". 11. ფულის მონაწილე. 12. გემი, რომლის კაპიტანიც იყო ედმონდ დანტესი. 14. ალეკი ხორავას ბერსონაჟი ფილმიდან „რაც გინახავს, ეველარ ნახავ". 15. ბებერი მუდა. 16. დაფრენილი ბაბმა ძაფ ლამპაში, სანთელში, გამოიყენება ნაისაფერს. 20. ბიდერიდის „რეალის" მცველი. 22. გამქფარეული ნეალეგაეცალი ძახალი, გამოიკენება პროდუქტების შეაფუთად. 24. ეკერეტებიანი ხის ნორი ტოტები. 26. ქალაქი ცენტრალურ ამერიკაში. 28. ფრი, ხანი. 30. ბალმა, რომელსაც აქვს მოკლე ტანი და გიგანტური ფოთლების ეარგი. 32. ამერიკელი მომღერალი ფრენკ ... 33. ბასა, რომლითაც ხდება ხის სარილუნე ძირის დამაგრება. 34. ბაკლის ეხეშებშებმული საბიდარი „ელრის უბნის მელოდიებიდან". 35. საბოლოს დადაქალაქი.

ლაბირინთი

ჩ	ი	ლ	ი	მ	ბ	ე	ი	ტ	ა	რ	ე	ნ	ი
რ	ა	ი	ტ	ე	ი	რ	ბ	ე	ნ	ტ	ვ	ა	ე
ე	ბ	ლ	ც	ი	რ	ა	ც	ი	ტ	ე	შ	ხ	რ
ჩ	რ	ი	ე	ტ	უ	ი	ე	ნ	ლ	ი	ე	ტ	ი
ბ	ი	ჭ	ა	ნ	ჭ	ტ	ხ	ი	ნ	ი	ე	ა	ლ
რ	ლ	ნ	ო	ძ	ა	უ	ო	ე	ე	ო	ტ	ო	ი
ა	ი	ც	ა	ხ	ც	ვ	ი	რ	ხ	ლ	დ	ა	ლ
ძ	უ	ე	ი	ი	ა	ა	ე	ა	ვ	ა	ნ	ხ	ო
ხ	ა	ე	ხ	ნ	ხ	ი	ი	ხ	ა	ხ	ა	ტ	ა
ო	ტ	რ	ი	ო	ი	ნ	ა	ა	ძ	ი	ვ	ი	ხ
ნ	ა	ი	ხ	ი	ა	ტ	რ	ი	ი	ე	ა	ჩ	ი

1. დაუფიქრებელი, ნქარა; 2. ძველებური ეკონომიური ხიბეტ; 3. ხალის ადგილობრივი ვალა; 4. ძალიანი ენერგია; 5. ხეკერული ქუნა; 6. ტკბნახა და ვარის რძიანაგან გამზადებული ადგილობრივი ხაჭელი; 7. ბინდების ფეიერი; 8. ხან-ათის ნაწილადანი ძუხაკალეული ნაწარმოები; 9. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჭეიზე მოიგდია ოთის ფინის; 10. ფიქრი. ოეადწარმტაცი; 11. ულხანალეთი ანბანის ეამიმეინებელი; 12. მეთხე თეე; 13. ათიბრის ნოდენი; 14. დამეშვებული ტეკეი ხაჭები ბანი; 15. ეკერეტის ეეფანი ხაეებელ; 16. ეიმის ანაფეი ნიანი; 17. ქართული ხიმეფრის და ეკეის ანანეი; 18. ბოხარეული ეეინალი ეიმის ხაერები; 19. ინგლისური ავტომობილი; 20. ხეფი ბოეეი ეროეში; 21. ფიეი ბიზნესი ინდიანის ეროეული ეანეეებში; 22. „ალეეანდეის" ეანეანი; 25. ნეეხი, ნამანაეეფი; 24. ხეხეი ქონ; 25. ხამეეიი ოთმი ეროეეეი; 26. ხორეეის და ანის ბრიეეეეების ჭიანეეან თავის ძეეეეი ბეეეეეეეი ბინანი.

მიფრვორდი

■	13	■	18	■	7	9	33	9	19	9	■
17	11	22	2	19	9	■	1	■	15	■	24
■	6	■	10	■	16	1	12	1	6	23	1
4	2	26	1	25	9	■	1	■	23	■	4
■	6	■	4	■	6	■	16	21	9	7	1
3	9	5	9	■	33	■	9	■	■	■	23
1	■	■	■	■	5	■	■	30	15	31	9
20	1	6	1	23	1	■	■	2	■	■	■
1	■	11	■	9	■	8	1	23	9	19	9
14	21	9	33	2	19	9	■	9	■	1	■
9	■	4	■	25	■	8	1	19	1	5	9
■	28	9	25	1	7	9	■	1	■	1	■
■	9	■	11	■	■	19	■	■	■	26	■
■	18	■	24	■	29	9	21	1	26	20	9
32	9	32	9	1	■	■	■	■	■	9	■

ა-1	ხ-4
ბ	ტ
გ	უ
დ	ფ
ე-2	ქ
ვ	ღ
ზ	ყ
თ	შ
ი	ჩ
კ-31	ც
ლ-19	ძ
მ	წ
ნ-26	ჭ
ო	ხ-16
პ	ჯ
ჟ	ჰ
რ-6	

სკანდალური ინტერვიუ ოდესელ ქალბატონთან, რომელიც ოდესის ქართველი გუბერნატორის შესახებ შემაძრწუნებელ ფაქტებს გვიმხელს

მიხეილ სააკაშვილის ოდესური „ოდისეა“ და უკრაინა – მდიდარი არამზადების საჯიჯგნი ტერიტორია

– სამწუხარო ის არის, რომ გამოსავალი არ ჩანს, არც უკეთესი მომავლის იმედი გვაქვს. სააკაშვილი მარტო არ არის, მისი თანამოაზრეები არიანუკრაინის პრეზიდენტი და მაღალი ეშელონების სხვა წარმომადგენლები. დასავლელი მფარველები კი, როგორც ჩანს, მის გაწირვას არ აპირებენ. უკრაინას და მის მოსახლეობას კი მხოლოდ უფლის იმედი აქვთ...

– **ნუთუ არ არსებობს ძალა ოდესაში, ვინც სააკაშვილს წინააღმდეგობას გაუწევს?**

– ოდესის გუბერნატორი პრეზიდენტმა დანიშნა, ქალაქის მერის თანამდებობა, მოგეხსენებათ, არჩევითია. სააკაშვილს სურდა, ოდესის მერად საშა ბოროვიკი აერჩიათ. იგი მიზნის მისაღწევად კანონით აკრძალულ არაერთ ხერხს მიმართავდა, ქალაქში წინასაარჩევნოდ საშასთან ერთად ხვდებოდა მოსახლეობას, ყველა ღობეს და ყველა ბილბორდს მიშას და საშას ერთად გადაღებული ფოტოები „ამშვენებდა“. ერთ-ერთ შეხვედრაზე საშა ცდილობდა, ხალხთან ახლოს მისულიყო და რამდენიმე მამაკაცს მიმართა: მეც თქვენნაირი ვარ, ახლოს მოდითო. ერთ-ერთმა უპასუხა: ღმერთმა დამიფაროს, შენსავით გეი ვიყო, ფუ შენიო, და გაეცალა. მოკლედ, ოდესამ არჩევანი მიშას კანდიდატზე არ შეაჩერა. გუბერნატორმა ხალხს ალექსანდრე ბოროვიკი, საშად წარუდგინა. თან ტყუილი, რომ იგიოდესაში დაიბადა და გაიზარდა, სახელდახელოდ გამოაცხო მის „გმირულ წარსულთან“ ერთად. ჟურნალისტებმა გადაამოწმეს მიშას ზღაპარი და აღმოჩნდა, რომ ბოროვიკს მითითებულ რაიონში არც არასდროს უცხოვრია და არც არავინ იცნობდა, მის გმირულ წარსულზე კი ელიმებოდათ. მიშა და ბოროვიკი პროვოკაციების მოწყობასაც არ ერიდებოდნენ. მეტიც, მაიდნის გმირებიც დააპირისპირეს გენადი ტრუხანოვს, რომელიც ოდესელებმა მერად აირჩიეს. წაგებას მიშა ვერ შეეგუა და ხალხის მიერ არჩეული მერის შესახებ დეზინფორმაციას ავრცელებდა, ადგილი ჰქონდა „საქმის ქუჩურ გარჩევებსაც“... ბოროვიკი მიშას მხარდაჭერით ქალაქის საბჭოს დეპუტატი გახდა (ამჟამად მიშას მოადგილის სტატუსი აქვს). თუმცა არც სხდომებზე ცხადდებოდა და არც სესიაზე, არც ამომრჩევლებს ხვდებოდა. ოთხი თვის შემდეგ საშა გამოცხადდა სესიაზე. სიტყვით გამოსვლისას მან ქალაქში არსებული სიტუაცია კრიტიკულად შეაფასა და, პრაქტიკულად, ოპოზიციური საქმიანობის დაწყება დააანონსა.

ქალაქის მერიც მიშას სიტყვებით გალანძღა, კრიმინალი, კორუმპირებული უწოდა... საზოგადოებას მოუწოდა, გადაეყენებიათ მერი და ის დაენიშნათ, რასაკვირველია, მას, როგორც არანორმალურს, დასცინეს, შემდეგ დარბაზიდან ერთ-ერთმა დეპუტატმა ხელში აყვანილი გაიყვანა, თაიგულიც ჩაახუტა, შენობის გარეთ გააგდო და კარებიც მიუხურა. აღნიშნულ ქმედებას დარბაზი ტაშით და ოვაციებით შეხვდა. მოკლედ, საშა გაბანძდა და ისევ მოუხმო დასახმარებლად მაიდნის გმირებს, რომლებიც ქალაქის საბჭოს შენობასთან საპროტესტო აქციის ორგანიზებაში დაეხმარნენ. არსებობს ვიდეოჩანაწერი, სადაც ნათლად ჩანს ქართველი, რომელიც ფულს უნაწილებს აქციის მონაწილეებს. ეს ქართველიც მაიდნის აქტიური წევრი გახლდათ, რასაც არსებული ფოტო და ვიდეომასალა ამტკიცებს. აღნიშნულ საპროტესტო აქციას ადამიანთა მცირე ჯგუფი ესწრებოდა და წარუმატებლად ჩაიარა. სამაგიეროდ, მიმდინარე წელს ორი მაისის ტრაგედიის ორი წლისთავზე, გუბერნატორმა მოახერხა და კიევიდან „ჯარი“ გამოიძახა, თითქოს ოდესის პირველი პოლიციელი გიორგი ლორთქიფანიძე შესაძლო ტერაქტების შესახებ ფლობდა ინფორმაციას. სინამდვილეში მას კატეგორიულად არ სურდა, ხალხი პროფკავშირების შენობასთან მისულიყო და პატივი მიეგოთ ორ მაისს ჯერ კიდევ გამოუძიებელი ტრაგედიის გმირებისათვის. ისევ ხელისუფლების მხრიდან პროვოკაციის გამო დააპატიმრეს საპროტესტო აქციის ორმოცი მონაწილე, აქედან ოთხი დღემდე პატიმრობაში რჩება... აი, ასე ექცევა სააკაშვილი ქართველ „ვარიაგებთან“ ერთად ქვეყანას, რომელმაც ძებნილები შეიფარა და სამსახური მისცა, მასში წმინდა და სუფთა არაფერი არსებობს... მისი პოპულისტური განცხადებები ოდესელებს უკვე შოკში აგდებს, მაგალითად, „გადავაქციოთ ოდესა 2011 წლის თბილისად“, ოდესაში ასე იშიფრება: კორუფცია მხოლოდ მიშას „კამანდაში“ და ასიათასობით ადამიანი ციხეში. ქალაქის მერს, რომელიც ოდესელებმა აირჩიეს, მიშა თავისი ხროვის დახმარებით უამრავ ბინძურ პროვოკაციას უწყობს. თავის ხმაურიან განცხადებებში ხშირად უწოდებს მას კორუმპირებულს და რუსეთის აგენტს. მიშა ავტორიტეტებს ვერ იტანს, მის ირგვლივ მხოლოდ „ჩმორი“ შემსრულებლები ხარობენ.

– **როგორც ამბობენ, მისი მთავარი „შემსრულებელი“ ოლქის პოლიციის უფროსი გიორგი ლორთქიფანიძე...**

– ცოფიანი რუსოფობი პიროვნებაა. სარწმუნო წყაროს ცნობით, ის სამშობლოში აწამებდა განსასჯელებს და მათ აიძულებდა ეღიარებინათ, რომ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ან მთავარი სადაზვერვო სამმართველოს აგენტები იყვნენ. საჭრობილეში გადაღებულ წამებისა და გაუპატიურების ვიდეოკადრებზე მკაფიოდ მოჩანს საქართველოს შს მინისტრის მაშინდელი მოადგილის სახე. მშობლიურ ქვეყანაში ოდესის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული. მისი ძმა, დავით ლორთქიფანიძე კახეთის კუდის უფროსი იყო, ძმები კახეთში და, კერძოდ, ახმეტაში ყველა უკანონო ბიზნესს ლობირებდნენ, ურჩ ბიზნესმენებს აწიოკებდნენ, აპატიმრებდნენ და ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ. ლორთქიფანიძეები წარმოშობით ახმეტიდან არიან და ამ რეგიონს ისინი „აკონტროლებდნენ“ .

მიმდინარე წელს, უსაფრთხოების სამსახურმა, ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად, დააკავა მიშას რეფორმირებული საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ქალბატონი, რომელიც პოლიციის შენობიდან ახდენდა ნარკოტიკის რეალიზაციას. გიორგი ლორთქიფანიძემ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით უსაფრთხოების ხელმძღვანელობას სერიოზული პრეტენზიები წაუყენა რაც მათ არასერიოზულად მიიღეს. კერძოდ, ლორთქიფანიძე ძალიან გაბრაზებულა, რომ იგი საქმის კურსში არ ჩააყენეს წინასწარ, არადა, უსაფრთხოებამ ყველა კონსპირაციული ხერხს მიმართა, რათა ინფორმაციას არ გაეჟონა, ყველა კანონის დაცვით „ატარებდნენ“ პოლიციელ გოგონას და შემდეგ ფაქტზე დააპატიმრეს. რასაკვირველია, მაღალმა გიორგის „ჩასვრილის“ სასწრაფოდ გაწმენდა მოსთხოვა. ლორთქიფანიძემ უსაფრთხოებას ამჯერად ულტიმატუმით მიმართა, გაეჟღერებინათ ინფორმაცია, რომ დაკავება უსაფრთხოების და შს სამმართველოს ერთობლივი ღონისძიებით მოხდა და ხელმძღვანელი თითქოს თვით მაღალი გახლდათ. ამ მოთხოვნამ საერთოდ გააგიჟა უსაფრთხოების უფროსი და მისმა კატეგორიულმა უარმა – მაღალი! შემდეგ იწყება ლორთქიფანიძის კრიმინალური გარემოცვის ზეწოლა უსაფრთოების ხელმძღვანელობაზე. ცნობისთვის, ოდესის უსაფრთოების სამსახური საიდუმლოს სრული დაცვით სხვა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობისგა, მკაცრი კონსპირაციით, გეგმავდა და ამუშავებდა ისეთი დაკავების ღონისძიებებს, როგორიც გახლდათ სპეცოპერაცია სამხედრო პროკურატურის მექრთამე თანამშრომლების გამოსავლენად, ოლქის სამხედრო კომისრის, პისკუნის დაკავება, ქალაქის პოლიციის უფროსის, მაკუხის დაკავება, ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, მარჩენკოს და სხვების დაკავება. საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ქალის დაკავება მხოლოდ უსაფრთხოების სამსახურის ძალებით მოხდა. ერთი

თვის განმავლობაში გატარებული ღონისძიების შედეგად არაერთი საკონტროლო შესყიდვის დოკუმენტი შექმნეს, დაკავებული პოლიციელი ნარკოტიკის მომხმარებელიც გახლდათ!

მიხეილ სააკაშვილი ყველა დაკავების ღონისძიებაში მთავარ როლს უსინდისოდ ირგებს და მედიის საშუალებით დეზინფორმაციას ავრცელებს. არც ლორთქიფანიძეს ივიწყებს, რომ, როგორმე წარმოაჩინოს, რადგან გიორგი მხოლოდ სხვა „სამსახურშია“ მარდი. მაგალითად, დაპატიმრებული ჟურნალისტის არტემ ბუზილის მხარდასაჭერად მშვიდობიანი აქცია ლორთქიფანიძის ნიღბიანმა, დუბინკიანმა მხეცებმა დაარბიეს, უმოწყალოდ სცემეს ხალხი. ეს ხელწერა ვისაც ეკუთვნის, ყველამ კარგად იცოდა და ისიც, თუ რა დონის გარეწარი გახლდათ ის საქართველოში. კკბ–ში მოღვაწეობიდან – ოდესის პოლიციის უფროსობამდე! ვარდების რევოლუციის შემდეგ, როგორც ცნობილია, ს/უსაფრთხოების სამსახური და შსს გაერთიანდა. ლორთქიფანიძე არასდროს ყოფილა პოლიციელი, ის შევარდნაძის პერიოდიდან უშიშროების ხაზით მსახურობდა. რევოლუციამდე იგი ერთ-ერთი განყოფილების უფროსი გახლდათ ანტიტერორისტულ დეპარტამენტში. მისი ძმა დავითი კი აღნიშნულ პერიოდში კახეთში ახმეტის პოლიციის უფროსი გახლდათ. ეს რაიონი ჩეჩნეთს ესაზღვრება, მის შემადგენლობაში შედის პანკისიც ქისტი და ჩეჩენი ეროვნების მოსახლეობით. ოთმოცდაათიან წლებში, როდესაც ჩეჩნეთში ომი მიმდინარეობდა, პანკისში გადმოდიოდნენ სამხედრო შენაერთები ჩეჩნეთიდან... ვარდების რევოლუციის შემდეგ დავით ლორთქიფანიძე კუდის უფროსის მოადგილე გახდა, ხოლო გიორგი მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. შევარდნაძის დროინდელი ძალოვნები ხმაურით გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან. ბევრი დააპატიმრეს, მათ შორის, შს მინისტრიც, ხოლო ძმები ლორთქიფანიძეები დაწინაურეს.

– თქვენ ისეთ ინფორმაციებს ფლობთ, მაგისი მიზეზიც გეცოდინებათ!

– დიახ, ლორთქიფანიძის შს მინისტრად დანიშვნას ლობირებდა ვინმე რეზო შარანგია, რომელსაც ჩემი წყარო მიშას ჯიბის ბიზმესმენად იხსენიებდა. შარანგიას ცოლის ძმა, გიორგი ყარამანაშვილი კი კიევში მაღალთან ერთად სწავლობდა. იგივე წყაროს ცნობით, გიორგი ლორთქიფანიძე იგორ გიორგაძის დაცვაშიც მსახურობდა ოთხმოცდაათიან წლებში...

– ფიქრობთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ გიორგი ლორთქიფანიძის აღმაფრენას სერიოზული მიზეზი აქვს?

– დიახ, მან კარიერა პანკისის ხეობაში ადამიანების გატაცების ინსცენირებით და შემდგომ გმირული დაბრუნებით გაიკეთა. რა თქმა უნდა, ამ შავ საქმეში მას ბოევიკებიც ეხმარებოდნენ. მას ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან მჭიდრო ურთიერთობა ჩამოუყალიბდა ჩეჩენ ბოევიკებთან და მეთაურებთან, რომლებიც პანკისის ხეობაში იმყოფებოდნენ. საქმეს ისე აწყობდნენ, თითქოს ხალხს ჩეჩნები იტაცებდნენ და ლორთქიფანიძე ათავისუფლებდა. სინამდვილეში ფულს ორივე მხარე ინაწილებდა. სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მან სერიოზულად იმუშავა ჩეჩენ საველე მეთაურებთან, რაც არ იყო იოლი, რადგან არასდროს იცი, როგორ მოიქცევიან ისინი, მაგრამ ახმეტაში ქართველების თაობები ჩეჩნებთან ერთად ცხოვრობდნენ და ასე თუ ისე, კარგად უგებდნენ ერთმანეთს. ზუსტად ვიცი, რომ ლორთქიფანიძეს დღესაც აქვს კავშირები ჩეჩნების გარკვეულ ნაწილთან.

– ახლა მესმის, რატომ არ გსურდათ თქვენი ვინაობის გამხელა!

– დიახ, ლორთქიფანიძე ძალიან საშიში პერსონაა. ხელისუფლებისთვის არასასურველი პირების „გაქრობის“ სპეციალისტი. თქვენ ქვეყანაში სააკაშვილის ზეობის პერიოდში არაერთი ოპოზიციონერის თუ არასასურველი პირის მოცილება სწორედ მის კისერზეა. ზოგი გულის შეტევით გარდაიცვალა, ავარიით, უბედური შემთხვევით. სწორედ გიორგი კურირებდა ამ საქმეს.

– მიშა დღესაც პოლიციის რეფორმით ტრაბახობს.

– დიახ, მათ დაამყარეს წესრიგი პოლიციაში, მაგრამ თუ ღირსეულ ხელფასს გადაუხდი თანამშრომლებს ამერიკელების ხარჯზე, მაშინ არ არის ძნელი წესრიგის დამყარება. სააკაშვილი და ლორთქიფანიძე ოდესაში ამერიკელების ნების უსიტყვო გამტარებლად დაინიშნენ. ოდესაში მოსახლეობის უმრავლესობა პრორუსულ ძალას წარმოადგენს. ოპოზიციონერების ფიზიკური ჩამოცილების სპეციალისტი კი, როგორც მოგახსენეთ, ლორთქიფანიძე გახლავთ. ის, როგორც ყოველთვის, ჩრდილში დარჩება, უფრო მეტიც, დიდი შანსია, „შედეგები“ რუსეთის სპეცსამსახურებს მიაწეროს, ან ჩეჩნებს. მას ამის დიდი გამოცდილება გააჩნია. მაგალითად, შამილ ბასაევის ლიკვიდაცია.

– თქვენ ამბობთ, რომ ბასაევის ლიკვიდაცია ჩვენმა სპეცსამსახურმა უზრუნველყვეს?

– დიახ, და ამ ოპერაციის კურატორი გია ლორთქიფანიძე გახლდათ. იყო ასეთი პერსონა, ალი დაბუევი, ზედმეტ სახელად „ზონა“ . ის გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა საქართველოში, ჰქონდა ქართული პასპორტი, რომლის მიხედვითაც რუსლან პაპასკირი გახლდათ. ორი დანაღმული კამაზი, რომელზეც ბასაევი აფეთქდა, თბილისიდან გავიდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული სატვირთო ავტომანქანები 2001 წელს პანკისში ანტიტერორისტული ღონისძიების ჩატარების შემდგომ კონფისკაციას დაექვემდებარა და დიდხანს ანტიტერორისტული ცენტრის უკანა ეზოში იდგა. შემდეგ დაიტვირთა იარაღით, რომელიც ბასაევმა ქართველისგან შეიძინა, დაინაღმა და გაიგზავნა ბასაევთან. სატვირთო ავტომანქანებს „ზონა“ აცილებდა... მთელ ოპერაციას გია ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. მოკლედ, გიორგი თანამოაზრე ბოევიკებს იყენებდა და, რიგ შემთხვევებში, იცილებდა. წინასწარ ხმებსაც ყრიდა, თითქოს ინფორმაციას ფლობდა, რომ რუსულ სპეცსამსახურებს სურდათ მათი მოცილება.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

– როდიდან შედის ძალაში სამოქალაქო კანონი?

– მთლიანად მოგაწოდებთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის შინაარსს, რომელიც ამომწურავად პასუხობს თქვენს შეკითხვას:

მუხლი 3.სამოქალაქო კანონის შესვლა ძალაში

1. კანონი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ძალაში შედიან მხოლოდ დადგენილი წესით ოფიციალურ ორგანოში საყოველთაო გაცნობისათვის მათი გამოქვეყნების შემდეგ.

2. კანონის არცოდნა ან მისი არასათანადოდ გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საფუძველი.

3. კანონი კარგავს ძალას, თუ ამის შესახებ პირდაპირ უთითებს ახალი კანონი, ან ძველი ეწინააღმდეგება ახალს, ან ახალი კანონი მოიცავს ძველით მოწესრიგებულ ურთიერთობას, ანდა, თუ აღარ არსებობს ის ურთიერთობა, რომელსაც აწესრიგებდა კანონი.

4. ზოგადი ხასიათის კანონი არ აუქმებს სპეციალურ კანონს, თუ ამგვარი გაუქმება არ წარმოადგენს კანონმდებლის პირდაპირ მიზანს.

5. იმ კანონის გაუქმება, რომლითაც გაუქმდა ძველი კანონი, არ ნიშნავს ძველი კანონის ამოქმედებას.

* * *

– სარჩელი მაქვს სასამართლოში შეტანილი განქორწინების შესახებ. ჩემი მეუღლე დაიღუპა უბედური შემთხვევის გამო. როგორ მოხდება სასამართლოში საქმის განხილვა?

- სასამართლოში საქმის განხილვა აღარ მოხდება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 353- ე მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოში აღძრული საქმე უნდა შეწყდეს.

რჩევა: აუცილებლად წარადგინეთ სასამართლოში მეუღლის გარდაცვალების მოწმობა.

* * *

– არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით, რა ასაკიდან ითვლება პირი არასრულწლოვნად?

– არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

* * *

- შეიძლება თუ არა სასამართლო ხარჯების გადავადება ან შემცირება კანონის მიხედვით?

- შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარე გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ან შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

* * *

- ვის მიერ უნდა მოხდეს განქორწინების მოწმობის გაცემისას ბაჟის გადახდა?

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131- მუხლის მიხედვით, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული ბაჟი, ასევე, თუ საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

* * *

- რა შემთხვევაში იხილავს სამოქალაქო საქმეებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა?

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 3911-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და „ საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

რკინის ლედი

მარგარეტ ტეტჩერმა ერთხელ განაცხადა: „მე მანამდე დავრჩები თანამდებობაზე, ვიდრე არ დავიღლები და ვიდრე ბრიტანეთს მე ვჭირდები, არასოდეს დავიღლები“.

და მართლაც, ვიდრე ქვეყანა ყველაზე რთულ და კრიზისულ სიტუაციაში იმყოფებოდა, ტეტჩერს თავისი პოსტი არ დაუტოვებია. იგი სამუდამოდ დარჩა მსოფლიოს ისტორიაში, როგორც ყველაზე ცნობილი ქალი პრემიერ-მინისტრი...

დამსახურებული წარმატება

1925 წლის 13 ოქტომბერს ინგლისის ერთ პატარა ქალაქში, რომელიც იმით იყო ცნობილი, რომ იქ სახელგანთქმული ისააკ ნიუტონი დაიბადა, ქვეყანას მოევლინა გოგონა, რომელსაც სახელად მარგარეტი დაარქვეს.

რობერტსების ოჯახი საბაყლოს საწყობის თავზე ცხოვრობდა. დედა მკერავი იყო, მამა — მოვაჭრე. მარგარეტისა და მისი დის, მიურიელის ცხოვრება არაფრით გამორჩეული იყო — ოჯახს მცირე შემოსავალი ჰქონდა და ისინი მოკრძალებულად ცხოვრობდნენ. მაგრამ გოგონების მამა, რომელსაც მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდა, ცდილობდა, მათთვის წიგნებისა და ცოდნისადმი სიყვარული ჩაენერგა.

მამის ერთ-ერთ შეგონებას მარგარეტი მთელი ცხოვრება მისდევდა: „წინ გაუძეხი ბრბოს და არასოდეს გაყვე მას უკან“.

მარგარეტის უიღბლო სიყვარული

მომავალი პოლიტიკოსის ბავშვობასა და სიყმაწვილეს ბედნიერს ვერ უწოდებ. მარგარეტი არ დადიოდა ცეკვებზე და კინოში, არ იყო გატაცებული ჩვეულებრივი გოგონების გასართობებით, არ უყვარდა უაზრო ლაყბობა.

გოგონას ცხოვრების დახასიათება ორი სიტყვით შეიძლებოდა — მიზანმიმართულობა და სიჯიუტე.

1947 წელს, ქიმიაში ბაკალავრის დიპლომის მიღების შემდეგ, მარგარეტი სამუშაოდ ქარხანაში მოეწყო. იმ დროისთვის გოგონა უკვე საკმაოდ სერიოზულად იყო დაკავებული პოლიტიკით, იყო კონსერვატიული პარტიის აქტიური წევრი. სწორედ იქ გაიცნო მან თავისი მომავალი ქმარი დენის ტეტჩერი.

1951 წელს შედგა მათი ქორწინება. გათხოვებას ახალგაზრდა ქალბატონის ამბიციები არ გაუნელებია. მან ტყუპი ბავშვები გააჩინა და იურიდიული განათლება მიიღო. მარგარეტ ტეტჩერი ადვოკატი გახდა, იგი საგადასახადო კანონმდებლობის სპეციალისტი გახდა.

1959 წელს მარგარეტი კვლავ პოლიტიკაში დაბრუნდა და საპარლამენტო არჩევნებში წარმატებებს მიაღწია.

მარგარეტის ღირსებები მალევე დაფასდა — 1961 წელს იგი პენსიებისა და სოციალური დაზღვევის სამინისტროს საპარლამენტო მდივნად აირჩიეს. ამის შემდეგ წარმატებას წარმატება მოსდევდა და მარგარეტ ტეტჩერის კარიერა მაღლა მიდიოდა. იგი ჯიუტად მიიწევდა თავისი მიზნისკენ — გამხდარიყო პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი და 1979 წელს საწადელს მიაღწია — ამომრჩეველთა 44-მა პროცენტმა მარგარეტს მისცა ხმა.

დიდი ბრიტანეთისთვის რთული დრო იდგა. ინგლისის ეკონომიკა ცუდ მდგომარეობაში იყო — ქვეყანას ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა უმუშევრობის მხრივ, ხელფასები შეფერხებით გაიცემოდა, ინფლაცია 20-25 პროცენტს აღწევდა...

ზომები, რომლებსაც პრემიერ-მინისტრმა მიმართა მდგომარეობის სტაბილიზაციისთვის, ბევრს საშინელებად მოეჩვენა. პირველი ნაბიჯი ბავშვებისთვის უფასო რძის მიცემის გაუქმება და სასკოლო საუზმეზე ფასის გაზრდა გახდა.

გაზეთები გაუჩერებლად გაჰყვიროდნენ დაუნდონელი პრემიერ-მინისტრის შესახებ, ამასობაში სწორედ მარგარეტ ტეტჩერის მიერ გადადგმულმა არაპოპულარულმა ნაბიჯებმა ამოიყვანა ქვეყანა ეკონომიკური უფსკრულიდან. როგორც თავად ტეტჩერმა განაცხადა: „მე შევუდექი ქვეყნის მმართველობას ერთი კარგად გააზრებული განზრახვით: შევცვალო ინგლისის საზოგადოება, რომელიც მთლიანად სხვის კმაყოფაზე იმყოფება, საკუთარ მომავალში დარწმუნებული მეწარმის მდგომარეობით, რათა ინგლისმა გამოიღვიძოს და წინ გასწიოს!“

და ინგლისმა „გამოიღვიძა და წინ გასწია“. ინგლისის ეკონომიკა სტაბილური გახდა. მთელი მსოფლიო დაძაბული და აღფრთოვანებით უცქეროდა „რკინის ლედის“ ნაბიჯებს, როგორც მას ჟურნალისტებმა უწოდეს. განსაკუთრებული დამსახურებების გამო მას ბარონესას ტიტული მიენიჭა და მთელმა მსოფლიომ ეს აღიქვა, როგორც დამსახურებული ჯილდო.

ძლიერი ქალის სისუსტეები

ბევრ ადამიანს უკვირდა, როგორ ახერხებდა მარგარეტ ტეტჩერი ყველგან ყოფნას, მილიონობით ქალი ხომ საოჯახო საქმეებსაც ვერ ართმევდა თავს, რომ აღარაფერი ვთქვათ ქვეყნის მართვაზე.

ამაში მას არა მხოლოდ სიჯიუტე, უზარმაზარი შრომისმოყვარეობა და მიზანმიმართულობა ეხმარებოდა, არამედ ფიზიოლოგიური განსაკუთრებულობა — მას ძალიან ცოტა ეძინა. მარგარეტი ამტკიცებდა, რომ დღე-ღამეში ოთხ-ხუთ საათზე მეტი არასოდეს ეძინა, ზოგჯერ კი ორ საათზე მეტიც. მისი ამ განსაკუთღებულობის შესახებ ფართოდ იყო ცნობილი, მეცნიერებმა აღმოაჩინეს გენი, რომელიც გავლენას ახდენს ხანმოკლე ძილზე და მას „ტეტჩერის გენი“ უწოდეს...

ყველაფერმა ამან საფუძველი ჩაუყარა ჭორებს იმის შესახებ, რომ თიქოს რკინის ლედი არც ჭამს, არც სძინავს და დღედაღამ საკუთარ პოსტზეა. სინამდვილეში იგი ჩვეულებრივი ქალი იყო, მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მეუღლე, შვილები...

მარგარეტ ტეტჩერის მეუღლე დენის ყოველთვის უკანა პლანზე იდგა, იყო თავისი მნიშვნელოვანი და კაშკაშა ცოლის ფონი. მაგრამ მარგარეტი სახლის კარს უკან ტოვებდა თანამდებობას და ძალაუფლებას. როგორც ერთხელ დენის ტეტჩერმა განაცხადა: „მარგარეტს მსოფლიო და ოჯახი სხვადასხვაგვარად ხედავენ და სხვადასხვანაირად ეძახიან. მსოფლიო მას რკინის ლედის ეძახის, ბავშვები დედიკოს, მე კი სხვა სახელი შევარქვი“...

როგორც ყველა ქალს, მარგარეტ ტეტჩერსაც ძალიან უყვარდა კატები. ამბობენ, რომ იგი ყველგან თავის კატასთან, უილბერფორსთან ერთად დადიოდა. მასთან ერთად მიდიოდა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზეც კი, რის გამოც მისი მტრები ამბობდნენ: „კალიგულამ სენატში თავისი ცხენი შეიყვანა, ტეტჩერმა კი — კატა!“ პრემიერ-მინისტრს უყვარდა დეტექტივების კითხვა ან როიალზე დაკვრა, მაგრამ მას ძალიან ცოტა თავისუფალი დრო ჰქონდა.

პენსიაზე ყოფნის დროსაც კი ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრს მოსვენებას არ აძლევდან ოჯახსა და ქვეყანაზე ფიქრი.

ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში მან თქვა: „სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ცხოვრებაში პირველად იმდენი თავისუფალი დრო მაქვს, რომ შემიძლია ვიფიქრო მეუღლის ჯანმრთელობაზე, შვილების კეთილდღეობასა და ქვეყნის აყვავებაზე“...

მარგარეტ ტეტჩერი 2013 წლის 8 აპრილს გარდაიცვალა გულის შეტევით.

მოამზადა
ბელა გველესიანმა

ტაქსი გამოძახებით
0322 300 308; 0322 450 450;
558 300 088
დაბალი ტარიფები, მაღალკვალიფიციური,
კომფორტული მომსახურება 24 საათის განმავლობაში

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com